საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (575)
24 - 30 მარტი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## ქოცებისა და ნაცებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ძია სემი რას იტყვის

2

# ეს ბზარი აქამდე იყო?





# პუტინმა სამჯერ გაისროლა და... ბაიდენი სამჯერ წაიქცა!

6-7



გიგი იუკურიძე:

## დღეს საქართველომ, ისევე, როგორც უკრაინამ, შეიძლება მეორედ გაყოს თავი ძალიან საშიშ გეოპოლიტიკურ ხაფანგში

3



სოსო ცინცაძე:

## უნიათო ხელისუფლების წყალობით, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მოკავშირის გარეშე რჩება. არ გვყავს სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც ჩვენ გამო იომებს

4



## სანამ გლობალური დათბობის მიზეზით აქ გამოსაგზავნ ნაგავს გააქვირებენ, ჩვენი მიწა დავამუშაოთ და იმდენი მაინც შევქმნათ, თავის გამოკვება შევძლოთ

9

## «თუ ბათუმს დავკარგავთ, დავკარგავთ ამიერკავკასიას და, შესაძლოა, მთლიანად კავკასიასაც»

10




1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულება და თურქეთის პრიორიტეტული მიმართულება კავკასიაში



## პუტინმა ბაიდენს აუხსნა, რით განსხვავდებიან რუსები ამერიკელებისგან

15



## რატომ მოკლა დასავლეთმა კადაფი და დაანგრია აყვავებული ლიბია

14

ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქოცების ხელისუფლება იქნება ეს თუ ნაცების „ოპოზიცია“, უწინარესად, ქართველი ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი არ ზრუნავს, არამედ თავიანთი საერთო პატრონების — დასავლეთის ლიბერასტული პოლიტიკური ძალების — კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აფრიალებს თბილისში აშშ-ევროკავშირ-ნატოს ბაირაღებს.**

**ისეთი დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება, როგორიც დღეს არის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა, თვით ე.წ. კარიბის კრიზისის ჩათვლითაც კი, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი ჯერ ჩვენი ვიკითხოთ...**

# ქოცებისა და ნაცებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ძია სემი რას იტყვის



**ქართველი ერის სახელით რომ გველაპარაკებით ამ დაძაბულ დროებაში და თანაც ალვირახსნილი რუსოფობიით, ამის უფლება ვინ მოგცათ თქვენ, რომელთა სახელი ბიძინას გარეშე ზეროა, და სად გიპოვათ, რომელ სოროში იმალებოდით, როდესაც მე და ჩემნაირები მიშარასტების სისხლიან რეჟიმს სიცოცხლის რისკის ფასად ვებრძოდით?**

საქართველო პარადოქსების ქვეყანა რომ არის, უწინაც არაერთხელ აღვნიშნე სხვადასხვა მაგალითებზე დაყრდნობით და წინამდებარე წერილის ერთ-ერთი თემაც ეს იქნება. პარადოქსია, მაშ, რა ჯანდაბაა ის, რომ **ქოცების ხელისუფლება იქნება ეს თუ ნაცების „ოპოზიცია“** (მოკლედ რომ ვთქვათ, ქოცნაცთა ხელისუფლება, რადგან მოაზროვნე საზოგადოებაში სრული კონსენსუსია საკითხზე, რომ ორივენი ერთი ლიბერასტული ხის განშტოებებია, რომლებიც ხელისუფლება-ოპოზიციის უნიჭოდ დადგმული სპექტაკლის თამაშით, უკვე ლამის 20 წელიწადია, ქართველ ხალხს მასხრად გვიგდებს), **უწინარესად, ქართველი ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად კი არ ზრუნავს, არამედ თავიანთი საერთო პატრონების — დასავლეთის ლიბერასტული პოლიტიკური ძალების — კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აფრიალებს თბილისში აშშ-ევროკავშირ-ნატოს ბაირაღებს.** აგერ, ახლახან პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილის** მეთაურობით საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია იმყოფებოდა ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქ ბრიუსელში, სადაც მიშარასტების გულის გასახეთქად „მნიშვნელოვანი“ შეხვედრა-საუბრები გაიმართა ქოც-ნაცთა პარტნიორ (პატრონ) ევროპელებსა და ქართველი „ხალხის რჩეულ“ პარლამენტართა შორის... როგორც ჩანს, ამჯერად ქოცების ლობიმ სძლია ნაცების პატრონ „ევროპის სახალხო პარტიის“ გავლენას და ბრიუსელმა აღიარა გასული საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარება და მისი შედეგების ლეგიტიმაცია. ამ აღიარებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ე.წ. შალიკოს ფანჩატურში, იქამდეც კი, რომ ნათელაშვილის ცნობილ „დაუნ ვი დიქტეიტეს“ ვინღა დაეძებს, მიშას ტელევიზიებმა (რა თქმა უნდა, **გვარამიას** „მთავარის“ თამადობით) სულ დედ-მამის სული უტრიალეს გუშინდელ „მეგობრებს“ დემოკრატიის პრინციპების ქოცების სასარგებლოდ ღალატის გამო. საქართველოს ერთობ წარმომადგენლობითი დელეგაცის ნაკლებად მნიშვნელოვან შეხვედრა-მოლაპარაკებებში მონაწილეობის პარალერურად, მართლაც „უმნიშველოვანესი“, რომ იტყვიან, „ტეტ-ა-ტეტ“ შეხვედრა გაიმართა ნატოს გენმდივან **იენს სტოლტენბერგსა** და **ირაკლი ღარიბაშვილს** შორის. რომლის შემდგომაც ნატოს გენმდივანმა მრავალი წლის განმავლობაში, ეს უკვე მერამდენედ, „უმნიშვნელოვანესი“ განცხადება გააკეთა: ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი (საქართველოში ჩამოსული ყველა ევროპელი მაღალჩინოსანი რომ დაგვყავს სამაჩაბლოში გავლებულ მავთულხლართებთან, ნახეთ, ოკუპანტი რუსები რას სჩადიანო, ქართველებიც ოკუპანტები არიან ერაყელ-ავღანელებისთვის. თანაც ამ მისიების ხარჯებს, ნატო კი არა, საქართველო იხდის) ჰყავს მივლინებული ე.წ. ცხელ წერტილებში, ამის გამო საქართველო აუცილებლად გაწევრდება ნატოში, რომელიც გააგრძელებს ე.წ. არაღიარების პოლიტიკას, უპირობოდ დაუჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ნატოს კარი მისთვის კვლავ ღია იქნებაო... ზემოთ „ეს უკვე მერამდენედ“ იმიტომ ვთქვი, რომ **წლების განმავლობაში იცვლებოდნენ ნატოს გენმდივნები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მათი რიტორიკა, ამიტომ სტოლტენბერგის განცხადება მისი წინამორბედების განცხადებების მორიგი გადამღერება, ტრაფარეტად ქცეული რიტორიკა იყო; რიტორიკა, რომლის შემოსაღებას ქართველი საზოგადოებისთვის ასევე მერამდენედ ცდილობენ ქოცები და ნაცები, როგორც ხვალის რეალური იმედის.**

ისე, ცოტა მაინც მიხურეთ „ნატოს ღია კარი“, თორემ „სკვაზნიაკია“ და მტრისას, პანდემიის დროს გავცივდებით და მიქელ-გაბრიელთან ნაადრევ აუდიენციას თავიდან ვერ ავიცილებთ... ეს, რომ იტყვიან, ხუმრობით. სერიოზულად კი ქართველ საზოგადოებას შევახსენებ, როგორ, როდის და ვის მიერ დაიწყო ნატო-საქართველოს ფლირტი, რომელმაც საქართველო დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. ზუსტად აღარ მახსოვს რომელ წელს, მაგრამ **ზვიად გამსახურდია** ახალი გაქცეული იყო გროზნოში და, შესაბამისად, **ედუარდ შევარდნაძე** — ახალი „გამეფებული“ საქართველოში (ეს იყო 1990-იანი წლების დასაწყისი), როდესაც თბილისის აეროპორტში ნატოს იმჟამინდელი გენმდივნის, **ხავიერ სოლანას,** თვითმფრინავი დაეშვა. მაშინ ისე შორს ვიყავი პუბლიცისტიკისგან, როგორც დღეს ვარ მიშარასტ-ლიბერასტებისგან. ხავიერ სოლანა ოფიციალურად არავის მოუწვევია საქართველოში და, რომ იტყვიან, გავლით შემოფრინდა ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცეში და, სულ რაღაც, 2-3 საათით სტუმრობდა შევარდნაძეს, ამიტომ ნატოს მთავარსარდლის ვიზიტს გაუბედაობის სუნი ასდიოდა... როგორც მოულოდნელად შემოფრინდა, ასევე მოულოდნელად მცირე დროში გაგვიფრინდა „ძვირფასი“ სტუმარი, მაგრამ მაინც ვიფიქრე: აჰა, მგონი, გვეშველა-მეთქი. ეს რეაქცია ანტისაბჭოთა ვაქცინის ბრალი იყო. იმ ვაქცინის, რომლითაც „ამერიკის ხმამ“, „რადიო თავისუფლებამ“ და სხვა მსგავსმა „თავისუფალმა ხმებმა“ აცრეს სსრკ-ის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც ე.წ. გავლენის აგენტების **შევარდნაძე-იაკოვლევ-გორბაჩოვ-ელცინის** მეთაურობით გაყიდეს სტალინის მიერ რიგითი მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული დიადი სსრკ... მოკლედ, საქართველოსა და ნატოს ურთიერთობის სათავეები ედუარდ შევარდნაძისა და ხავიერ სოლანას სახელებს უკავშირდება. რაც შეეხება ჩემს „აჰა, მგონი, გვეშველას“, გვეშველა კი არა, სოლანას ვიზიტის შემდეგ, ანუ, რაც საქართველომ ნატოსთან საქმე დაიჭირა, ედურდ შევარდნაძის პოლიტიკური მელაკუდობის წყალობით, აფხაზეთი და სამაჩაბლო, რომლებიც მანამდე დე ფაქტო თუ არა, დე იურე საქართველოს განუყოფელ ნაწილებად ითვლებოდა და რასაც რუსეთის ხელისუფლებაც აღიარებდა, დავკარგეთ. **სოროსის ლეკვებმა და შევარდნაძის გამოზრდილმა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს, სააკაშვილის ფაშისტურმა რეჟიმმა შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკაზე უარი თქვა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, ნატოს იმედით, 180 გრადუსით შემოატრიალა, ქვეყნის შიგნით კი ციხეებში პატიმართა სასტიკი წამებითა და ქუჩებში ახალგაზრდების დახვრეტით ახალი ჯიშის ქართველის გამოყვანის ექსპერიმენტი დაიწყო.** შედეგად რა მივიღეთ? — ჰალსტუხის მღოღვნელი, ცხვირით მიწის მთხრელი, ცინგლიანი ახალი ჯიშის ქართველი მიშა სააკაშვილი, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, 9 წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი იყო; აშშ-ის დახმარების იმედით ცხინვალში დაწყებული ომი, რომელშიც 3 დღეში სამარცხვინო მარცხი ვიწვნიეთ; დე ფაქტოსთან ერთად უკვე დე იურედაც დაკარგული სოხუმ-ცხინვალი, პლუს კოდორი და ახალგორი; ათასობით ახალი დევნილი და რა ვიცი, კიდევ რამდენი დანაშაულის გახსენება შეიძლება.

ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** შესახებ, რომელიც, მთელი კვირაა, საინფორმაციო სივრცის მთავარი გმირია. უწოდო მკვლელი მსოფლიოს უძლიერესი (ამერიკელების აზრითაც) ბირთვული არმიის მთავარსარდალს, ნიშნავს იმას, რომ, ჟარგონით თუ ვიტყვით, „ვერ ხარ შენს მოტორზე“... თუმცა ბაიდენის მარაზმატიკობის დამადასტურებელი ფაქტები მანამდეც ძნელად საპოვნი არ იყო — **აშშ-ის პრეზიდენტი თავის შვილებსა და შვილიშვილებს რომ ველარ ცნობს, ეგ არაფერი, ოჯახის პრობლემაა, მაგრამ, როდესაც ბირთვული ზესახელმწიფოს პრეზიდენტს აღარ ახსოვს, ვინ არის პენტაგონის შეფი, ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს აშშ-ის პირველ პირად მოიხსენიებს, ეს უკვე მსოფლიოს უსაფრთხოების პრობლემაა; ხოლო ის, რომ ჯო ბაიდენი საკუთარი თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას სამჯერ წაიქცა და ლამის კიბეზე დაგორდა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.**

ვლადიმერ პუტინმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ღირსეული პასუხი გასცა ამერიკელ კოლეგას საქმითაც (აშშ-რუსეთის ისტორიაში პირველად მოხდა აშშ-დან რუსეთის ელჩის გამოწვევა და, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, დიდი ხნით, რადგან ჯო ბაიდენის შეგნებული თუ შეუგნებელი გამოხდომის გამო მსოფლიო შეიცვლება. აშშ-ის ჰეგემონიას წერტილი რუსეთის პრეზიდენტმა დაუსვა, რომელმაც განაცხადა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი გააგრძელებს ურთიერთობას აშშ-თან, ოღონდ მხოლოდ იმ თემებზე, რომლებიც რუსეთის ინტერესებშია, და რუსეთის პირობებით) და სიტყვითაც — **პუტინმა ხელთათმანი ესროლა ბაიდენს და აშშ-ის პრეზიდენტი ტელედებატებში გამოიწვია, ოღონდ მხოლოდ პირდაპირ ეთერში, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი მიიღო.** პუტინმა ბაიდენს დებატები შესთავაზა უზარმაზარი პლაკატის ფონზე, რომელზეც ეწერა „ყირიმი რუსეთია!“, რაც იმაზე მინიშნებაც იყო, ხელთათმანის აღების შემთხვევაში, რა შავ დღეში ჩააგდებდა კა-გე-ბე-ს ყოფილი პოლკოვნიკი ამერიკელ ვიზავის. ეს ე.წ. სიმეტრიული პასუხები იყო. რაც შეეხება ასიმეტრიულ პასუხებს, არც ეს პრობლემა აქვთ რუსებს. ყოველივე ზემოთ თქმულის პარალელურად კიევმა უარი განაცხადა ე.წ. მინსკში აღებული ვალდებულებების შესრულებაზე და ე.წ. გამყოფ ხაზთან შეტევითი შეიარაღების, მათ შორის მძიმე ტექნიკის, მობილიზაცია დაიწყო. ერთი სიტყვით, **კიევი დონბასის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომისთვის ემზადება, რომლის დაწყებამდე, ჩემი აზრით, დღეები ან, დიდი-დიდი, რამდენიმე კვირაღაა დარჩენილი.** ბანდერელ ფაშისტებს დემენციასთან მებრძოლი ჯო ბაიდენის იმედი აქვთ. სნეული მოხუცი კი არა, ჯანღონით სავსე ახალგაზრდა პრეზიდენტიც რომ ჰყავდეთ ამერიკელებს, ნაცისტი უკრაინელები ისეთს მიიღებენ კბილებში, რომ, დონბასი კი არა, ხარკოვ-ოდესა და, შეიძლება, მთელი უკრაინა, კარპატების გამოკლებით, ყირიმივით დედარუსეთს დაუბრუნდება. ამერიკელები თითსაც არ გაანძრევენ. იარაღს კი, იცოცხლეთ, არ მოაკლებენ — რა ენაღვლებათ, ხოცონ სლავმა ძმებმა ერთმანეთი.

ეს ყველაფერი ქოც-ნაცთა ხელისუფლების გასაგონად უფრო დაწვრილებით მინდოდა მეთქვა, მაგრამ, რადგან „ავი მუსაიფისთვის“ კუთვნილი ფართობი უკვე შევავსე, ამჯერად მოკლედ ვკითხავ ხელისუფლებას: **ქართველი ერის სახელით რომ გველაპარაკებით ამ დაძაბულ დროებაში და თანაც ალვირახსნილი რუსოფობიით, ამის უფლება ვინ მოგცათ თქვენ, რომელთა სახელი ბიძინას გარეშე ზეროა, ან სად გიპოვათ, რომელ სოროში იმალებოდით, როდესაც მე და ჩემნაირები მიშარასტების სისხლიან რეჟიმს სიცოცხლის რისკის ფასად ვებრძოდით?**

მაგრამ ამაზე უფრო ვრცლად, ალბათ, შემდეგ ნომერში.

**დავით მხეიძე**

**წლების განმავლობაში იცვლებოდნენ ნატოს გენმდივნები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მათი რიტორიკა, ამიტომ სტოლტენბერგის განცხადება მისი წინამორბედების განცხადებების მორიგი გადამღერება, ტრაფარეტად ქცეული რიტორიკა იყო; რიტორიკა, რომლის შემოსაღებას ქართველი საზოგადოებისთვის ასევე მერამდენედ ცდილობენ ქოცები და ნაცები, როგორც ხვალის რეალური იმედის**

„ის ნეგატიური დამოკიდებულება ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის, რომელიც ადრე განცხადებებში გამოიხატებოდა, უკვე დიდწილად გადაზრდილია ქმედებებში, რომლებმაც სულ მალე უკრაინა კიდევ ერთხელ შეიძლება გადააქციოს ცხელ წერტილად და, თუ ეს მოხდება, ვეჭვობ, ამ კონფლიქტის მასშტაბები არ შემოიფარგლება მხოლოდ უკრაინით“.

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გივი იუკურიძე:

# დღეს საქართველომ, ისევე, როგორც უკრაინამ, შეიძლება მეორედ გაყოს თავი ძალიან საშიშ გეოპოლიტიკურ ხაფანგში

**საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბრიუსელში ნატოს გენერალურ მდივანთან გამართული შეხვედრის შემდეგ გარკვეული შეფასებები სოციალურ ქსელშიც გააკეთა. როგორც მთავრობის მეთაურმა „ტვიტერში“ დაწერა, შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა ბოლოდროინდელი განვითარება ცხადყოფს, რომ საჭიროა მხარეებს შორის თანამშრომლობის შემდეგ ეტაპზე აყვანა, რათა საქართველომ კიდევ უფრო განიმტკიცოს უსაფრთხოება და დაჩქარდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი: „ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა იენს სტოლტენბერგთან ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკის შესახებ. საქართველომ დაამტკიცა, რომ შესწევს ძალა, ევროატლანტიკურ მშვიდობასა და უსაფრთხოებაში წვლილი შეიტანოს. შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა ბოლოდროინდელი განვითარება ცხადყოფს, რომ საჭიროა თანამშრომლობის შემდეგ ეტაპზე აყვანა და ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის დაჩქარება“.**

**ცნობისთვის:** რამდენიმე დღის წინათ ნატოს საზღვაო ძალებმა შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში მორიგი წვრთნა ჩაატარეს, რომელშიც ალიანსის წევრი რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლობა მონაწილეობდა. ოფიციალური ინფორმაციით, სწავლება სამხედრო ბლოკის მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის (SNMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა, ხოლო საქართველოს მხრიდან მასში სასაზღვრო პოლიციის რამდენიმე ხომალდი მონაწილეობდა, კერძოდ, აილენდის კლასის ხომალდები — „დიოსკურია“ და „ოჩამჩირე“. სწავლების შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, შესაბამისი უწყების მაღალჩინოსნების მიერ შეფასებებიც გაკეთდა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ წვრთნების მიზანია არა ვინმეს ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება, არამედ საქართველოალიანსის შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლება, ასევე საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცება და ა.შ.

**რას ნიშნავს პრემიერის მიერ ბრიუსელში გაკეთებული განცხადება, რომ „შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა ბოლოდროინდელი განვითარება ნატოსთან თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას ცხადყოფს“ და, რაც მთავარია, რა პროცესებს გამოიწვევს ეს საქართველოსთვის, როგორც რუსეთთან უკიდურეს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში მყოფი სახელმწიფოსთვის — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი ᲒᲘᲕᲘ ᲘᲣᲙᲣᲠᲘᲫᲔ.**

**— ბატონო გივი, ამასწინათ ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ირაკლი ღარიბაშვილმა იენს სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ „შავი ზღვის რეგიონში მოვლენათა ბოლოდროინდელი განითარება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შემდეგ ეტაპზე აყვანისა და საქართველოს ალიანსში ინტეგრირების დაჩქარების აუცილებლობას ცხადყოფს“. ნახსენები იყო რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები და ამ გამოწვევისთვის აუცილებელი საპასუხო მოქმედებები. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, კონკრეტულად, რა მოვლენები ჰქონდა პრემიერს მხედველობაში და, საერთოდ, რა შთაბეჭდილება დაგიტოვათ ამ შეხვედრამ?**

— ვფიქრობ, ის გზავნილები, რომლებიც ბრიუსელში პრემიერისგან მოვისმინეთ, დეკლარირებული პოლიტიკის ლოგიკით, ნორმალური იყო. თუმცა ის, რაც სტოლტენბერგის მხრიდან ითქვა, პრაქტიკულად, სიახლე არ ყოფილა. ვგულისხმობ იმას, რომ მოვისმინეთ იგივე ფრაზები, რაც უკვე, 10-15 წელია, გვესმის: ნატოს კარი ღიაა, ნატო დაგეხმარებათ, ვაფასებთ თქვენს წვლილს საერთაშორისო მისიებში და ა.შ. ვფიქრობ, **ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲢᲣᲚᲘ ᲠᲘᲢᲝᲠᲘᲙᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲖᲔᲓᲛᲘᲬᲔᲕᲜᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲙᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘᲐ.**

რაც შეეხება შეკითხვას, რას გულისხმობდა ღარიბაშვილი „შავ ზღვაში მოვლენების ბოლოდროინდელ განვითარებაში“, მას, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა ის, რომ ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურდა რუსეთი. ეს გამოიხატება იმაში, რომ ის მუდმივად ზრდის თავის წარმომადგენლობას სამხედრო გემების სახით, რაც მისი, როგორც რეგიონის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშის, მხრიდან საკუთარი ინტერესების შესაბამისად ძალის სრულიად ლოგიკური დემონსტრაციაა. თუმცა რუსეთის მხრიდან წარმომადგენლობის ზრდის ფონზე ძლიერდება ალიანსის წარმომადგენლობაც და ეს ყველაფერი, პრაქტიკულად, სინქრონულად ხდება, შეიძლება ითქვას, რომ დაძაბულობა პიკს აღწევს. ეს ყველაფერი კი ცხადია თუნდაც იმით, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზღვაო ძალები, რამდენიმე მცურავი საშუალების შემადგენლობით, განუწყვეტლივ მოძრაობენ ჩვენს პორტებში. **ᲠᲐᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲪᲔᲜᲢᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲖᲐᲠᲓᲘ ᲙᲝᲜᲤᲠᲝᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ: ᲘᲡ ᲜᲔᲒᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲮᲐᲢᲔᲑᲝᲓᲐ, ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲓᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲪᲘᲝᲡ ᲪᲮᲔᲚ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲕᲔᲭᲕᲝᲑ, ᲐᲛ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲝᲘᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲗ.**

**— სხვათა შორის, ბოლო ხანს აქტიურად საუბრობენ საქართველო-მოლდოვა-უკრაინის კავშირზეც, რომლებმაც ნატოსთან აქტიური თანამშრომლობით ერთობლივად უნდა განახორციელონ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ მიმართული ქმედებები...**

— მე ვიცი ერთი: სიტყვით ითვლება, რომ ჩვენ რაღაც ამოცანებს ვასრულებთ, მათ შორის ნატოს პოზიციების გასაძლიერებლად შავ ზღვაში, მაგრამ ჩვენ დღეს, როგორც სახელმწიფოს, პრაქტიკულად, არანაირი რესურსი არ გვაქვს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედებისთვის. ჩვენ რეალური საზღვაო კომპონენტი არ გვაქვს, ამიტომ საუბარი იმაზე, რომ საქართველო რამე ფორმით ჩაერთვება ალიანსის მიერ წამოწყებულ ამა თუ იმ კამპანიაში, რომელიც რუსეთის მოქმედებების საპასუხო ნაბიჯები იქნება, არაადეკვატური მგონია. რაც შეეხება მოლდოვას და განსაკუთრებით უკრაინას, რომლის გარშემოც ახლა ძალიან საეჭოდ ვითარდება მოვლენები, მართალია, უკრაინის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში საუბრობენ, ყირიმს დავიბრუნებთო, და ამ ფონზე ხდება სამხედრო კონტინგენტის გადასროლა როგორც დონეცკის, ისე ლუგანსკის მიმართულებით, მაგრამ ამას წინათ ყირიმის შემოერთების რომელიღაც წლისთავზე რუსეთის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა: **„ᲧᲘᲠᲘᲛᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲕᲗᲛᲝᲑᲗ!“** მორჩა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი მზად არის ნებისმიერი მოქმედებისთვის და მათ შორის ომისთვისაც. **ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲖᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲡ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ,** მაგრამ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ᲗᲣ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡᲐᲪ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲩᲐᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ.**

> **«ᲗᲣ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲨᲔᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡᲐᲪ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲩᲐᲗᲠᲔᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ»**

**— მოდი, ასე შევხედოთ ამ ყველაფერს: ფაქტია, რომ საქართველო ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ ნატოს სახელით წამოწყებულ გარკვეულ გეოპოლიტიკურ ავანტიურაში მონაწილეობით რისკავს; რისკავს მათ შორის ალიანსის სამხედრო გემების გახშირებული ვიზიტებითაც ჩვენს პორტებში. რას ვიღებთ სანაცვლოდ — სარგებელი, რომელიც ჩვენთვის მოაქვს ამ ყველაფერს (თუ მოაქვს საერთოდ), შეესაბამება იმ საფრთხეებს, რომლებიც გვექმნება?**

— ჯერ ვთქვათ, რა შეიძლება იყოს იმ საფრთხეების საპირწონე დივიდენდი, რომელსაც რეგიონში რუსეთის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართვა ქმნის ჩვენთვის.

პირველი — **ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲜᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ. ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ: ᲐᲛᲐᲡ ᲗᲣ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑ, ᲛᲘᲒᲘᲦᲔᲑ; ᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲮᲐᲚᲡ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲔᲜ ᲠᲐᲦᲐᲪᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ? ᲐᲠᲐ.**

მეორე — ალიანსის წევრობის კონკრეტული პერსპექტივა თუ არა, იმის გარანტია მაინც უნდა იყოს, რომ, თუ, ვთქვათ, რამე აგრესია განხორციელდება ჩვენზე, შეშფოთება-აღშოთებით კი არ დაგვეხმარებიან, არამედ მივიღებთ კონკრეტულ დახმარებებს — სამხედროს, ეკონომიკურს, ჰუმანიტარულს, პოლიტიკურს და ა.შ. ეს რომ ზღაპარია, 2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადყო. მაშინ ჩნდება შეკითხვა: **ᲠᲐᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲐᲜᲢᲘᲠᲣᲡᲣᲚ ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐᲨᲘ ᲑᲠᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐ?**

**— თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ვფიქრობ, ჩვენს შემთხვევაში აბსოლუტურად დარღვეულია სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მარტივი პრინციპი, რომ, როდესაც რაღაცას გასცემ, სანაცვლოდ რაღაც უნდა მიიღო. **ᲩᲕᲔᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲛ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲒᲐᲕᲧᲝᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲨᲘᲨ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲮᲐᲤᲐᲜᲒᲨᲘ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲨᲘᲒᲜᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲐ...**

**— ხშირად მსმენია პოლიტიკოსებისგან, მათ შორის ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის წარმომადგენლებისგანაც, რომ რუსეთმა საქართველოს ყველაფერი წაართვა, რისი წართმევაც უნდოდა, და ახლა უკან დასახევი გზა არ გვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინაში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყება და მასში ჩვენც ჩაგვითრევენ, კიდევ რა ზიანი შეიძლება მოგვადგეს, რა შეიძლება დავკარგოთ?**

— სხვათა შორის, უკრაინაზეც ამბობს ზოგი, რომ მან დასაკარგი დაკარგა და უკან დასახევი გზა არ აქვს. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ფართომასშტაბიანი ომის შემთხვევაში მოქმედებებმა შეიძლება ქვეყნის სხვა ნაწილებშიც გადაინაცვლოს; ასე რომ, მათ დასაკარგი, რა თქმა უნდა, ბევრი აქვთ. რაც შეეხება საქართველოს, **ᲜᲣ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲖᲐᲠᲓᲘᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲚᲘᲢᲐᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ,** ისტორიული ინტერესები უცვლელია... ეს ერთი. მეორე — ნუ დაგვავიწყდება, რომ არის სამცხე-ჯავახეთი, სადაც კონკრეტულ ვითარებაში სულაც არ არის გამორიცხული, ჩვენთვის საზიანო გარკვეული მოქმედებები გააქტიურდეს. **ᲐᲘ, ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲭᲙᲣᲐ ᲛᲝᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲠᲒᲘ ᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲒᲕᲠᲩᲐ, ᲘᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲗ ᲐᲗᲛᲐᲒᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲛᲐᲒᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲗ.** გაფრთხილებას ვუწოდებ ისეთ პოლიტიკას, რომელიც ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერ პოლიტიკურ კონიუქტურაში იხელმძღვანელებს ერთადერთი პრინციპით — რას მოუტანს ეს საქართველოს, და არა იმას, რომ გამუდმებით საზღვარგარეთიდან ველოდოთ რაღაც პოლიტიკურ დივიდენდებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება კარგი სატყუარაა, მაგრამ რეალურად არაფერს გვაძლევს.

> **«ᲜᲣ ᲓᲐᲒᲕᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲖᲐᲠᲓᲘᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲚᲘᲢᲐᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ»**

ესაუბრა **ᲯᲐᲑᲐ ᲟᲕᲐᲜᲘᲐ**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დიდი იმედი მაქვს, რომ რუსეთი და თურქეთი, მიუხედავად ამჟამინდელი ე.წ. თბილი დამოკიდებულებისა, ვერასოდეს შეთანხმდებიან. ჩვენ იღბლიანები ვართ, რადგან რუსეთი თურქეთს არასოდეს შეუშვებს შავ ზღვაში და ბათუმს არასოდეს დაუთმობს. ვერც სომხები და აზერბაიჯანელები შერიგდებიან, ეს დროებითია, დღეს ასეა საჭირო... 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში თურქეთის მმართველი ერდოღანი რუსეთში ჩავიდა. მას რა უნდოდა, ვიცით, მაგრამ, რომ არ დაგვთმო რუსეთმა, ესეც ვნახეთ“.

სოსო ცინცაძე:



# უნიათო ხელისუფლების წყალობით, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მოკავშირის გარეშე რჩება. არ გვყავს სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც ჩვენ გამო იომებს

## «ქართველი ჟურნალისტები მოსყიდულები და გაყიდულები არიან, არ გვყავს მაღალი დონის ტელეჟურნალისტები»

**სანამ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები ე.წ. ფასილიტატორებთან ერთად ოპოზიციის პარლამენტში შესვლა-არშესვლისა და არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხებს განიხილავენ, რუსეთმა აშშ-დან ელჩი გამოიწვია, სომხეთი აზერბაიჯანის გავლით მიიღებს რუსულ ბუნებრივ აირსა და ნავთობპროდუქტებს, თურქეთი სომხეთის გავლით სარკინიგზო დერეფანს ხსნის რუსეთთან, ჩინეთი მოლაპარაკებებს აწარმოებს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან სამხედრო ბაზების გახსნაზე... ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზე, ქვეყანაში ამ პროცესებისადმი უყურადღებობასა და გეოპოლიტიკური ვითარებისადმი ქართული სატელევიზიო სივრცის ინდიფერენტულობაზე პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე გვესაუბრება:**

— საქართველოს მთავრობა ვერ აღიქვამს, რა ხდება ჩვენს სამეზობლოში. ამიერკავკასია დაკავებულია ზემნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრით და ჩვენთან მთავრობა, ძალოვანი სტრუქტურები თუ ტელევიზიები **გოგი წულაიას** სექსუალურ მოთხოვნილებებზე საუბრობს. ღმერთმა ქნას, საქართველოს წულაიაზე მეტი სალაპარაკო და საფიქრალი არ ჰქონდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ორი დღის წინათ გამოქვეყნდა ბედნიერი ქვეყნების სარეიტინგო სია, რომელშიც საქართველო სადღაც ბოლოში, უბედურ ქვეყნებს შორისაა აფრიკულ სახელმწიფოებთან ერთად. ბედნიერებაში არ იგულისხმება ახლობლის სიკვდილი, ხანძარი, მიწისძვრა. გელაპის ინსტიტუტი იკვლევს ერების ზოგად მდგომარეობას, გაირკვა, რომ ფინეთში მხოლოდ ათი პროცენტია უბედური, ხოლო საქართველოში ათი პროცენტია ბედნიერი. კვლევის ინიციატორები ბედნიერების მიზეზსაც ასახელებენ — ფინეთში ხალხი ბედნიერია იმიტომ, რომ ხელისუფლებას ენდობიან და ეს მათ აბედნიერებთ. ქართველები კი პირიქით — მთავრობის გამო ვართ უბედურები.

**ამიერკავკასიაში ძალიან დიდი გეოპოლიტიკური ძვრები მიმდინარეობს. პირდაპირ ვთქვათ: მიმდინარეობს დიდი ქვეყნების მიერ პატარა ქვეყნების გადანაწილება. პოლიტიკოსები ამბობენ — „არასდროს თქვა არასოდეს!“ ჩვენ ვხედავთ, როგორ ურთიერთობენ რუსეთი და თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, რაც აქამდე წარმოუდგენლად მიგვაჩნდა, მაგრამ საქართველო არ ურთიერთობს არავისთან.**

უნიათო ხელისუფლების წყალობით, საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მოკავშირის გარეშე რჩება. არ გვყავს სტრატეგიული მოკავშირე, რომელიც ჩვენთვის, ჩვენ გამო იომებს.

**— პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე ამერიკელებს უგზავნის წერილს და დახმარებას სთხოვს. არის ამერიკა ის ქვეყანა, რომლის იმედიც უნდა გვქონდეს და რომელიც ჩვენთვის იომებს ან საშინაო პოლიტიკის პრობლემებს მოგვიგვარებს?**

— არა, ამერიკა ჩვენთვის არ იომებს, არც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში არ ჩაერევა, თუკი მისი ინტერესები არ გატარდება.

ამერიკა არაფერში რომ არ გვარგია, 2008 წლის ომში ვნახეთ. ამერიკელებმა საყვარელი და ფავორიტი პრეზიდენტის, **სააკაშვილის,** დასახმარებლად გემი გამოგზავნეს ძალის დემონსტრაციისთვის და სხვა არაფრისთვის, **ძალის ასეთი დემონსტრაციები მე-19 საუკუნეში ხდებოდა, როდესაც რუსეთი თურქეთს ემუქრებოდა და ინგლისი გემებს უშვებდა ვითომ რუსეთის შესაშინებლად.**

მძიმეა დღეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მძიმეა ჩვენი მთავრობის უმეცრების ყურებაც, თითქმის მკვდრები ვართ, მაგრამ ხანდახან მკვდარიც გაიქნევს ხელსო, — ამბობენ...

**ხელისუფლებას მართებს ქკვიანური გადაწყვეტილებების მიღება, ჩვენ არ გვყავს მოკავშირეები. ხშირად, როდესაც ძალიან გვიჭირდა ქართველებს, მარტონი ვრჩებოდით, ასეა ახლაც. რა მოსატანია გლობალურ პოლიტიკასთან ჩვენი საშინაო პრობლემები, მაგრამ უნდა ვთქვა — რა გააკეთეს ევროპელებმა ხელისუფლებისა და პოზიციის შესარიგებლად რომ ჩამოვიდნენ?!**

აშშ-ის პრეზიდენტის პოსტიდან **დონალდ ტრამპის** წასვლის შემდეგ ევროპაც და ამერიკაც გზაჯვარედინზე აღმოჩნდნენ. **ჯო ბაიდენმა** გადაწყვიტა, დაუბრუნდეს ძველ, ლიბერალურ პრინციპებს, რომლებმაც დააბნია მსოფლიო. **იმას, რაზეც ტრამპი თვალს ხუჭავდა, ბაიდენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მკვლელებს უწოდებს მსოფლიოს დიდი და წამყვანი ქვეყნების ლიდერებს. ბაიდენი მიჰყვება ამ გზას, მაგრამ ევროპა არ არღვევს პრინციპებს და მიჰყვება გზას, რომელიც მის ინტერესებში შედის, მის ინტერესებში კი შედის კარგი ურთიერთობები რუსეთთან.**

ქართული დიპლომატია მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგეს, ცოდნა რომ ჰქონდეთ, ჩვენი ქვეყანა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საქართველო რომ ყოფილიყო შუამავალი, ამით მხოლოდ მოვიგებდით, არავითარ შემთხვევაში წაგებული არ დავრჩებოდით.

**გამუდმებით დიპლომატიაზე ვსაუბრობ, მაგრამ დიპლომატიაც არ სჭირდება სამეზობლოში მიმდინარე პროცესების გაანალიზებასა და ჩვენი ქვეყნის როლის წინ წამოწევას, ამას პატრიოტიზმი სჭირდება, უბრალოდ, უნდა გიყვარდეს სამშობლო და მიხვდები, რა გაქვს გასაკეთებელი.**

**სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობის წევრებს არც დიპლომატიური ცოდნა აქვთ, არც სამშობლო უყვართ.** როდესაც შენ გარშემო, შენს სამეზობლოში მართლაც სერიოზული ძვრები მიმდინარეობს, არც მწვადი უნდა დაწვა და არც შამფური. ასეთ პოლიტიკას ატარებდა მუდმივად **შევარდნაძე,** რომელიც მოსკოვში ჩადიოდა და რუსეთის პრეზიდენტის დაბადების დღეზე პირველ სადღეგრძელოს ამბობდა, მაგრამ მეორე დღეს, თბილისში დაბრუნებული, განაცხადებდა, მალე ნატოს დავუკაკუნებთ კარზეო. ის თამაშობდა, ყველა კალათაში ერთდროულად დებდა კვერცხს.

**პატრიოტიზმი გვაკლია. როდესაც საკითხი ასე დგება — ფული თუ პატრიოტიზმი, ჩვენდა სამწუხაროდ, ფულს ამჯობინებენ. საქართველოს აღარ ჰყავს ზვიად გამსახურდიასნაირი პატრიოტები, არც ცოტნე დადიანები...**

ვაქცინით ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა და ჯანდაცვის მინისტრმა განცხადა: დავალება გვაქვს და ვაქცინაცია უნდა გაგრძელდესო. ჩვენი ჯანდაცვის მინისტრი და, საზოგადოდ, მინისტრები ასრულებენ დავალებებს, რომლებიც არ მიუცია ქვეყნის პრემიერმინისტრს. არადა, ხომ კარგად ვიცით, რომ მინისტრს დავალებას მთავრობის მეთაური, პრემიერი უნდა აძლევდეს. ხედავთ, რა ხდება ჩვენთან?!

**— საქართველოს გარშემო უამრავი რამ ხდება, მაგრამ სატელევიზიო ეთერებში წუთიც არ ეთმობა ამ სიახლეებს. როგორც ინტერვიუს დასაწყისში აღნიშნეთ, მხოლოდ გოგი წულაიას სექსუალურ მოთხოვნილებებსა და ასეთ საკითხებზე საუბრობენ... რა სჭირთ ქართულ ტელეარხებს და იქ მომუშავე ჟურნალისტებს?**

— არა მხოლოდ ტელევიზიებში, ყველა სფეროში, — და მთავრობაც უნდა ვახსენო ამ შემთხვევაში, — საქართველოში არის პროვინციალიზმის უკიდურესი გამოვლინება.

საქართველოში სამოქალაქო ომმა მიწასთან გაასწორა ყველა სფერო, მათ შორის სატელევიზიოც. სიძულვილი, რომელიც მაშინ დაითესა, დღემდე გრძელდება.

**სიმართლე გითხრათ, ტელევიზიაში რომც დამიძახონ, არ წავალ, რადგან ანგაჟირებული არ ვარ, არც „ნაცი“ ვარ და არც „ქოცი“, ამიტომ მათთვის საინტერესოს ვერაფერს ვიტყვი. ზუსტად ვიცი, ახლა რომ რაიმე ე.წ. სკანდალური განცხადება გავაკეთო თქვენს გაზეთთან ინტერვიუში, ყურადღების ცენტრში მოვექცევი, მაგრამ ეს არ არის ჩემი მიზანი, სკანდალი არ მხიბლავს, მაგრამ, თუკი დებატები გაიმართება მაღალ დონეზე, დიდ პოლიტიკაზე, მაშინ აუცილებლად ჩავერთვები. სამწუხაროდ, ჩვენს სატელევიზიო სივრცეში მსგავსი გადაცემები არ არსებობს.**

ხშირად ვუყურებ რუსეთის ტელეარხებს, გამოწერილი მაქვს რუსული პრესა, სადაც ძალიან საინტერესო ინფორმაციას წაიკითხავ, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია, ჩვენში საინტერესოს ვერაფერს წაიკითხავ, ვერ მოისმენ და აქვე ვიტყვი, რომ **ქართველი ჟურნალისტები მოსყიდულები, გაყიდულები არიან, ჩვენ არ გვყავს მაღალი დონის ტელეჟურნალისტები.**

დავუბრუნდები იმ „ბედნიერების ინდექსს“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. ასეთი „უბედური“ ჩვენი ერი დიდი სამამულო ომის შემდეგაც არ ყოფილა, იმხანად ჩვენი ბედნიერების მაჩვენებელი, გაცილებით მაღალი იყო. მახსოვს ჩვენი დიდი მეცნიერების გამოსვლები, როგორი შემართებით იყვნენ და როგორი დიდი იმედი ჰქონდათ მომავლის...

**— რა გვეშველება? რა არის ამ ჩიხიდან გამოსავალი?**

— პირდაპირ გეტყვით: **მე დიდი იმედი მაქვს, რომ რუსეთი და თურქეთი, მიუხედავად ამჟამინდელი ე.წ. თბილი დამოკიდებულებისა, ვერასოდეს შეთანხმდებიან. ჩვენ იღბლიანები ვართ, რადგან რუსეთი თურქეთს არასოდეს შეუშვებს შავ ზღვაში და ბათუმს არასოდეს დაუთმობს. ვერც სომხები და აზერბაიჯანელები შერიგდებიან, ეს დროებითია, დღეს ასეა საჭირო... 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში თურქეთის მმართველი ერდოღანი რუსეთში ჩავიდა, მას რა უნდოდა, ვიცით, მაგრამ, რომ არ დაგვთმო რუსეთმა, ესეც ვნახეთ.**

საქართველოს დიდი შანსი აქვს ტერიტორიების დაკარგვის, ეს პროცესი გადადო ამიერკავკასიაში მიმდინარე ცვლილებებმა. საქართველომ ვერასოდეს შეძლო მარნეულის აზერბაიჯანელები და ახალციხის სომხები ქართველებად მოექცია; ჩვენ ვერ შევძელით, მათთვის ქართული ენა გვესწავლებინა. ეს პრობლემაა და ჯერჯერობით რუსეთი გვმფარველობს. არ ვფიქრობ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ალიევმა დავითგარეჯის პრობლემა ასე უჩუმრად გაატაროს. ჯერ ჩუმად არის, რადგან ასეა საჭირო. ჩვენ ჭიდაობა მოგვიწევს და იმედი არ მაქვს, რამეს საჩვენოდ გავაკეთებთ.

**საქართველო დაუცველია, ჩვენ სამხედრო მოკავშირე არ გვყავს. დიპლომატებიც არ გვყავს, სხვა შემთხვევაში, შეგვეძლო ჩვენი უახლოესი მეზობლების პრობლემის გადაწყვეტა უცხო ქვეყნების ჩარევის გარეშე — საქართველოზე ნაწყენია აზერბაიჯანიც და სომხეთიც და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ, რასაც უცხო ქვეყნიდან გვიკარნახებენ, იმას ვაკეთებთ, მათ კი ჩვენ მთავრობას არ ურჩიეს ჩარევა.**

თქვენ გსურთ, მოისმინოთ ჩემგან რაიმე ოპტიმიზმის მაგვარი, მაგრამ მსგავსს ვერაფერს ვიტყვი. გამოსავალსაც ვერ ვხედავ. უფალი დაგვიფარავს! იღბლიანები ვართ ქართველები და ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდება კიდეც ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, თუკი ძალიან დიდ უვიცობასა და ცოდვებში არ გავეხვევით.

**«პატრიოტიზმი გვაკლია, როდესაც დგება საკითხი — ფული თუ პატრიოტიზმი, ჩვენდა სამწუხაროდ, ფულს ამჯობინებენ. საქართველოს აღარ ჰყავს ზვიად გამსახურდიასნაირი პატრიოტები, არც ცოტნე დადიანები»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ასტრაზენეკას“ ერთ-ერთი კომპონენტია ემბრიონის, ე.ი., აბორტის შედეგად მოწყვეტილი ბავშვის ბიომასალა. ეს ინფორმაცია ყველას შეუძლია მოიძიოს. ვფიქრობ, ეს არის ჩვენი დროის კანიბალიზმი და ამიტომ ვამბობ უარს აცრაზე. სხვათა შორის, ამას წინათ პაატა იმნაძემ განაცხადა: რა სისულელეა, ამდენი ემბრიონი რაღაც სამედიცინო ცდებისა თუ პრეპარატებისთვის სად არისო... ვინც არ იცის, ოფიციალური სტატისტიკით, წელიწადში მსოფლიოში, სულ მცირე, 650 მილიონი აბორტი კეთდება“.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# მე, როგორც სასულიერო პირი, ვერ დავიკისრებ პასუხისმგებლობას და ვერავის მოვუწოდებ, ჩაიტაროს ვაქცინაცია

## «ყველა, ვინც დღეს ადამიანებს აშინებს, რომ ხატს არ ემთხვიონ, თორემ შეიძლება დაინფიცირდნენ, ნებსით თუ უნებლიეთ, XXI საუკუნის ხატმებრძოლია!»

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ, რომელიც ჯანდაცვის უწყების სხვა წარმომადგენლებთან ერთად კვლავ ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ „ასტრაზენეკა“ უსაფრთხო და ეფექტიანი პრეპარატია, ერთ-ერთ ბრიფინგზე სამღვდელოებას ვაქცინაციის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მისი თქმით, საზოგადოების უდიდეს ნაწილს სასულიერო პირების ძალიან სჯერა, ამიტომ კარგი იქნება, თუ ისინი მედიკოსებს მხარში ამოუდგებიან და მოსახლეობის მასობრივი აცრის პროცესს ხელს შეუწყობენ. მან აგრეთვე, აღნიშნა, რომ გასულ წელს ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პანდემიასთან ბრძოლაში და განსაკუთრებული ხაზგასმით წმინდა სინოდს მიმართა: „მინდა, ვთხოვო წმინდა სინოდს, თითოეულ მღვდელმთავარს, მათი როლი ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში განსაკუთრებულია...“**

შეფასებებში კიდევ უფრო თავდაჯერებული იყო დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე **პაატა იმნაძე,** რომელმაც ვაქცინაციის მიმართ საზოგადოებაში არსებულ შიშებზე ისაუბრა და დასძინა, რომ იცის სასულიერო პირები, რომლებიც ახლო მომავალში მედიის თანდასწრებით აიცრებიან: „მე უკვე ვიცი სასულიერო პირები, რომლებიც აიცრებიან და ეს ყველაფერი მოხდება თქვენი თანდასწრებით. მე, პირადად, „ჩიპი“ არ მაქვს და რა ვქნა ახლა. ასე რომ, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება...“

შეგახსენებთ, რომ საქართველოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა „ასტრაზენეკათი“ მოსახლეობის (კერძოდ, მედიკოსების) აცრა 15 მარტს დაიწყო. სამი დღის შემდეგ (19 მარტს) ვაქცინის თანამდევი უარყოფითი მოვლენით ახალციხეში 27 წლის სრულიად ჯანმრთელი ექთანი გარდაიცვალა. საზოგადოებაში ამ ყველაფერმა, ბუნებრივია, უარყოფითი რეაქცია და ვაქცინაციისადმი კიდევ უფრო მეტი უნდობლობა გამოიწვია. თუმცა ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელები, მათ შორის თვითონ მინისტრი **ეკატერინე ტიკარაძეც,** საზოგადოებას არწმუნებს, რომ პრეპარატი, რომელმაც მსოფლიოში უკვე შეიწირა რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე, უსაფრთხოა...

**უნდა გაგრძელდეს თუ არა ქვეყანაში საეჭვო პრეპარატით მოსახლეობის აცრა, დაუჭერს თუ არა მხარს ამ პროცესს ეკლესია და რა პოზიცია აქვს სამღვდელოებას, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, რამდენიმე დღეა, საქართველოში ვაქცინაცია მიმდინარეობს და ამ ხნის განმავლობაში ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებმა არაერთხელ მოუწოდეს სამღვდელოებას პროცესის მხარდაჭერისკენ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, რომ საზოგადოებას ძალიან სჯერა სამღვდელოების, ამიტომ სასულიერო პირები მხარში უნდა ამოუდგნენ ექიმებს. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე და, საერთოდ, ვაქცინაციის პროცესზე?**

— უწინარესად, საინტერესოა ის, რომ ზოგიერთი, როგორც იქნა, მიხვდა ეკლესიის მნიშვნელობას. „მიხვდა“, რომ ეკლესიას აქვს ავტორიტეტი და ხალხი მას უსმენს, რაც ნამდვილად ასეა. ღმერთს მადლობა ამისთვის!.. **რაც შეეხება კონკრეტულად მოწოდებებს, რომ სამღვდელოებამ მხარი უნდა დაუჭიროს ვაქცინაციას და ყველანაირად ხელი შეუწყოს მას, ჩემი აზრით, ეს რიტორიკა საფუძველშივე მცდარია, იმიტომ, რომ მღვდლის კომპეტენციაში არ არის ვაქცინის გაკეთება-არგაკეთების საკითხი. მღვდელი სულის მკურნალია. ფიზიკური სნეულების მკურნალობისთვის კი არსებობს ექიმი და საავადმყოფო. თუმცა ამ ექიმებმა უკვე ისე შეირცხვინეს თავი გასული წლის აღდგომას, რომ ბუნებრივია, ხალხს მათდამი ნდობა აღარ აქვს...**

**— რას გულისხმობთ შერცხვენაში?**

— იმას, რომ გვახსოვს ცნობილი განცხადება: თუ ეკლესიაში მივა ხალხი, კუბოებს ვერ დავითვლითო; ან კიდევ — საერთო კოვზით ზიარება საშიშიაო, არც ხატებს უნდა მთხვეოდნენ ადამიანები და ა.შ. ის კი არა, მარხვის პერიოდში ეკლესიებთან პოლიციელები იდგნენ და, როგორც საშიშ დამნაშავეებს, ისე გვყარაულობდნენ; აღდგომა დღეს კიდევ ისეთი ამბავი იყო, გაგიჟდებოდა კაცი... სხვათა შორის, რადგან ვირუსსა და ეპიდემიაზე ვსაუბრობთ, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: ამ დღეებში ათონის წმინდა მთიდან გამომიგზავნეს **არქიმანდრიტ საბას** წერილი, რომელსაც მოყვანილი აქვს შემდეგი ფაქტი: **1981 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა წიგნი სახელწოდებით „თვალი ჯოჯოხეთიდან“, რომელშიც აღწერილია საშინელი ეპიდემია. ავტორი მოგვითხობს, როგორ ჩნდება მომაკვდინებელი ვირუსი ქალაქ უჰანში და როგორ იხოცება ხალხი. იქიდან გამოიქცევა ერთი ადამიანი და შემდეგ მსოფლიოში გაავრცელებს დაავადებას. მერე აღწერილია, როგორ ხდება კარანტინი, ჩაკეტვა სხვადასხვა ქალაქებისა და ა.შ. წარმოიდგინეთ, ეს დაწერილია 40 წლის წინათ...** ახლა ამ ყველაფერს რატომ ვყვები: არ ვარ შეთქმულების თეორიების მოყვარული, მაგრამ ჩნდება მარტივი შეკითხვა — **40 წლის წინათ დაწერილ წიგნში, პრაქტიკულად, მათემატიკური სიზუსტით არის აღწერილი დღევანდელი უბედურება, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილია?!** კიდევ ვიმეორებ, არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ფაქტია: არსებობს წიგნი „თვალი ჯოჯოხეთიდან“, რომლის მოძიებაც ყველას შეუძლია. რაც შეეხება ისევ იმ ფაქტს, რომ წინა აღდგომას, ფაქტობრივად, ფსიქოლოგიური ტერორი მოუწყვეს მოსახლეობას, — არიქა, ტაძრებში არ მიხვიდეთ, ხატებს არ ემთხვიოთ, თორემ კუბოებს ვერ დავითვლითო, წინა კვირას, 21 მარტს, დასრულდა დიდმარხვის პირველი კვირა, რომელიც არის მართლმადიდებლობის ზეიმი და ხატმებრძოლებზე გამარჯვების დღე, ვფიქრობ, ეს ყველაფერი დღესაც დიდი სიმბოლური დატვირთვის მქონეა, იმიტომ, რომ ისევე, როგორც საუკუნეების წინათ, **დღესაც გვესმის არანაკლებ დამთრგუნველი ხატმებრძოლური მოწოდებები ერთი კოვზით ზიარების გამო მოსალოდნელ საფრთხეებზე და იმაზე, რომ თურმე ეს ყველაფერი ინფიცირების წყაროა.** ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **შეუძლებელია, ხატი და წმინდა ზიარება ინფექციის გამავრცელებელი იყოს!**

**— ე.ი., გრძელდება პროპაგანდა, რომ მოსახლეობამ ეკლესიებში სიარულისგან თავი შეიკავოს?**

— რა თქმა უნდა. სხვათა შორის, აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით ხატთაყვანისცემის შესახებ: იყო ერთი ბერი, რომლის შეცდენასაც ეშმაკი ცდილობდა მრუშობის ცოდვით. ასე გრძელდებოდა მთელი ცხოვრება. ბოლოს შეწუხდა ეს ადამიანი და ეშმაკს უთხრა: დამანებე თავი, უკვე ხანდაზმული ვარო. ეშმაკმა უთხრა: ღვთისმშობლის ხატი რომ გაქვს კედელზე, მოიშორე და თავს დაგანებებო. მივიდა ეს ბერი და რჩევა ჰკითხა თავის სულიერ მოძღვარს, რომელიც მასზე გამოცდილი იყო. მოძღვარი ეუბნება: სჯობს, ათასჯერ დაეცე ცოდვით, ვიდრე ხატის თაყვანისცემა შეწყვიტოო... **ყველა, ვინც დღეს ადამიანებს აშინებს, ხატს არ ემთხვიონ, თორემ შეიძლება, დაინფიცირდნენ, ნებსით თუ უნებლიეთ, XXI საუკუნის ხატმებრძოლია და თავს აყენებს ეკლესიის გარეთ. ასეთი ადამიანების მიმართ, ვინც უნდა იყოს, გინდ ექიმი და გინდ პროფესორი, საზოგადოებაში ნდობა ვერ იქნება...**

> **«ახლა რომ ალაპარაკდნენ ეკლესიის ავტორიტეტზე და სამღვდელოებას მოუწოდებენ, — საზოგადოებას თქვენი სჯერა, მხარში ამოგვიდექითო, მაშინ რატომ არ ახსენდებათ ეს, როცა საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელ კანონებს იღებენ?! მაშინ არ იყო ეკლესია ავტორიტეტული, როცა, მაგალითად, «ბავშვის უფლებათა კოდექსს» იღებდნენ?!»**

**— დავუბრუნდეთ ვაქცინაციას, ჯანდაცვის უწყების წარმომადგენლები გვეუბნებიან: კი, მართალია, „ასტრაზენეკა“ გარკვეულ რისკებს შეიცავს, მაგრამ სარგებელი გაცილებით მეტიაო... რას უპასუხებთ მათ?**

— რას ნიშნავს, სარგებელი გაცილებით მეტია რისკებზე?! **რა, არითმეტიკული გათვლებით უდგებიან ადამიანების სიცოცხლეს — მერე რა, თუ ერთი და ორი მოკვდება, გაცილებით მეტი კარგად იქნებაო?!** ჩემი აზრით, ერთი ადამიანის სიცოცხლესაც თუ ექმნება საფრთხე, ის სამედიცინო საშუალება უკვე ამოსაღებია. არ შეიძლება, ასე ვიანგარიშოთ, რომ ამდენი შეიძლება მოკლას, ამდენს გადაარჩენს. **მე, როგორც სასულიერო პირი, ვერ დავიკისრებ პასუხისმგებლობას და ვერავის მოვუწოდებ, მით უმეტეს, მრევლს, ჩაიტაროს ვაქცინაცია.**

> **40 წლის წინათ დაწერილ წიგნში, პრაქტიკულად, მათემატიკური სიზუსტით არის აღწერილი დღევანდელი უბედურება, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული და დაგეგმილია?!**

**— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ვაქცინით, შესაძლოა, ორგანიზმში ელექტრონული მიკრომოწყობილობის ჩამონტაჟება ხდებოდეს. ამაზე რას ფიქრობთ?**

— ვფიქრობ, არანაირ ე.წ. ჩიპზე აქ არ არის საუბარი, ეს აბსურდია და, ვინც ამაზე ლაპარაკობს, უკიდურესობაშია გადავარდნილი, ისევე, როგორც ის ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ვაქცინა გადარჩენის ერთადერთი გზაა. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანის უფლება, თუმცა აქ კიდევ მეორე საკითხია მნიშვნელოვანი — „ასტრაზენეკას“ შემცველობის ჩამონათვალში უწერია, რისგან მზადდება...

**— რისგან მზადდება?**

— „ასტრაზენეკას“ ერთ-ერთი კომპონენტია ემბრიონის, ანუ აბორტის შედეგად მოწყვეტილი ბავშვის ბიომასალა. ეს ინფორმაცია ყველას შეუძლია მოიძიოს. ვფიქრობ, ეს არის ჩვენი დროის კანიბალიზმი და მე ამიტომ ვამბობ უარს აცრაზე. სხვათა შორის, **ამას წინათ პაატა იმნაძემ განაცხადა: რა სისულელეა, ამდენი ემბრიონი რაღაც სამედიცინო ცდებისა თუ პრეპარატებისთვის სად არისო... ვინც არ იცის, ოფიციალური სტატისტიკით, წელიწადში მსოფლიოში, სულ მცირე, 650 მილიონი აბორტი კეთდება...**

**— იმნაძემ ამ დღეებში ისიც განაცხადა, რომ იცის სასულიერო პირები, რომლებიც მზად არიან, კამერების წინ საჯაროდ აიცრან...**

— **ახლა რომ ალაპარაკდნენ ეკლესიის ავტორიტეტზე და სამღვდელოებას მოუწოდებენ, — საზოგადოებას თქვენი სჯერა, მხარში ამოგვიდექითო, მაშინ რატომ არ ახსენდებათ ეს, როცა საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელ კანონებს იღებენ?! მაშინ არ იყო ეკლესია ავტორიტეტული, როცა, მაგალითად, „ბავშვის უფლებათა კოდექსს“ იღებდნენ?!** რაც შეეხება კონკრეტულად ვაქცინაციის მსურველ მღვდლებს, კი, ბატონო, ვისაც რა უნდა, ის ქნას, მაგრამ ჩვენც გვაქვს ინფორმაცია და ჩვენი აზრიც გასათვალისწინებელია. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე ჩემს ოჯახს ვერ ავცრი. რატომ, უკვე მოგახსენეთ, თუმცა არის კიდევ სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც ეს ვაქცინა მიუღებელია. მაგალითად ის, რომ ჯერ ბოლომდე არ არის გამოცდილი და სამეცნიერო კვლევების თანამიმდევრობის დარღვევით დამტკიცდა. სხვა რა გითხრათ, ძალიან სამწუხაროა, რომ ადამიანი გარდაიცვალა.

მრევლს რაც შეეხება, ვერავის მოვუწოდებ, ან ასე მოიქეცით, ან ისე-მეთქი, მაგრამ, თუ ვინმე აზრს მკითხავს, ვეტყვი... დასამალი აქ, ცხადია, არაფერია... ყველამ თვითონ გადაწყვიტოს, რას იზამს და როგორ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ ის სახელმწიფოა, ომის გარეშე ერთი დღე რომ არ უცხოვრია. დედამიწის ზურგზე არსებულ არც ერთ სახელმწიფოს იმდენი არ უომია, რამდენიც ამ სახელმწიფომ იომა. მათ მიერ ნაწარმოები თითქმის ყველა ომი უსამართლო და დამპყრობლური იყო. აი, ამას ჰქვია მკვლელობა. აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!**



# ეს ბზარი აქამდე იყო? პუტინმა სამჯერ გაისროლა და... ბაიდენი სამჯერ წაიქცა!

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი





## მეცხრე გამოშვება

**„ჩვენ მკვლელების საზოგადოება ვართ, მკვლელობა სარკმელია ამერიკულ კულტურაში“.**
**ოსტინ სარატი**
**(ამერიკელი იურისტი, პროფესორი)**

ბავშვი იქამდე, სანამ ლაპარაკს ისწავლის, ქცევის წესების შესწავლას იწყებს, ზრდილობის შესწავლას იწყებს. იგი ისე იქცევა, როგორც ჩვილი უნდა იქცეოდეს, ანუ მისი ასაკის ადეკვატურია. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ 78 წლის პრეზიდენტი ბაიდენი თავის ასაკსა და მდგომარეობასთან ადეკვატურობას ავლენდა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტ პუტინს მკვლელი უწოდა. მისი ეს საქციელი არათუ პოლიტიკური ეთიკის ნორმებში ვერ თავსდება, შერაცხადობის (ნორმალურობის) კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

ბაიდენის განცხადების შემდეგ მსოფლიო დაიძაბა. არავინ იცოდა, როგორი იქნებოდა რუსეთისა და მისი პრეზიდენტის პასუხი — პრეზიდენტის შეურაცხყოფა ხომ სახელმწიფოსა და ხალხის შეურაცხყოფაა?! ამგვარ უპასუხისმგებლო ნათქვამს ომების გამოწვევა შეუძლია. **ყველას აინტერესებდა, რა ფორმისა და შინაარსის იქნებოდა პასუხი, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის ამ ულირს საქციელს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა. პასუხი დიდებული იყო — გამაოგნებლად დიდებული. პუტინმა შეურაცხმყოფელ კოლეგას, რომელმაც კოლეგიალობის, დიპლომატიისა და თვით ადამიანური ეთიკის საყოველთაო ნორმები ფეხქვეშ გათელა, მარტივად რომ ვთქვათ, უკადრებელი იკადრა, ჯანმრთელობა უსურვა.**

„ჯანმრთელობას ვუსურვებ, — თქვა რუსეთის პრეზიდენტმა და იქვე დაამატა, — ყოველგვარი ირონიის გარეშე“. ბევრმა შეიძლება თქვას, მეტი ირონია რაღა უნდა იყოსო. პუტინს ავადმყოფობა არც უხსენებია, მან ჯანმრთელობისთვის ხაზის გასმით მხოლოდ მიგვანიშნა ავადმყოფობაზე, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. იგი შესაძლებელია ფიზიკური იყოს, შესაძლებელია — ფსიქიკური... პუტინს, რა თქმა უნდა, ეს არ დაუზუსტებია.

ეს იყო პუტინის პირველი გასროლა ბაიდენის მიმართულებით.

ბაიდენის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტი ამაზე შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ მთლიანობაში ვერც ამაზე გაჩერდებოდა, მას მოვლენის ახსნაც უნდა მოეცა და მოგვცა კიდეც, რომელიც ისეთივე დიდებული აღმოჩნდა, როგორიც ავადმყოფობაზე მინიშნება იყო: „В детстве, когда мы водворе спорили друг с другом, мы говорили так: кто так обзывается, тот так и называется. И это не случайно, это не просто шутка, психологический смысл в этом очень глубокий. Мы всегда в другом человеке видим свои собственные качества и думаем, что он такой же, как и мы. Исходя из этого, оцениваем его действия“. პუტინმა შესანიშნავი წიაღსვლა გააკეთა. მან მარტივად და გასაგებად ახსნა ეს ფსიქოლოგიური მომენტი, რითაც სრულიად არაორაზროვნად გვითხრა, ვისთან გვაქვს საქმე. ეს ბაიდენის მიმართულებით პუტინის მეორე გასროლა იყო.

რუსეთის პრეზიდენტს არც ისტორიული მოვლენები გამორჩენია მხედველობიდან: „Сознание американской элиты складывалось в непростых условиях, в частности, связано с истреблением местного населения, с прямым геноцидом индейских племен, а затем последовал очень большой период рабства, очень жестокий“. „Все это идет по истории, до сегодняшнего дня сопровождает жизнь Соединенных Штатов. Иначе откуда бы взялось движение Black Lives Matter? До сих пор афроамериканцы сталкиваются с несправедливостью и истреблением. Руководствуясь такими соображениями правящий класс Соединенных Штатов решает и внутриполитические, и внешнеполитические проблемы. Ведь США единственная страна в мире, которая применила ядерное оружие“.

ეს ბაიდენის მიმართულებით პუტინის მესამე გასროლა იყო...

ნუ შევალთ დისკუსიაში საკითხზე, არსებობს თუ არა მისტიკა. იმას ხომ ვერავინ უარყოფს, რომ არსებობს მოვლენათა ისეთი უცნაური დამთხვევა, მისტიკურ ელფერს რომ ატარებს. **სამჯერ გაისროლა პუტინმა ბაიდენის მიმართულებით — ირონიულად, ფსიქოლოგიურად და ისტორიულად.** მეორე დღეს **ატლანტაში გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას პრეზიდენტი ბაიდენი სამჯერ წაიქცა. წაქცევებს შორის დროის დაახლოებით ის ინტერვალი იყო, რა ინტერვალებითაც პრეზიდენტი პუტინი ბაიდენის შესახებ საუბრისას ირონიიდან ფსიქოლოგიაზე, ფსიქოლოგიიდან კი ისტორიაზე გადადიოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ტრაპზე სირბილით (რამდენადაც ეს ოთხმოცს მიტანებულ ბერიკაცს შეუძლია) ამსვლელ ბაიდენს პუტინი დამიზნებით ესროდა.** არ ვამტკიცებ, რომ ამ ფაქტში მისტიკა ერია, უბრალოდ, საინტერესო დამთხვევა იყო — პუტინის მიერ მიყოლებით სამი გასროლა და ბაიდენის ზედიზედ სამჯერ წაქცევა. რაკი ალეგორიის ენით ვლაპარაკობთ, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ **პუტინმა მეოთხედაც (საკონტროლო) გაისროლა.** მან ბაიდენს ღია ეთერის რეჟიმში დისპუტი შესთავაზა. მე არ ვისურვებდი ამგვარი დებატების მოსმენას. არ მიყვარს, როდესაც უთანასწორო ბრძოლაში სუსტის დაჩაგვრის მოწმე ვხდები. **კაცი, რომელიც საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, ხოლო საკუთარი მოადგილე (ვიცეპრეზიდენტი) კამალა ჰარისი აშშ-ის პრეზიდენტი ჰგონია, პუტინთან დებატებში ძალიან უმწეო და საცოდავი იქნება...**

აშშ ის სახელმწიფოა, ომის გარეშე ერთი დღე რომ არ უცხოვრია. დედამიწის ზურგზე არსებულ არც ერთ სახელმწიფოს იმდენი არ უომია, რამდენიც ამ სახელმწიფომ იომა. მათ მიერ ნაწარმოები თითქმის ყველა ომი უსამართლო და დამპყრობლური იყო. აი, ამას ჰქვია მკვლელობა. აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

პუტინს არ უხსენებია, მაგრამ რუსებს ერთი შესანიშნავი ანდაზა აქვთ: „Каждый судит в меру своей испорченности“. ეს ანდაზა ზუსტად ჯდება ამ კონტექსტში. ადამიანი მსჯელობს და ამ მსჯელობაში იგი საკუთარ თავს უფრო ავლენს, ვიდრე აღწერს იმ საგანს, მოვლენას, ფაქტს, რომლის შესახებაც მსჯელობს. **პრეზიდენტმა ბაიდენმა პუტინს მკვლელი უწოდა, თუმცა არ დაუზუსტებია, როდის, სად და ვინ მოკლა პუტინმა. მის სახელმწიფოს კი უამრავი მკვლელობა აქვს ჩადენილი.**

რომელი ერთი შევახსენოთ:

* ალბათ, გახსოვთ აშშ-ის იმდროინდელი სახელმწიფო მდივნის, **ჰილარი კლინტონის,** რეაქცია, როდესაც ლიბიის ლიდერ **მუამარ კადაფის** ლინჩის წესით გასამართლების შესახებ სატელეფონო შეტყობინება მიიღო. ეს ქალბატონ კლინტონის ქაბულში ვიზიტისას სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც იგი ჟურნალისტთან ინტერვიუს წერდა, ამიტომაც აღმოჩნდა ეს ეპიზოდი ვიდეოფირზე აღბეჭდილი.

— **მივედით, ვნახეთ, იგი მკვდარია! — სიხარულისგან გაბრწყინებული სახით ამბობს ჰილარი კლინტონი და გულიანად კისკისებს. ეს შემზარავი სცენა მთელმა მსოფლიომ იხილა. აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!**

* მსოფლიომ იხილა ერაყის პრეზიდენტ **სადამ ჰუსეინის** ჩამოხრჩობის არანაკლებ შემზარავი სცენა, რომელიც ამერიკელებმა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის საბაბით ჩაიდინეს, რაც მათ მიერვე მიზანმიმართულად იყო შეთხზული. ეს დანაშაული მოგვიანებით თავადვე აღიარეს. აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

* მთელმა მსოფლიომ იცის იუგოსლავიის პრეზიდენტ **სლობოდან მილოშევიჩის** ჰააგის საპყრობილეში მკვლელობის შესახებ. მილოშევიჩი, რომელსაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ამერიკელთა მითითებით, მიზანმიმართულად დატოვეს მკურნალობის გარეშე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მილოშევიჩი მსოფლიოს გასაგონად აცხადებდა: „მე ვფიქრობ, რომ დაჟინებული უარყოფა ჩემთვის რუსეთში მკურნალობის საშუალების მოცემისა, პირველ რიგში, მოტივირებულია შიშით, რომ კვალიფიციური სამედიცინო გამოკვლევები ნათელს მოჰფენს, როგორი წინასწარი მიზანდასახულობით მოქმედებენ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ჩემი ჯანმრთელობის საზიანოდ. ეს ფაქტი რუსი სპეციალისტების ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა“.

აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

* ბაღდადის აეროპორტში აშშ-ის მიერ სპეციალურად ამ მიზნით განხორციელებული სარაკეტო იერიშის დროს მოკლეს ისლამური რევოლუციის დამცველთა ელიტური რაზმის, „ქუდსის“, მეთაური **ყასემ სოლეიმანი.** აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

* აშშ სხვადასხვა პერიოდში მიზნობრივ მკვლელობებს მიმართავდა მრავალ სახელმწიფოში — სალვადორში, ნიკარაგუაში, კოლუმბიაში, ვიეტნამში, სომალიში, რუანდაში, იუგოსლავიაში, ავღანეთში, პაკისტანში, იემენსა და სხვ... აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

* აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთან არსებულმა სპეციალური ოპერაციების შემსწავლელმა უნივერსიტეტმა 2019 წელს გამოაქვეყნა 250-გვერდიანი მოხსენება, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ვაშინგტონის ჩარევის ისტორია. დოკუმენტში აღწერილია 47 მისიის საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო სხვა სახელმწიფოებში დესტაბილიზაციის გამოსაწვევად ან რეჟიმის შესაცვლელად. ნათქვამია, რომ, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული, აშშ-ის უკლებლივ ყველა პრეზიდენტი ატარებდა ანალოგიურ ოპერაციას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ აშშ-ის სპეცსამსა- ▶

**სამჯერ გაისროლა პუტინმა ბაიდენის მიმართულებით — ირონიულად, ფსიქოლოგიურად და ისტორიულად. მეორე დღეს ატლანტაში გასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას პრეზიდენტი ბაიდენი სამჯერ წაიქცა. წაქცევებს შორის დროის დაახლოებით ის ინტერვალი იყო, რა ინტერვალებითაც პრეზიდენტი პუტინი ბაიდენის შესახებ საუბრისას ირონიიდან ფსიქოლოგიაზე, ფსიქოლოგიიდან კი ისტორიაზე გადადიოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ტრაპზე სირბილით (რამდენადაც ეს ოთხმოცს მიტანებულ ბერიკაცს შეუძლია) ამსვლელ ბაიდენს პუტინი დამიზნებით ესროდა**

**თბილისის ფერდობებზე ნაპრალები ჩნდება. არავითარი სასწაული. ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი უცნაური დამთხვევები ხდება, რომ, სანამ არსს ჩასწვდები, ყველაფერი მისტიკის საზურველში ეხვევა. გნებავთ, მისტიკა დაარქვით, გნებავთ — მოვლენათა დამთხვევა, მაგრამ ბაიდენისა და მის მსგავსთა გვერდით დგომით რუსეთთან არსებულ ნაპრალს უფრო თუ გავაღრმავებთ, საქართველოს შიგნით არსებული ნაპრალებიც გაღრმავდება. მერე დავდგეთ და ვიმკითხაოთ: ეს ბზარი აქამდე იყო?**

## «მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ დაძაბულობა, რომელსაც აშშ მსოფლიოში ქმნის, ფიზიკურად დაუძლურებული ბაიდენის ბებრული ხუშტურების გამოვლენაა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აშშ-ის იდეოლოგიასა და პოლიტიკას პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ განსაზღვრავს და არც მართავს. ამას ის ფარული ძალები აკეთებენ, რომლებიც საჯაროდ არასოდეს ჩნდებიან, მაგრამ ტრანსნაციონალურ კაპიტალს სრულად განაგებენ და მსოფლიოს მართვაზე პრეტენზიას აცხადებენ**



◀ ხურები ამ ოპერაციების ფარგლებში იყენებდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს, მათ შორის, მკვლელობებს. აი, ვინ არიან და სად არიან მკვლელები!

ეს, რაც შეეხება, საზოგადოდ, პრეზიდენტ ბაიდენის ხულიგნურ გამოხდომას, რომელმაც, ერთი შეხედვით, პუტინის პასუხიდან გამომდინარე, თითქოს მარტივად და მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ სინამდვილეში, ჩაიარა თუ არა, ძნელი სათქმელია. **მე იმ აზრისკენ ვიხრები, რომ არაფერსაც არ ჩაუვლია, პირიქით, ყველაფერი ახლა იწყება. ის კი, რაც ახლა იწყება, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ძალიან ცუდი ამბებია. იწყება მზადება სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისთვის.** მსოფლიოში ბევრი ანალიტიკოსი იმშვიდებს თავს იმით, რომ, ვინაიდან ბირთვულ ომში გამარჯვებული არავინ იქნება, ბირთვული ომი არ დაიწყება. ეს მცდარი ფორმულაა. მსოფლიოში სამი დიდი მოთამაშეა — **აშშ, რუსეთი, ჩინეთი** (რა თქმა უნდა, არის გაერთიანებული ევროპის ფაქტორიც, მაგრამ გლობალური დაპირისპირების შემთხვევაში იგი ბრძოლის ველად უფრო გადაიქცევა, ვიდრე დამოუკიდებელ მოთამაშედ. უკეთეს შემთხვევაში, რაც ევროპამ შეიძლება მოახერხოს, ეს იქნება რომელიმე გლობალური ძალის მოკავშირეობა, რასაც გადაწყვეტს ევროპელთა არა ზნეობრივი პოზიციები და სულისკვეთება, არამედ გადარჩენის ინსტინქტი და პრაგმატული მიდგომის აუცილებლობა). **სამ დიდ მოთამაშეს შორის მხოლოდ აშშ აცხადებს ღია პრეტენზიას მსოფლიო ლიდერობაზე, მაგრამ ამერიკელთა ეს პრეტენზია უნაყოფო ოცნებად დარჩება იქამდე, სანამ ისინი ვერ მოახერხებენ რუსეთისა და ჩინეთის დეგლობალიზაციას.** ამერიკელები ცდილობენ, რომ ამ ორი სახელმწიფოს როლი გლობალური დერჟავადან რეგიონულ დერჟავამდე ჩამოაქვეითონ. ესაა ამერიკული საერთაშორისო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება, მაგრამ საკითხავი ისაა, რეალურია თუ არა ეს ამოცანა, **შეეგუებიან კი ამერიკელების მიერ საერთაშორისო სტატუსის ხელოვნურად ჩამოქვეითებას სტრატეგიული შეიარაღების თვალსაზრისით აშშ-თან შედარებით შესამჩნევად წინ წასული რუსეთი და ეკონომიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების თვალსაზრისით სასწაულებრივი ტემპებით განვითარებადი ჩინეთი?** გამორიცხულია, რომ უკვე მრავალმხრივ კრიზისში ჩაძირულ აშშ-თან, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური კრახის წინაშე დგას, ან რუსეთმა და ან ჩინეთმა ქედი მოიდრიკოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **აშშ უნდა შეეგუოს იმპერიული დაისის მოახლოებას და საკუთარი თავისთვის საპანაშვიდო მუსიკის შეკვეთაზე იზრუნოს. თუმცა, ამერიკელები მოვლენათა ამ სცენარით განვითარებას საფუძველშივე რომ გამორიცხავენ, ეს ყველაფრიდან ჩანს.** ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა, რას მიიჩნევენ რომელიმე მხრიდან კომპრომისის რესურსად ისინი, ვინც ურღვევ ზეცისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტს ბირთვულ პარიტეტში ხედავენ, მით უმეტეს, როცა რუსეთის ბირთვულ არსენალში თანამედროვე ტიპის შეიარაღების მთელი კომპლექსის გაჩენის შედეგად ეს პარიტეტიც უკვე დარღვეულია?!

როდესაც პრეზიდენტმა ბაიდენმა რუსეთის წინააღმდეგ წარმოუდგენლად არადიპლომატიური ჟესტი გააკეთა, რომელსაც აშშ-იდან რუსეთის ელჩის მყისიერი გამოძახება მოჰყვა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** ალიასკაში ჩინეთთან ურთიერთობის დაძაბვით იყო დაკავებული. ბლინკენის გამაღიზიანებელ ნათქვამს, რომ აშშ მსოფლიოში წესრიგის დამყარებით არის დაკავებული, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო საქმეთა კომისიის მეთაურმა **იან ძეჩიმ** კატეგორიულობით უპასუხა: **„აშშ-ს არ აქვს არავითარი უფლება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ქედმაღლურად ელაპარაკოს. ჩვენთან ეს არ გაგივათ“.** შეხვედრას წინ უძღოდა აშშ-ის მიერ ჩინეთისთვის დაწესებული სანქციების გაფართოება. აგრეთვე, აშშ-ის, იაპონიის, ავსტრალიისა და ინდოეთის მონაწილეობით ვირტუალური შეხვედრა QUAD-ის ფორმატში, რომელსაც აზიურ ნატოს უწოდებენ და პეკინში ანტიჩინურ წარმონაქმნად მიიჩნევენ.

**გულუბრყვილობა იქნება იმაზე ფიქრი, რომ დაძაბულობა, რომელსაც აშშ მსოფლიოში ქმნის, ფიზიკურად დაუძლურებული ბაიდენის ბებრული ხუშტურების გამოვლენაა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აშშ-ის იდეოლოგიასა და პოლიტიკას პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ განსაზღვრავს და არც მართავს. მას ის ფარული ძალები აკეთებენ, რომლებიც საჯაროდ არასოდეს ჩნდებიან, მაგრამ ტრანსნაციონალურ კაპიტალს სრულად განაგებენ და მსოფლიოს მართვაზე პრეტენზიას აცხადებენ.** ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოზე გაბატონების მოსურნე ძალები უკვე შეტევაზე გადავიდნენ. საგულისხმოა ერთი დეტალი: **ამერიკელები შეტევაზე ერთდროულად ორი მიმართულებით გადავიდნენ — რუსეთისა და ჩინეთის, რაც უდავოდ უმძიმესი შეცდომაა.** საერთაშორისო საქმის უდიდესი სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ აშშ უნდა შეეცადოს რუსეთისა და ჩინეთის დასუსტებას, მაგრამ ამ პროცესში მან არ უნდა დაუშვას ამ ორ სახელმწიფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში აღმოჩნდება ისეთი ძალის პირისპირ, რომლის დაძლევის რესურსი მას არ გააჩნია. The New York Times-ში 2017 წელს **პოლ ვასერმანის** თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი **ზბიგნევ ბჟეზინსკი** წერდა: **„მსოფლიო წესრიგი დარღვეულია. დღეს არ არსებობს არც ერთი საერთაშორისო სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია იმ ურთულესი პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ზვავივით დაგვასკდება თავს. ამ პრობლემათა ერთობლიობამ და მსოფლიო მნიშვნელობის ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობაში არსებულმა ქაოსმა, შესაძლებელია, საშინელი შედეგები გამოიწვიოს. მსოფლიო წესრიგის შენარჩუნება სამ ზესახელმწიფოს შორის** (აშშ, ჩინეთი, რუსეთი) დიალოგის გზით იქნება შესაძლებელი“. ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ აშშ ჩინეთსა და რუსეთს უნდა ელაპარაკოს არა ზემოდან და ექიდნურად, არამედ თანაბარი პოზიციებიდან, **„წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთისა და ჩინეთის დაახლოვება გარდაუვალი იქნება“,** — ასკვნიან ისინი. გამოცემის იმავე ნომერში საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამერიკული ორგანიზაცია „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ ხელმძღვანელი **რიჩარდ ჰაასი:** „რუსეთთან ურთიერთობა უნდა აიგოს ამ ქვეყნის არა საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის მიხედვით. ამ ურთიერთობებში აშშ-მა უნდა გამოიჩინოს მეტი თავშეკავება, ამიტომ, უკრაინისა და საქართველოს ნატოში შესვლის პროცესი უნდა დაკონსერვდეს“. ამ მოსაზრებების გამოთქმიდან თითქმის ოთხი წელიწადი გავიდა, მაგრამ ამერიკელები არც ნატოს გაფართოებაზე ამბობენ უარს და, პარალელურად, როგორც რუსეთის, ასევე ჩინეთის მიმართ, თავშეკავების ნაცვლად გასაოცარ აგრესიას ავლენენ. შედეგმაც არ დააყოვნა.

22 მარტს ჩინელი ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლავროვმა** განაცხადა: **„ჩვენ უნდა შევქმნათ იმ ქვეყნების მაქსიმალურად ფართო კოალიცია, რომლებიც პრინციპულად აღუდგებიან წინ ამ უკანონო** (იგულისხმება აშშ-ის მიერ სანქციების ენით ლაპარაკი და მოქმედება — ვ. კ.) **პრაქტიკას. პარალელურად, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი დამოუკიდებლობა. ხომ ხედავთ, აშშ როგორ ცდილობს, შეზღუდოს რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობა. ამიტომ სანქციებით გამოწვეული რისკები ჩვენ უნდა შევამციროთ ანგარიშსწორებისას ეროვნულ ვალუტებზე ან დოლარის ალტერნატიულ სხვა საერთაშორისო ვალუტაზე გადასვლით. უარი უნდა ვუთხრათ დასავლეთის მიერ კონტროლირებად საერთაშორისო საგადასახადო სისტემებს. ცხოვრება გვკარნახობს, რომ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის ისეთი მიმართულების მიცემას, რომ არ ვიყოთ დამოკიდებული იმ „სასწაულებზე“, რომელთა დემონსტრირებასაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები ახდენენ. ისინი თავს გვახვევენ იდეოლოგიზებულ დღის წესრიგს, რომლი მიზანი სხვათა შევიწროვების ხარჯზე თავიანთი დომინირების შენარჩუნებაა. ეს პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდის ობიექტურ ტენდენციებთან და, როგორც ნათქვამია, იმყოფება ისტორიის არასწორ მხარეს. ისტორიული პროცესი მაინც თავისას გააკეთებს“.**

ეს უაღრესად სერიოზული განცხადებაა. **ამერიკელებმა ვერ შეიგნეს გაფრთხილება, რომ მსოფლიოზე გაბატონებისკენ მიდრეკილი მათი პოლიტიკა აუცილებლად შექმნის ეგზისტენციური მიზნით შეკავშირებულ იმ ჩინურ-რუსულ მონსტრს, რომელთანაც არც სამხედრო, არც ეკონომიკური და არც იდეოლოგიური დაპირისპირების რესურსი წინააღმდეგობათა ღრმა კრიზისში შესულ აშშ-ს არ გააჩნია. უნდა ვიფიქროთ, რომ აშშ ამ დაპირისპირებაში აუცილებლად დამარცხდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ (დანარჩენი სახელმწიფოები) მოვლენათა პასიური დამკვირვებლები ვიქნებით და არაფერი შეგვეხება.** ეს დაპირისპირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, დიპლომატიური და ინფორმაციული ომის ჩარჩოებს არ გასცდება, მსოფლიოს კოლოსალური პრობლემების წინაშე დააყენებს (არაფერს ვამბობ სამხედრო დაპირისპირების შედეგებზე, რომლებსაც, ბირთვული პარიტეტის იმედად მყოფ ექსპერტთაგან განსხვავებით, სულაც არ გამოვრიცხავ). ასე რომ, მსოფლიოში ვითარება, ნებისმიერ შემთხვევაში, უკიდურესად დაიძაბება...

**ვალერი კვარაცხელია**



**P.S. ამ წერილში მისტიკა ვახსენე, თუმცა მისტიკის შესახებ მსჯელობა აღარ განვაგრძე და მოვლენათა უცნაურ დამთხვევაზე ვისაუბრე. არც ახლა ვაპირებ მისტიკის შესახებ საუბარს, მაგრამ მისტიკას ჰგავს თბილისში ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის ფერდობებზე გაჩენილი ბზარები.**

**ელდარ შენგელაის დიდებულ ფილმში „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ ერთი პერსონაჟი ჭერს შეჰყურებს და შემაძრწუნებელ შეკითხვას სვამს:**

**— ეს ბზარი აქამდე იყო?**

**საბჭოთა კავშირის ერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი შენობის ჭერზე გაჩენილი ბზარი საბჭოთა კავშირის ნგრევის სიმბოლო აღმოჩნდა.**

**თბილისის ერთ-ერთ ფერდობზე გაჩენილი ბზარი ჩვეულებრივი მეწყერის მაუწყებელია თუ თბილისის განაშენიანებაში დაშვებული უმძიმესი შეცდომების (დანაშაულის) გაცილებით უფრო მძიმე შედეგების მომტანი პროცესის დასაწყისი?**

**ერთ-ერთ წერილში იმ უთავბოლო და ქაოსურ მშენებლობებს, რომლებიც „დამოუკიდებელ“ საქართველოში მიმდინარეობს, ასე ვუწოდე — ნგრევა შენებით. სახლები შენდება, ქალაქი კი ინგრევა. ერთი მხრივ, მშენებლობის აგრესიული ბუმით გამოწვეული არქიტექტურული კოლაფსი აფუჭებს და შლის თექვსმეტსაუკუნოვანი ქალაქის იერსახეს. მეორე მხრივ, უხეში და უგუნური ჩარევის გამო მთაგორიანი ქალაქის გეოლოგიური ქსოვილი რღვევას იწყებს, რაც, შესაძლებელია, სრული კატასტროფით დასრულდეს. ის პროცესი, რომელიც დღეს ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის ფერდობებზე დაიწყო, ხვალ სხვა მხარეს იჩენს თავს. მთაწმინდისა და ნარიყალას ძირში მიმდინარე სამშენებლო პროცესები კარგ შედეგამდე რომ არ მიგვიყვანს, ამას, გეოლოგები კი არა, ტაქსისტები და პარიკმახერებიც გეტყვიან.**

**სპეციალისტებმა მაპატიონ ეს ჩემი სრულიად არაპროფესიული გეოლოგიური გადახვევა. სხვა მიმართულებით გამექცა სიტყვა.**

**— ეს ბზარი აქამდე იყო? — ეს შეკითხვა, როგორც ვთქვი, დიდმა ხელოვანმა საბჭოთა კავშირის ნგრევის სიმბოლოდ აქცია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. საქართველოსა და რუსეთს შორის გაჩენილი პოლიტიკური ბზარი საქართველოს ნგრევას დაედო საფუძვლად. ჩვენ დღესაც ამ ბზარის გაღრმავებას ვცდილობთ. და ჰა, თბილისის ფერდობებზე ნაპრალები ჩნდება. არავითარი სასწაული. ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი უცნაური დამთხვევები ხდება, რომ, სანამ არსს ჩასწვდები, ყველაფერი მისტიკის საბურველში ეხვევა. გნებავთ, მისტიკა დაარქვით, გნებავთ — მოვლენათა დამთხვევა, მაგრამ ბაიდენისა და მის მსგავსთა გვერდით დგომით რუსეთთან არსებულ ნაპრალს უფრო თუ გავაღრმავებთ, საქართველოს შიგნით არსებული ნაპრალებიც გაღრმავდება. მერე დავდგეთ და ვიმკითხაოთ:**

**— ეს ბზარი აქამდე იყო?**

**ვ. კ.**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვედებს აქვთ საკუთარი ვაქცინა, რომელსაც მსოფლიოში ყიდიან და ამ დროს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას „სპუტნიკ V“-თი უპირებენ აცრას. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ქართულ ნატურალურ პროდუქტს აზიის ქვეყნებში რომ ვეზიდებით და შემდეგ იქიდან შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული შემოგვაქვს. ოღონდ ამ შემთხვევაში პირიქითაა, შვედები დარწმუნდნენ რუსული ვაქცინის სიკეთეში და საკუთარ ქვეყანაში კარგი შეაქვთ.**

**ვაქცინაციის დაწყებას საქართველოში, სამწუხაროდ, მსხვერპლი მოჰყვა. 27 წლის ექთანი ვაქცინის აცრით გამოწვეული რეაქციის შედეგად ერთი დღე კომაში იყო, მეორე დღეს კი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, სამედიცინო სფეროს კიდევ ორ წარმომადგენელს ჰქონდა „ასტრაზენეკას“ ვაქცინის მიმართ რეაქცია, მაგრამ, საბედნიეროდ, მათი გადარჩენა მოხერხდა. პანდემიის პირობებში, როცა ვირუსმა 2,7 მლნ ადამიანი იმსხვერპლა, გარდაცვალება თითქოს სტატისტიკად იქცა, რეალურად კი, ყოველი გარდაცვლილი ადამიანის უკან ოჯახი და პიროვნული ტრაგედია დგას. 27 წლის ექთანსაც ორი მცირეწლოვანი შვილი, მეუღლე და მშობლები დარჩა. ეს უდიდესი ტრაგედიაა.**

# თუ აცრა პანაცეაა და სხვა საშველი არ არის, უნდა ავიცრათ, მაგრამ ვინმე პასუხისმგებელი ხომ უნდა იყოს შედეგზე?!

## უფლება მოგვეცით, თვითონ ავირჩიოთ, ვის ვენდოთ. ჩვენი სიცოცხლე პოლიტიკური ვაჭრობის საგანი არ უნდა გახდეს!

ის, რომ ვაქცინას თანამდევი უარყოფითი მოვლენები აქვს და „ასტრაზენეკათი“ აცრის შედეგად მსოფლიოში 150-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ახალი ამბავი არ არის. სამაგიეროდ, თითქმის არავინ იცოდა ის, რომ იანვარში საქართველოს პარლამენტმა სასწრაფოდ მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, ვაქცინის თანამდევ უარყოფით მოვლენებსა და, შესაბამისად, უარყოფით შედეგზე მწარმოებელს პასუხისმგებლობა არ ეკისრება. სწორედ **ახლა შევიტყვეთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირობა იმისა, საქართველოსთვის ვაქცინა გამოეგზავნათ და, რაც მთავარია, გამოეგზავნათ არა ის, რომელიც გვინდოდა, არამედ ის, რომელსაც გვთავაზობდნენ.**

ახლავე აგიხსნით, რას ვგულისხმობ.

„ასტრაზენეკას“ თანამდევმა უარყოფითმა მოვლენებმა ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ გასულ კვირას გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ და ევროპის ბევრმა ქვეყანამ მისი გამოყენება შეაჩერეს. როგორც ჩანს, იქ დამატებითი კვლევები ჩატარდა და რამდენიმე დღეში, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანამ მისი მოხმარება კვლავ განაგრძო. მიზეზი მარტივია: **დასავლეთის ქვეყნებს ორი არჩევანი ჰქონდათ — ან „ასტრაზენეკა“, ან რუსული „სპუტნიკ V“ და რუსულს ხომ არ გაასაღებდნენ?** ჰო, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. რუსულ ვაქცინასაც აქვს უკუჩვენება, მაგრამ არა ასეთი სიხშირით და არა ასეთი მასშტაბის. უფრო მეტიც, **„ასტრაზენეკა“ შვედურ-ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიის ვაქცინაა და გასულ კვირას შვედებმა მზადყოფნა გამოთქვეს, მოსახლეობა... „სპუტნიკ V“-ით აცრან(!) და არა მხოლოდ აცრან, არამედ „სპუტნიკ V“-ს წარმოება შვედეთშიც დაიწყონ.** მოგეხსენებათ, რუსეთი ყველა მსურველს აძლევს უფლებას, წარმოების ლიცენზია აიღოს. რა გამოდის? **შვედებს აქვთ საკუთარი ვაქცინა, რომელსაც მსოფლიოში ყიდიან, და ამ დროს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას „სპუტნიკ V“-თი აცრას უპირებენ. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ქართულ ნატურალურ პროდუქტს აზიის ქვეყნებში რომ ვეზიდებით და შემდეგ იქიდან შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული შემოგვაქვს. ოღონდ ამ შემთხვევაში პირიქითაა, შვედები დარწმუნდნენ რუსული ვაქცინის სიკეთეში და საკუთარ ქვეყანაში კარგი შეაქვთ.**

მოდი, ამ ყველაფერს სხვა მხრიდან შევხედოთ. **დაახლოებით მაინც წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ხელისუფლებას სწორედ „სპუტნიკ V“ რომ შეეძინა და ლეტალური შედეგი სწორედ მისი გაკეთების შემდეგ დამდგარიყო?** მაშინვე შეთქმულების თეორია შეიკერებოდა, იტყოდნენ, რუსეთმა საქართველოში მოწამლული პრეპარატები გამოგზავნა, რათა მოგვკლას და გაგვანადგუროსო. ახლა კი, **როცა „ასტრაზენეკათი“ დაიღუპა ახალგაზრდა ქალი, მინიშნებითაც კი არავის უთქვამს, რომ მწარმოებელმა კომპანიამ ან ქვეყანამ პასუხი უნდა აგოს. თურმე ამას ვერც იტყოდნენ, რადგან იანვარში ის კანონი დააჩქარეს, რომელიც მწარმოებელს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს.**

ერთი შეხედვით, ვაქცინაცია მსოფლიო მასშტაბით ნებაყოფლობითია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. **სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს არჩევანს არ უტოვებენ, სამედიცინო დაწესებულებებში მიაქვთ შესაბამისი ოდენობის დოზები და ცრიან ყველას. პარალელურად, ცივილიზებული სამყარო მუშაობს იმ პროექტზე, რომლის მიხედვითაც, აუცრელ ადამიანებს აეკრძალებათ საჯარო სამსახურებში მუშაობა, ტაქსის მძღოლობა და, რაც მთავარია, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობა.** ანუ, ძალიან მალე, თუ აცრილი არ იქნები, არ გექნება სამსახური, ვერსად წახვალ და შიმშილით სიკვდილისთვის იქნები განწირული. ჩვენთვის ეს, შესაძლოა, ახალი ამბავი არ იყოს, ისედაც დიდი ხანია, განწირულები ვართ, მაგრამ...

ყველაზე ცუდი ამ ისტორიაში არის ის, რომ არავინ იცის, ნებისმიერი ვაქცინა 2-3 წლის შემდეგ რა უკუჩვენებას გამოავლენს. შეთქმულების თეორიების არ გვჯერა, მაგრამ **იმასაც ამბობენ, ვაქცინა როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში, გამრავლების უნარს მინიმუმამდე დაიყვანს და მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტემპი ამ გზით შემცირდებაო.** ვიღაც უფრო შორსაც მიდის და ჯიუტად ამტკიცებს: ვაქცინის მიღების შემდეგ, 2-3 წელიწადში, ხანდაზმული მოსახლეობა მასობრივად დაიხოცებაო. ეს ყველაფერი კი მხოლოდ იმიტომ, რომ რეალურად ძალიან ცოტა დრო არის გასული ვაქცინის გამოგონებიდან მის მიღებამდე — ასეთ მოკლე დროში უკუჩვენებები ვერ იქნებოდა შესწავლილი და დროსაც ვერავინ ააჩქარებს.

უკვე საჯაროდ საუბრობენ, რომ მთავრობა კერძო კომპანიებს ვაქცინის შემოტანის უფლებას მისცემს. გვერწმუნეთ, ეს უფრო არევს ბაზარს და, რაც მთავარია, პასუხისმგებელი ისევ არავინ იქნება, რადგან სახელმწიფომ დააკანონა — მწარმოებელი პასუხს არ აგებს არაფერზე და, შესაბამისად, როგორი ხარისხის ვაქცინაც უნდა შემოვიდეს, პასუხისმგებელი, უბრალოდ, არავინ იქნება. შემომტანი იტყვის: მე შემოვიტანე და მწარმოებელს მოჰკითხეთო, მწარმოებელი კი ქართულ კანონმდებლობას აგვაფარებს თვალზე. სამწუხაროა, რომ საუბარი არ არის რუსულ ვაქცინაზე, ანუ ვერავინ რისკავს, ხმამაღლა თქვას: „სპუტნიკ V“-ს შემოვიტანო. **ძირითადი აქცენტი ჩინურ ვაქცინაზე კეთდება, რადგან იაფია, ქართული ფარმაცევტული ბაზარი კი, ხომ იცით, სულ ცოტა, 200%-იანი მოგება თუ არ დარჩა, ისე წამალს არ ყიდის.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: ვაქცინის მწარმოებლები მილიარდობით დოლარს თუ ევროს შოულობენ და ყიდიან იმას, რისი სარგებელიც ბოლომდე არავინ იცის. რაც მთავარია, ვაქცინით აცრა, რომელიც ერთი შეხედვით სავალდებულო არ არის, ნელ-ნელა აუცილებელი გახდება. დედამიწის ნახევარი რომ აიცრას, ხომ ხვდებით, კონკრეტული ადამიანებისა თუ სახელმწიფოების ჯიბეში რა თანხა წავა? და 2-3 წლის შემდეგ ეს აცრილი ხალხი რა მდგომარეობაში იქნება, მიახლოებითაც კი ვერავინ ამბობს, მაგრამ აცრა სრული სვლით მიდის, როგორც ერთადერთი გამოსავალი ვირუსისგან თავის დასაცავად.

**ის ქართველი ექთანი რომ არ აცრილიყო, როგორ გგონიათ, 27 წლის ქალს, ვირუსი რომ შეჰყროდა, ვერ გადაიტანდა? ხომ უფრო მეტი შანსი ექნებოდა გადარჩენის და ხანგრძლივი ცხოვრების?** ისე არ გაიგოთ, თითქოს აცრის საწინააღმდეგო პროპაგანდას ვეწეოდე. არა, პირიქით — **თუ აცრა პანაცეაა და სხვა საშველი არ არის, უნდა ავიცრათ, მაგრამ ვინმე პასუხისმგებელი ხომ უნდა იყოს შედეგზე? ვინმემ ხომ უნდა თქვას, რომ თუნდაც ერთეული გარდაცვალების შემთხვევაში, პასუხისმგებლობას აიღებს საკუთარ თავზე და მხოლოდ ორდღიანი ვაებითა და წუხილით არ შემოიფარგლება ეს ყველაფერი?!** იმ ორმა მცირეწლოვანმა დედა ხომ სამუდამოდ დაკარგა და ვერც ვერასდროს ვერავინ შეუცვლის მის სითბოსა და ალერსს.

**მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც ძალიან გვინდა, დაცულები ვიყოთ, მაგრამ მცირე გარანტია როცა არ გაქვს იმისა, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად არ დასრულდება, ძალაუნებურად გიჩნდება სურვილი, არ აიცრა და ვირუსს საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე ებრძოლო. მით უმეტეს იმის ფონზე, როცა გესმის, რომ არაერთმა ევროპულმა ქვეყანამ დაწესებული სანქციებისა და, ერთი შეხედვით, მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, რუსული ვაქცინის ყიდვა და მოხმარება დაიწყო. საქართველოში კი ამ თემას ტაბუ ადევს და თქმასაც ვერავინ ბედავს, რომ რუსული ვაქცინის შემოტანას აპირებს. ეს იმიტომ, რომ მაშინვე ქვეყნის მოღალატედ შერაცხავენ და ყველა სწორედ ამ ვაქცინას ჩაუსაფრდება, ვინმეს თითიც რომ წამოსტკივდეს, მაშინვე ხმაური ატყდება და, სამწუხაროდ, ამ ხმაურს ერთ ხმაში აჰყვებიან ხელისუფლება, ოპოზიცია, არასამთავრობოები...**

არადა, საქმე ეხება ჩვენს სიცოცხლეს, ყველაზე ღირებულს, რაც ადამიანს აქვს და, წესით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომელი წამლით იმკურნალებ. ეს ხომ არ არის ქვეყნის ღალატი, ეს ხომ არ არის რაიმეს აღიარება ან პირიქით — დამალვა? მაშინ, პურიც არ უნდა ვჭამოთ, იმიტომ, რომ ასი პროცენტით რუსული ხორბლისგან არის დამზადებული და მის მოყვანაში რუსი გლეხის ოფლია ჩაღვრილი. არც ელექტროენერგიის დიდი ნაწილი უნდა გამოვიყენოთ, არც საწვავი უნდა ჩავასხათ...

ნამდვილად არ ვიცით, რა იქნება ხვალ და ზეგ, მაგრამ კიდევ გავიმეორებთ — ადრე თუ გვიან, აცრის გაკეთება ყველას მოგვიწევს, რადგან სხვაგვარად არსებობის უფლება გექნება მხოლოდ და არა ცხოვრების. ჰოდა, უფლება მოგვეცით, თვითონ ავირჩიოთ, ვის ვენდოთ, ჩვენი სიცოცხლე პოლიტიკური ვაჭრობის საგანი არ უნდა გახდეს. ჩვენ, რიგით ადამიანებს, სიცოცხლე გვინდა!

**ბესო ბარბაქაძე**



**საქმე ეხება ჩვენს სიცოცხლეს, ყველაზე ღირებულს, რაც ადამიანს აქვს და, წესით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რომელი წამლით იმკურნალებ. ეს ხომ არ არის ქვეყნის ღალატი, ეს ხომ არ არის რაიმეს აღიარება ან პირიქით — დამალვა? მაშინ, პურიც არ უნდა ვჭამოთ, იმიტომ, რომ ასი პროცენტით რუსული ხორბლისგან არის დამზადებული და მის მოყვანაში რუსი გლეხის ოფლია ჩაღვრილი. არც ელექტროენერგიის დიდი ნაწილი უნდა გამოვიყენოთ, არც საწვავი უნდა ჩავასხათ**

**საქართველოში თქმასაც ვერავინ ბედავს, რომ რუსული ვაქცინის შემოტანას აპირებს. ეს იმიტომ, რომ მაშინვე ქვეყნის მოღალატედ შერაცხავენ და ყველა სწორედ ამ ვაქცინას ჩაუსაფრდება, ვინმეს თითიც რომ წამოტკივდეს, მაშინვე ხმაური ატყდება და, სამწუხაროდ, ამ ხმაურს ერთ ხმაში აჰყვებიან ხელისუფლება, ოპოზიცია, არასამთავრობოები**

**გლობალური დათბობის თემა ისევ გააქტიურეს, თანაც როგორ — ორ წელიწადში მოსავლის 40-პროცენტიან კლებას პროგნოზირებენ. ისე, საინტერესოა, ამ გლობალური დათბობის პირობებში, ამ კალიების შემოსევის ფონზე, მაგალითად, რუსეთი როგორ ახერხებს ყოველწლიურად ხორბლის რეკორდული მოსავლის მიღებას.**

კრიზისის შექმნის მცდელობა?

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის პირადმა წარმომადგენელმა კრისტიან დანიელსონმა საქართველო ისე დატოვა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის შერიგება თუ შეთანხმება ვერ მოახერხა. როგორც კრილოვის იგავ-არაკშია, ყველამ თავისკენ გაქაჩა და საბოლოოდ, პოლიტიკური კრიზისი ადგილიდან ვერ დაიძრა.**

# სანამ გლობალური დათბობის მიზეზით აქ გამოსაგზავნ ნაგავს გააძვირებენ, ჩვენი მიწა დავამუშავოთ და იმდენი მაინც შევქმნათ, თავის გამოკვება შევძლოთ

**დანიელსონი** წავიდა, და, სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები არ გაიყოლა, ისინი აქ დარჩნენ და ყოველდღიურად ვუსმენთ, როგორ ემუქრება ერთი მეორეს ევროპითა და ამერიკით. 15 მაისისთვის აქციაც დაგვიანონსეს: ქუჩაში გამოვალთ და ვადამდელ არჩევნებს მოვითხოვთო, რასაც ხელისუფლება, სავარაუდოდ, წაუყრუებს. იქით ციხეში მყოფმა **ნიკა მელიამ** განაცხადა, დიდი-დიდი, 8-9 თვეს მომიწევს ციხეში ყოფნაო. ვერ გეტყვით, რამდენჯერ გვაქვს ეს ფილმი ნანახი, რამდენჯერ გვინახავს ქუჩაში გამოსული ხალხი და, საზოგადოდ, თუ აცნობიერებთ, რომ ყველაზე ხშირად ქართველები ვაპროტესტებთ ამა თუ იმ ძალის სათავეში ყოფნას და მისი შეცვლა გვსურს. გამოდის, ვერ მოვიყვანეთ ის ხელისუფლება, რომელსაც ტაშს დავუკრავდით და ქუჩაში, მის გასაკრიტიკებლად კი არა, მადლობის სათქმელად გამოვიდოდით.

ჰოდა, როცა ქართველი საზოგადოებისთვის მთავარ განსახილველ თემად **გოგი წულაიას** მამაკაცური შესაძლებლობები იქცა, არც ერთ სხვა ქვეყანაში ამაზე, საუბრით კი არა, ფიქრითაც კი არავინ დაიღლიდა თავს, მაგრამ ჩვენ ხომ პოლიტიკით ვცხოვრობთ, ჩვენ ხომ ლამის ყველა მინისტრს კი არა, ყველა პარლამენტარს სახელითა და გვარით ვიცნობთ, იმიტომ, რომ სხვა საქმე და საკეთებელი თითქოს აღარ არის.

ამასობაში **მსოფლიო ახალ მტერს აანონსებს და ეს მტერი შიმშილია.** გლობალური დათბობის პროგნოზის გათვალისწინებით, ცივილიზებული მსოფლიო ამტკიცებს, რომ 2022 წელს სოფლის მეურნეობის სექტორში მოსავალი 40%-ით შემცირდება, ანუ განახევრდება. ეს ვარაუდი თუ ახდა, შიმშილს ვერსად გავექცევით, მაგრამ... გლობალურ დათბობაზე ცნობილი პირებიდან ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი **დონალდ ტრამპმა** დასვა. თუ გახსოვთ, ტრამპი რამდენიმე ისეთ თემას შეეხო, ტაბუდადებულად რომ ითვლებოდა. აქეთ ნატოს დაფინანსება შეამცირა, იქით — გლობალური დათბობის კვლევის ცენტრს შეუწყვიტა დაფინანსება, მერე სხვადასხვა საერთაშორისო კავშირებსა თუ ფონდებს მიდგა და... პრეზიდენტობა ფუკასავით ააცალეს. ახლა რამდენიც უნდა იყვიროს, ის მხოლოდ მილიარდერი იქნება და არა მძლავრი სახელმწიფოს პირველი პირი. **გლობალური დათბობის პარალელურად, იმასაც ამბობენ, რომ მოსავალს მილიარდობით კალია ანადგურებს, რომლებმაც აფრიკიდან გეზი აზიასა და ევროპისკენ აიღეს და გზად ყველაფერს მუსრს ავლებენ. კალია კი არა, ადამიანების მომაკვდინებელი ვირუსია გაშვებული სამყაროში და კალიების განადგურება რატომ გახდა პრობლემა, ვერ ვხვდებით.** 4 წლის წინათ აღმოსავლეთ საქართველოში იყო კალიების შემოსევა და მოსახლეობა სიხარულს არ მალავდა. რატომ? იმიტომ, რომ შინაური ფრინველი სწორედ ამ კალიებით იკვებებოდა და ყოველდღიურად ათასობით მწერს ავლებდნენ მუსრს. ეგ კი არა, ერთი კაცი, რომელსაც ინდაურების ფერმა ჰქონდა, ყველაზე ბედნიერი იყო — სამასამდე ინდაური ისე ანადგურებდა მავნე მწერს, როგორც დიდგორში დავითის ჯარი მომხვდურთ.

გლობალური დათბობის თემა თითქოს მაშინ წამოიწევს წინ, როცა მსოფლიოში საწუწუნო არაფერია. ახლაც, მასშტაბური ომები აღარ მიმდინარეობს, კონფლიქტის ზონები სულ იყო და იქნება, პანდემიაც თითქოს ნელ-ნელა ექვემდებარება მართვას და აგერ, ბატონო, **გლობალური დათბობის თემა ისევ გააქტიურეს, თანაც როგორ — ორ წელიწადში მოსავლის 40-პროცენტიან კლებას პროგნოზირებენ. ისე, საინტერესოა, ამ გლობალური დათბობის პირობებში, ამ კალიების შემოსევის ფონზე, მაგალითად, რუსეთი როგორ ახერხებს ყოველწლიურად ხორბლის რეკორდული მოსავლის მიღებას?** კალია, პირველ რიგში, სწორედ მარცვლოვან კულტურებს ერჩის და, გვალვა თუ აზიანებს, პირველ რიგში — ერთწლოვან მარცვლოვნებს. რუსეთის რეკორდულ მაჩვენებლებში ეჭვის შეტანა რომც მოგვინდეს, არ გამოვა, რადგან ამ ქვეყნის მიერ იმპორტირებული ხორბლის მოცულობა ყოველწლიურად იზრდება და მაშინ სხვა ქვეყნებმაც უნდა იცრუონ, რუსეთისგან ხორბალს ვყიდულობთო და არ იყიდონ. **ნავთობის, ბუნებრივი აირისა და კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი პროდუქტის მთავარ იმპორტიორად გადაქცევის შემდეგ რუსეთი ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მსოფლიოში ხორბლის მწარმოებელ უმსხვილეს სახელმწიფოდ და, თუ ასე განაგრძო, პირველობას არავის დაუთმობს. იქ სოფლის მეურნეობის დარგი კონკრეტული მიმართულებით განავითარეს, არ მიედ-მოედვნენ სხვადასხვა სფეროს, ისე, როგორც ჩვენთან, ხან შავ მოცვს რომ უნდა გადავერჩინეთ, ხან — ფოთის ბაყაყს და ხან კიდევ — თხილს.**

ცოდვა გამხელილი სჯობს და, ძალიან ჰგავს ეს ყველაფერი კრიზისის ხელოვნურად შექმნის მცდელობას. იმის შიშს, რომ მოსახლეობაში პანიკა დაითესოს, რომელიმე სახელმწიფომ ეგებ საჭიროზე მეტი მარაგიც შექმნას, ან უბრალოდ, პროდუქტის გაძვირება არავის გაუკვირდეს.



## წყალი და ჰაერი ისეთი გვაქვს, მტერს შეშურდება და საკვები რაღა გახდა?! ადრე თუ ვახერხებდით იმდენის მოყვანას, რომ ლამის 14 რესპუბლიკას ვუნაწილებდით, ვითომ ახლა იმის მეთხუთმეტედიც არ შეგვიძლია?! მთავარია სურვილი და, როგორც ჩანს, «სტრატეგიული პარტნიორების» კეთილი ნება

**1990-იანი წლების მიწურულს ამბობდნენ, რომ 2020 წლისთვის** (სახელდობრ, 2020 წელი იყო დასახელებული), **მსოფლიო მასშტაბით, მოსავალი ისე შემცირდებოდა, რომ ადამიანები კანიბალიზმს მიჰყოფდნენ ხელს.** ჰო, ეს ითქვა მაშინ და აგერ, მოვედით 2021 წლამდე და ჯერჯერობით, ფული თუ გაქვს, შიმშილის პერსპექტივა არ გემუქრება. რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს, რომ მთებზე თოვლის საფარი იკლებს, მაგრამ საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალიან უმნიშვნელოდ და ასეთი კლების პირობებში, **საუკუნეები უნდა გავიდეს, თეთრად შეფერილმა მყინვარებმა მიწა რომ გამოაჩინოს.** საქართველოს მაგალითზე ვთქვათ, აქცენტი არცთუ იშვიათად სვანეთის მყინვარებზე გაკეთებულა, მაგრამ წელს სვანეთში იმხელა თოვლი მოვიდა, ადგილობრივებს რომ არ ახსოვთ. სვანეთი ახლაც, მარტის მიწურულსაც კი, დათოვლილია და გლობალური დათბობის არაფერი ეტყობა. პირიქით — მოსახლეობა ამბობს, უხვი თოვლი კარგი მოსავლის გარანტიააო. ერთი ეგაა, **ტურიზმის პროპაგანდის შედეგად, სვანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაზარმაცდა, ფულის იოლად შოვნის გზამ მიწის დამუშავებაზე ხელი აალებინა და გასულ წელს არაერთ ოჯახს კარტოფილიც კი საყიდელი გაუხდა. ეს მაშინ, როცა თავის დროზე ტონობით მოჰყავდათ და ლამის მთელ დასავლეთ საქართველოს სწორედ სვანური კარტოფილით კვებავდნენ.** სამწუხაროდ, საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულებით რაიმე სერიოზული პროექტის განხორციელება ვერ ხერხდება. ჩვენ ე.წ. განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გვაქვს და ამის უფლებას არ მოგვცემენ. მარტივად რომ აგიხსნათ, ბოლო 8 წელიწადში სოფლის მეურნეობაში ჩადებული 2-3 მილიარდი ლარი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. და ეს იმიტომ, რომ **ყველაფერს მივედ-მოვედეთ, უფლება არ მოგვცეს, ერთი კონკრეტული მიმართულება აგვერჩია, თორემ, მაგალითად, მხოლოდ მეცხოველეობის ან მეფუტკრეობის განვითარებისთვის რომ მიგვემართა ეს თანხა, დღეს რეგიონის მასშტაბით მაინც უდიდესი მწარმოებლები ვიქნებოდით.**

მეფუტკრეობა, საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა. **როგორც კი ევროპა მიხვდა, რომ ქართული თაფლი ევროპულს სჯობდა, მაშინვე ახალი რეგულაცია დაამატა და საქართველოს ევროპულ ბაზარზე თაფლის დიდი ოდენობის გატანა მანამდე შეუზღუდა, სანამ ქვეყნის მასშტაბით წყალანირების პრობლემა არ მოგვარდება და არ გაუქმდება კერძო საპირფარეშოები (ჩეჩმა), რადგან თურმე ფუტკარი იქიდანაც იღებს გარკვეულ ნივთიერებას, რომელიც თაფლში ერევა. საქართველოს მასშტაბით კი წყალანირება, ე.ი., „კანალიზაცია“ რომ გაკეთდეს, რამდენიმე მილიარდი ლარია საჭირო. ეს თანხები კი სახელმწიფოს, უბრალოდ, არ აქვს.**

ჰოდა, დამოკიდებულ-ჩამოკიდებულები ვართ იმ პროდუქტზე, რომელსაც ევროპა და აზია გვაწვდის. უფრო სწორად, იმ ნაგავზე, რომელიც შემოდის, და ჩვენც უშურველად ვასაღებთ. რატომ ნაგავზე? გემოვნური თვისებები მათ არ აქვთ, ვერ გაიგებ, რას ჭამ და მხოლოდ სტომაქის ამოყორვის პრინციპზე გადაიყვანეს ერი. ვინმეს ახსოვს, რომ საქართველოში იპპ-ის მწარმოებლებმა ვაშლის ფაფების კეთება დაიწყეს, ოღონდ ქართული ვაშლით ნაწარმოები პროდუქტი ევროპასა და ამერიკაში გააქვთ, იქ ნაწარმოები კი აქ შემოაქვთ? როგორც მაშინ აგვიხსნეს, ქართული კარგია, მაგრამ ისე ძვირია, ადგილობრივ მოსახლეობას მისი შეძენის შესაძლებლობა არ აქვსო. ანალოგიური რამ ხდება ყველა მიმართულებით — კარტოფილი, ხახვი, ნიორი... ყურძენიც კი.

ჰოდა, **სანამ გლობალური დათბობის მიზეზით აქ გამოსაგზავნ ნაგავს გააძვირებენ, ეგებ ჯობდეს, მაქსიმალურად შევეცადოთ ჩვენი დალოცვილი მიწის დამუშავებას და იმდენი მაინც შევქმნათ, საკუთარი თავის გამოკვება შევძლოთ. წყალი და ჰაერი ისეთი გვაქვს, მტერს შეშურდება და საკვები რაღა გახდა?! ადრე თუ ვახერხებდით იმდენის მოყვანას, რომ ლამის 14 რესპუბლიკას ვუნაწილებდით, ვითომ ახლა იმის მეთხუთმეტედიც არ შეგვიძლია?!** მთავარია სურვილი და, როგორც ჩანს, „სტრატეგიული პარტნიორების“ კეთილი ნება.

**ბესო ბარბაქაძე**

**როგორც კი ევროპა მიხვდა, რომ ქართული თაფლი ევროპულს სჯობდა, მაშინვე ახალი რეგულაცია შემოიღო და საქართველოს ევროპულ ბაზარზე თაფლის დიდი ოდენობის გატანა მანამდე შეუზღუდა, სანამ ქვეყნის მასშტაბით წყალანირების პრობლემა არ მოგვარდება და არ გაუქმდება კერძო საპირფარეშოები (ჩეჩმა), რადგან თურმე ფუტკარი იქიდანაც იღებს გარკვეულ ნივთიერებას, რომელიც თაფლში ერევა. საქართველოს მასშტაბით კი წყალანირება, ე.ი., «კანალიზაცია» რომ გაკეთდეს, რამდენიმე მილიარდი ლარია საჭირო. ეს თანხები კი სახელმწიფოს, უბრალოდ, არ აქვს**

ისტორიის გაკვეთილი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1991 წელს სსრკ-ის დაშლის შემდეგაც არ შეცვლილა ახლა უკვე ნატოს წევრი თურქეთის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. არასოდეს განელებულა თურქი მეზობლების ინტერესი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს, კერძოდ, აჭარისა და ბათუმის პორტის — მთელი შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რაიონის — მიმართ.**

# «თუ ბათუმს დავკარგავთ, დავკარგავთ ამიერკავკასიას და, შესაძლოა, მთლიანად კავკასიასაც»

## 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულება და თურქეთის პრიორიტეტული მიმართულება კავკასიაში

**100 წლის წინათ, 1921 წლის 16 მარტს, თურქეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს (სსრკ-ს) შორის ხელი მოეწერა უვადო შეთანხმებას „მეგობრობისა და ძმობის შესახებ“. სიმბოლური იუბილეს წინ თურქეთის პარლამენტში გაიმართა კონფერენცია თემაზე „თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებაზე ხელმოწერიდან 100 წლისთავზე“, რომელშიც თურქეთში რუსეთის ელჩიც მონაწილეობდა.**



მოსკოვის ხელშეკრულებას 1921 წლის 16 მარტს მოეწერა ხელი

თურქეთში რუსეთის ელჩმა — **ანატოლი ერხოვმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა იმხანად მძიმე მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოს წვლილი მსოფლიო რუკაზე თურქეთის რესპუბლიკის წარმოქმნის საქმეში, ოღონდ ამჟამინდელ საზღვრებში და არა ე.წ. სევრის შეთანხმების მიხედვით: **„მოსკოვის შეთანხმებაში აღნიშნულია საბჭოთა რუსეთის უარი „ყველანაირ ფულად ან სხვა ვალდებულებაზე, რომლებიც ადრე იყო გაფორმებული თურქეთსა და მეფის რუსეთის მთავრობას შორის, ის აუქმებს კაპიტულაციის რეჟიმს, აგრეთვე, განამტკიცებს ორივე მხარის მოქალაქეების მიმართ კეთილგანწყობის პრინციპს“.** რუსეთის მხრიდან თურქეთის სუვერენიტეტის მხარდაჭერა ქაღალდზე არ დარჩენილა. შეთანხმების მომზადების პარალელურად მოსკოვში მუშაობდა სამხედრო კომისიაც, რომელშიც ჩართული იყვნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობისა და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები. საბჭოთა მთავრობას წარუდგინეს ჩამონათვალი იარაღის, საბრძოლო და სხვა მასალებისა, რომლებიც ძალიან სჭირდებოდა თურქეთს. მხარეებმა მოილაპარაკეს, უზრუნველეყოთ თურქეთისა და რუსეთის დამაკავშირებელი რკინიგზის უსაფრთხოება. ცნობილია საბჭოთა რუსეთის წვლილი თურქი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ანტანტისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ომში თურქეთს მისი ჯარის მიერ გამოყენებული ვაზნების ნახევარზე მეტი, ყოველი მეოთხე შაშხანა, ყოველი მეოთხე ქვემეხი და ქვემეხისთვის საჭირო ყოველი მესამე ჭურვი საბჭოთა რუსეთმა მიაწოდა“.

**თანამედროვე ანალიტიკოსების აზრით, რუსეთი თურქეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას დაახლოებით 80 მლნ თურქული ლირით (ოქროთი) დაეხმარა, რაც მეჯლისის 1920 წლის ბიუჯეტზე მეტი იყო.**

საინტერესოა რუსი დიპლომატის მიერ მოყვანილი ციტატა წერილიდან, რომელიც **მუსტაფა ქემალ ათათურქმა ლენინს** მისწერა: **„თურქეთი გაცილებით ახლოსაა რუსეთთან, განსაკუთრებით ბოლო თვეების რუსეთთან, ვიდრე დასავლეთ ევროპასთან. თურქეთი არ გადაუხვევს თავისი კურსიდან საბჭოთა რუსეთის მიმართ და ყველა საწინააღმდეგო ხმა უსაფუძვლოა. გარწმუნებთ, რომ არასოდეს მოვაწერთ ხელს შეთანხმებას და არ შევალთ ალიანსში, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიმართული იქნება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“.**

სამწუხაროდ, პრაქტიკულ საქმიანობაში პოლიტიკოსები იშვიათად ხელმძღვანელობენ მადლიერების განცდით. **1941 წლამდე და მას შემდეგაც თურქეთის მიერ საბჭოთა კავშირთან დეკლარირებული „მეგობრობა“ უმეტესად იყო დემაგოგიური საფარველი (რომელსაც მალავდნენ „საუკეთესო დრომდე“) ექსპანსიური საგარეო პოლიტიკური კურსისა, რომელიც მიმართული გახლდათ (და დღესაც ასეა) სსრკ-ისთვის „თურქული“ ტერიტორიების ჩამოჭრისკენ.**

აქ აღსანიშნავია 1940 წლის მარტ-აპრილში თურქი, ბრიტანელი და ფრანგი სამხედროების სამზადისი („შუბის წვერი“) ამიერკავკასიაში შემოსაჭრელად. სხვათა შორის, 1920-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკებთან პოლიტიკური „რომანის“ პარალელურად **ბექირ სამი ბეის** („კუნდუხი“) მისია აქტიურად ცდილობდა კავშირის დამყარებას ლონდონთან. 1921 წლის საფრანგეთ-თურქეთის შეთანხმებით, გუშინდელმა „აღმოსავლეთში მსოფლიო რევოლუციისთვის მებრძოლებმა“ სვლა დასავლეთისკენ განაგრძეს.

**ათათურქისა** და **გრაფ სფორცას** ურთიერთობამაც მოიტანა შედეგი, როცა სფორცამ იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა — იანვარში თურქეთის მეჯლისის მუშაობის დაწყებისთანავე მისი პირველი წარმომადგენლობა ევროპაში, სახელდობრ, რომში გაიხსნა. იმ პერიოდის სამსახურებრივი მიმოწერა ადასტურებს, რომ მოსკოვმა იცოდა თურქეთის სამთავრობო წრეებში ანტანტასთან კავშირის მომხრეთა არსებობის შესახებ. მაგალითად, ტრაპეზუნდში საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელმა **გიორგი ასტახოვმა** 1921 წლის 12 თებერვალს საბჭოთა კავშირის იმჟამინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ **გიორგი ჩიჩერინს** ასეთი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: **„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქემალისტები ფრთხილად აგებენ ხიდს ანტანტის ბანაკში გადასასვლელად ან, ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირთან კავშირის გასაწყვეტად“. რსფსრ-ში თურქეთის ელჩი ალი ფუადი (ჯებესოი) კი წერდა, რომ თურქეთი, დიდი ხანია, დარწმუნებულია მაქსიმალური სარგებლის მიღებაში მოსკოვის ხელშეკრულებიდან.** პრაგმატული მოტივი უცხო არ ყოფილა არც ბოლშევიკებისთვის, რომლებიც მოითხოვდნენ, ერთი მხრივ, არ დაეშვათ შავი ზღვის სრუტეების ოკუპაცია და თურქეთის ტერიტორიაზე ანტისაბჭოთა პლაცდარმის შექმნა და, მეორე მხრივ, ბარიერი შეექმნათ მტრულად განწყობილი ქვეყნებისთვის, რომლებიც ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდებას ლამობდნენ.

**მოსკოვის შეთანხმების მიხედვით, 1921 წელს ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (არდაგანი და ართვინი) გადადიოდა თურქეთის ხელში, ჩრდილოეთი ნაწილი კი (შედარებით მცირე) ბათუმთან ერთად მდინარე ჭოროხის დელტასთან ერთად — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციაში. ნაწილობრივ მუსლიმებით დასახლებულ აჭარას მიანიჭეს «ფართო ავტონომია», თურქეთმა კი მიიღო უფლება, ბაჟის გადახდის გარეშე გადაეზიდა ტვირთები ბათუმის პორტის მეშვეობით**

**1991 წელს, სსრკ-ის შემდეგაც, არ შეცვლილა ახლა უკვე ნატოს წევრი თურქეთის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. არასოდეს განელებულა თურქი მეზობლების ინტერესი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს, კერძოდ, აჭარისა და ბათუმის პორტის — მთელი შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რაიონის — მიმართ.** დამყოლმა პოლიტიკამ საქართველოს ხელისუფლებისა, რომელსაც ბაძავს „სომეხი სააკაშვილი“ ნიკოლ ფაშინიანი, რამდენიმეჯერ გაზარდა თურქეთის ეკონომიკური, დემოგრაფიული, შესაბამისად, თურქეთის გავლენა შავი ზღვის რეგიონში, რაც აშშ-ნატოს შავი ზღვა-კავკასიის სტრატეგიაში აჭარის უფრო აქტიურ



# 1991 წელს სსრკ-ის დაშლის შემდეგაც არ შეცვლილა ახლა უკვე ნატოს წევრი თურქეთის გეოპოლიტიკური პრიორიტეტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. არასოდეს განელებულა თურქი მეზობლების ინტერესი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს, კერძოდ, აჭარისა და ბათუმის პორტის — მთელი შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რაიონის — მიმართ.

ისტორიის გაკვეთილი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბათუმის ოლქი




შენიშვნა: საზღვრები მოცემულია 1914 წლის მიხედვით

ჩართვას გულისხმობს. **ამიერკავკასიის ენერგეტიკულ დერეფანში ბათუმსა და ბაქოს „გასაღებებით“ მეტოქეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, საბჭოთა რუსეთსა და „ოთხმხრივი კავშირის“ ქვეყნებს შორის დადებული ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ზავის (1918 წ.) მიხედვით, ბათუმი ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე რაიონებთან ერთად უნდა გადასულიყო თურქეთის კონტროლის ზონაში, მაგრამ თურქეთის ახალი რეჟიმის მარცხის შემდეგ, აჭარაში თურქეთი ოპერატიულად შეცვალეს ინგლისელებმა.** სტამბოლმა (კონსტანტინეპოლმა) და ლონდონმა ასე განაცხადეს, თავიანთი ამოცანის შესახებ კონტროლი დაემყარებინათ ტრანსკავკასიური ნავთობპროდუქტების მილსადენზე ბათუმი-ხაშური-თბილისი-ალასტაფა-ევლაზი-ბაქო, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ააგეს და რომელიც ორივე მიმართულებით მუშაობდა. **1990-იანი წლების დასაწყისში ნავთობპროდუქტების ამ არტერიის მილების მოდერნიზაცია განახორციელეს დასავლურმა კომპანიებმა ნავთობსადენის — ბაქო-თბილისი-ერზერუმი-ჯეიჰანის ჩარჩოში, რომელიც 2005 წლიდან ამოქმედდა.**

მოსკოვის შეთანხმების მიხედვით, 1921 წელს ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (არდაგანი და ართვინი) გადადიოდა თურქეთის ხელში, ჩრდილოეთი ნაწილი კი (შედარებით მცირე) ბათუმთან ერთად მდინარე ჭოროხის დელტასთან ერთად — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იურისდიქციაში. ნაწილობრივ მუსლიმებით დასახლებულ აჭარას მიანიჭეს „ფართო ავტონომია“, თურქეთმა კი მიიღო უფლება, ბაჟის გადახდის გარეშე გადაეზიდა ტვირთები ბათუმის პორტის მეშვეობით. ანკარამ, აგრეთვე, წამოაყენა წინადადება, ერთობლივად ემართათ ზემოაღნიშნული ნავთობსადენი ბაქო-ბათუმი, მაგრამ რსფსრ-ის ეროვნებათა სახალხო კომისარმა იოსებ სტალინმა ეს წინადადება უარყო.

**1921 წლის 12 მარტს თურქეთის დიდმა საკრებულომ ბათუმი თავის ტერიტორიად გამოაცხადა: იქ ქემალისტების სამხედრო რაზმები შევიდნენ. 20 მარტს რუსეთის მე-11 არმიის შეტევის გამო საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან უკანდახეული მენშევიკების არმია შეეცადა, წინააღმდეგობა გაეწია დამპყრობლებისთვის, 25 მარტს კი მენშევიკები ჩაანაცვლეს ბოლშევიკებმა, რომლებსაც ამ მომენტისთვის უკვე გავრცელებული ჰქონდათ თავიანთი ძალაუფლება საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე.**

19 მარტს სტალინმა, რომელიც აჭარაში თურქეთის ოკუპაციური გეგმების წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებას მოითხოვდა, ტელეგრამა გაუგზავნა საქართველოს გასაბჭოების ხელმძღვანელ სერგო ორჯონიკიძეს: **„თურქეთთან ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ბათუმი საქართველოსი არ იქნება... შეეცადე, ძლიერი სწრაფი დარტყმით გააძევო თურქები ბათუმიდან, შემდეგ ეს გაუგებრობად გამოაცხადო, ინიციატივა უნდა აიღოს ჩვენმა სარდლობამ. თუ ბათუმს დავკარგავთ, მაშინ დროთა განმავლობაში დავკარგავთ ამიერკავკასიასაც და, შესაძლოა, მთლიანად კავკასიასაც“.**

თურქ ნაციონალისტებს უარი არ უთქვამთ არც ბათუმის რაიონისა და არც ალექსანდროპოლის (სომხეთის ქალაქი გიუმრი) ექსპროპრიაციაზე და 1922 წლის 9 ნოემბერს სტალინმა დეპეშა გაუგზავნა ორჯონიკიძეს:

„...ანგორიდან მოსული ცნობების თანახმად, თურქები აჭარაში მუშაობენ პლებისციტის ჩასატარებლად და ქართული და თურქული აჭარის ერთ მთლიან ავტონომიად გამოსაცხადებლად. თურქეთმა შეიძლება მიიღოს საფრანგეთისა და ინგლისის მხარდაჭერა. სკანდალი აგორდება, თუ თურქები საიდუმლოდ შეაგროვებენ ხელმოწერებს და მიაღწევენ საჭირო ეფექტს. აუცილებელია, სასწრაფოდ გატარდეს ზომები აჭარის გასაწმენდად ანგორელი პროვოკატორებისგან, აჭარის ორგანოები კი — პანისლამისტებისგან“.

მეორე დღეს სტალინმა ასეთი ვარიანტი შესთავაზა: **„კარგი იქნება, თუ მოხერხდება ბათუმის მცხოვრებთა მასობრივი პეტიცია აჭარის შემადგენლობიდან გამოყოფისა და საქართველოსთან მიერთების შესახებ. ეს რომ გამოვიდეს და ეს რომ შეესაბამებოდეს აჭარაში საქართველოს ვითარებას, მაშინ თურქების კომბინაცია ფუჭი გასროლა აღმოჩნდება, ჩვენ კი ბათუმში საბოლოოდ დავმკვიდრდებოდით“.**




თურქი სამხედროები შედიან ალექსანდრეტში (ამჟამად ისკანდერენი)

## 100 წლის წინათ თავიდან იქნა აცილებული თურქეთის საყვარელი კომბინაცია «რეფერენდუმი», მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში, აჭარაში თურქეთის ექსპანსიის გაძლიერების გათვალისწინებით, შეიძლება აქ სირიელი ალექსანდრეტის (1939-1940 წწ.) სცენარი განვითარდეს, როცა თურქებმა რეფერენდუმი ჩაატარეს და შემდეგ ეს ადგილი თურქეთის ტერიტორიად გამოაცხადეს

100 წლის წინათ თავიდან იქნა აცილებული „თურქეთის საყვარელი კომბინაცია“ „რეფერენდუმის“, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში, აჭარაში თურქეთის ექსპანსიის გაძლიერების გათვალისწინებით, შეიძლება აქ სირიელი ალექსანდრეტის (1939-1940 წწ) სცენარი განვითარდეს, როცა თურქებმა რეფერენდუმი ჩაატარეს და შემდეგ ეს ადგილი თურქეთის ტერიტორიად გამოაცხადეს.

vpoanalitics.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**




საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ

**P.S.** 1945 წლის 19 მარტს სსრკ-მა მოახდინა საბჭოთა კავშირ-თურქეთის 1925 წლის 25 დეკემბრის შეთანხმების დენონსაცია, შემდეგ კი დაიწყო მოლაპარაკებები ახალ შეთანხმებაზე. 1945 წლის 7 ივნისს თურქეთის ელჩი სელიმ სარფერი პირადად შეხვდა ვიაჩესლავ მოლოტოვს. შეხვედრაზე სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისარმა განაცხადა, რომ ახალ შეთანხმებაში უნდა შეეტანათ პირობა შავი ზღვის სრუტეების საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივად გაკონტროლებისა (საბჭოთა სამხედრო ბაზების განლაგებით) და 1921 წელს მოსკოვის შეთანხმების „გასწორების" შესახებ. ამ შეთანხმებას მოლოტოვმა უსამართლო უწოდა. სსრკ-ისა და თურქეთის ახალი საზღვარი, საბჭოთა მხარის აზრით, უნდა გავლებულიყო ისე, როგორც იყო 1878 წელს, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების არსებობისას. 1945 წლის 22 ივნისს თურქეთმა უარყო საბჭოთა კავშირის ყველა წინადადება. **საბჭოთა ხელისუფლება უკანონოდ წართმეულ ტერიტორიებად მიიჩნევდა ყარსის ოლქს, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილსა და ყოფილი ერივანის გუბერნიის სურმალინის მაზრას** და თავისი პოზიციების დაცვას აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დახმარებით შეეცადა. თურქეთისადმი სსრკ-ის ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი 1945 წლის 22 ივლისს პოტსდამში დიდი სამეულის კონფერენციის მეექვსე სხდომაზე განიხილეს. 23 ივლისის სხდომაზე კი ისტორიული სიტყვა წარმოთქვა იოსებ სტალინმა: **„გუშინ ჩერჩილი ამტკიცებდა, რუსები თურქებს აშინებენო. გარწმუნებთ, რომ ბულგარეთში მყოფ ჩვენს ჯარებს თურქები არ დაუშინებიათ. იქნებ საზღვრების შესწორების წინადადებამ დააშინა თურქები? მაგრამ საკითხი ეხება იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც მანამდე სომხეთის შემადგენლობაში იყო, და ართვინ-არტაანის რაიონი, რომელიც**

**ომამდე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. ძველი საზღვრების აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება რომ არ მოეთხოვათ. მოკავშირეობა კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, დავიცვათ თურქეთის საზღვარი, ხოლო თურქეთმა — ჩვენი საზღვარი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ საზღვარი ყარსისა და არტაანის რაიონში არასწორია და ასეც განვუცხადეთ თურქებს. თუ მათ სურთ ჩვენთან მოკავშირეობა, მაშინ საჭიროა, გაასწორონ საზღვრები და, თუ არ უნდათ, მაშინ საკითხი მოკავშირეობაზე გამორიცხულია!“** (ამონარიდი სიმონ კილაძის მასალიდან „სტალინი: თურქეთმა უნდა დააბრუნოს საქართველოს მიწა-წყალი“).

მოგვიანებით საბჭოთა კავშირმა შექმნა საიდუმლო დოკუმენტი სახელწოდებით „ზოგიერთი მოსაზრება ამიერკავკასიის ფრონტის ოპერაციათა დაგეგმვის შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, საბჭოთა არმია უნდა შესულიყო თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში, ტრაპიზონ-ბაიბურთისა და ყარს-ერზურუმის მიმართულებით. პირველ ეტაპზე (10 დღეში) გაენადგურებინა თურქეთის არმიის დაჯგუფება ყარსისა და ართვინის რაიონებში, შტურმით აეღო ტრაპიზონი, მეორე ეტაპზე (6 დღეში) გაენადგურებინა ოლთის-სარიყამიშის დაჯგუფება, გასულიყო ისპირ-თორთუმის ხაზზე და საბოლოოდ, მესამე ეტაპზე (ოპერაციის დაწყებიდან მე-20 დღეს) დაეკავებინა ერზურუმი. 1946 წლიდან დასავლეთმა კიდევ უფრო გააააქტიურა მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკამ კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენა ატომური ბომბი და 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს იაპონიის ქალაქები — ჰიროსიმა და ნაგასაკი მიწასთან გაასწორა. ამერიკელები საბჭოთა კავშირის დაბომბვასაც გეგმავდნენ და, სხვათა შორის, ჩამონათვალში საბჭოთა კავშირის იმ ქალაქებისა, რომლებშიც ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდოთ, თბილისიც შედიოდა. 1952 წელს თურქეთი ნატოში მიიღეს, რაც მის მიმართ საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების გამო მოხდა. ბოლოს და ბოლოს, სტალინი იძულებული შეიქნა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები დაეკონსერვებინა. 1953 წლის 30 მაისს კი, სტალინის გარდაცვალებიდან დაახლოებით თვენახევარში, საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურად თქვა უარი ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. ამით საქართველომ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ, XX საუკუნის მეორე ნახევარში, მოახერხა, საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი — ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს.

საქართველოს ამჟამინდელი „სტრატეგიული მოკავშირეების“ დამსახურებაა, რომ საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი (12 ათას კვ.კმ-ზე მეტი) დღეს „ისტორიული მეგობრის“, თურქეთის, შემადგენლობაშია. აი ასე მეგობრულად მოქმედებდა ჩვენი „ისტორიული მეგობარი“ თურქეთი, ასე მოქმედებდნენ საქართველოს წინააღმდეგ ახლა უკვე „სტრატეგიული მოკავშირეები“ — აშშ და დიდი ბრიტანეთი; საბჭოთა კავშირი კი, სტალინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აუმხედრდა, — რატომ სთხოვ თურქეთს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნებასო, მაინც ცდილობდა ძირძველი ქართული მიწების შემოერთებას.

ნ.კ

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმხანად სოციალისტურ სისტემას უკვე დამტკიცებული ჰქონდა თავისი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. საბჭოთა კავშირი გახდა სუპერძალა, რომლისთვისაც მხოლოდ გერმანიის იმპერიას შეეძლო გაეწია კონკურენცია ევროპაში. ინდუსტრიალიზაციის წყალობით, სწრაფად გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალი. ფინეთის ომის სასტიკმა გაკვეთილმა, მაგრამ გამარჯვებამ, აჩვენა, რა რთულია აგრესორის პოზიცია და რა ძლიერია მისი წინააღმდეგობა, ვინც იბრძვის თავისუფლებისთვის.**

# სტალინი დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში

## დიპლომატიური ომი სსრკ-ში გერმანიის შეჭრამდე ცოტა ხნით ადრე და გეგმა «ბარბაროსა»

**1941 წლის 10 მაისს ნაცისტურ პარტიაში ფიურერის მოადგილის, რუდოლფ ჰესის, გაფრენა ინგლისში სპონტანური არ ყოფილა. იგი ჰიტლერის ახლო მეგობარიც გახლდათ — მათ ე.წ. ლუდის პუტჩის შემდეგ 9 თვე ერთად გაატარეს ციხის საკანში. გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე ჰესს დიდხანს ესაუბრა ჰიტლერი. რაზე ისაუბრეს, უცნობია, მაგრამ, დაცვის წევრის ჩვენების თანახმად, ისინი ერთმანეთს კარგი განწყობით არ დამშვიდობებიან.**



მოლოტოვი ხელს აწერს გერმანია-სსრკ-ის შეთანხმებას თავდაუსხმელობის შესახებ. იოახიმ ფონ რიბენტროპი, იოსებ სტალინი, ნ. პავლოვი და ფ. გაუსი. 1939 წლის 23 აგვისტო

**კირკპატრიკმა მოგვიანებით დაწერა, რომ ჰესმა ის დაარწმუნა გერმანიასთან ომში ინგლისის სრული მარცხის გარდაუვალობაში. ჰესმა ბრიტანელ დიპლომატს ასევე უთხრა, რომ გერმანიასთან სამშვიდობო შეთანხმების შემთხვევაში, ინგლისს გარანტირებული ექნებოდა ჰეგემონია თავის ტერიტორიებზე, ხოლო კონტინენტური ევროპა დარჩებოდა მესამე რაიხს მფლობელობაში. ზღვებსა და ოკეანეებში დომინაცია ექნებოდა ბრიტანულ ფლოტს, გერმანიის არმიას კი — ხმელეთზე. რაც შეეხება ამერიკას, ის იზოლაციაში რჩებოდა**



ჰიტლერი და მოლოტოვი

უახლოესი გარემოცვის წევრის ფარული მისიით გაგზავნა გერმანიასთან ომში მყოფ ქვეყანასთან ჰიტლერის პარადოქსული დიპლომატიური ნაბიჯია. ჰესი ცნობილი ანტიკომუნისტი იყო და ლონდონში მისმა გამოჩენამ ნათლად აჩვენა, რა ამოცანით იქნებოდა იქ ჩასული — ბრიტანეთის ხელმძღვანელობასთან სსრ კავშირის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებებზე შესათანხმებლად ან ბრიტანელებთან ნეიტრალიტეტის მისაღწევად.

შესაძლოა, ჰიტლერმა შეცდომა დაუშვა, როდესაც 10-11 მაისის ღამით გაგზავნა გერმანული თვითმფრინავები ბრიტანეთის ქალაქების დასაბომბად. ამით მას სურდა, კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი ძალა დიდი ბრიტანეთისთვის, მაგრამ ინგლისელები სამშობლოს მედგრად იცავდნენ — ხალხში მაღალი იყო პატრიოტული სულისკვეთება. გამოცდილი ბრიტანელი დიპლომატი **ივონ კირკპატრიკი** ჰესთან საიდუმლო მოლაპარაკებებს სამი დღის განმავლობაში აწარმოებდა. **კირკპატრიკმა მოგვიანებით დაწერა, რომ ჰესმა დაარწმუნა ის გერმანიასთან ომში ინგლისის სრული მარცხის გარდაუვალობაში. ჰესმა ბრიტანელ დიპლომატს ასევე უთხრა, რომ გერმანიასთან სამშვიდობო შეთანხმების შემთხვევაში, ინგლისს გარანტირებული ექნებოდა ჰეგემონია თავის ტერიტორიებზე, ხოლო კონტინენტური ევროპა დარჩებოდა მესამე რაიხს მფლობელობაში. ზღვებსა და ოკეანეებში დომინაცია ექნებოდა ბრიტანულ ფლოტს, გერმანიის არმიას კი — ხმელეთზე. რაც შეეხება ამერიკას, ის იზოლაციაში რჩებოდა.**

ივნისის დასაწყისში ჰესთან საიდუმლო მოლაპარაკებებში **ჩერჩილის** კაბინეტის წევრი, კანცლერი **ჯონ სიმონსი** ჩაერთო (ეს ამბავი სტალინმაც იცოდა). ეს ნიშნავს იმას, რომ ბრიტანეთის მმართველი წრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰესის მისიას. სიმონსი დაინტერესდა, გავრცელდებოდა თუ არა ფიურერის კონცეფცია საბჭოთა კავშირის რომელიმე ნაწილზე. ჰესმა დადებითი პასუხი გასცა და დასძინა, რომ ეს არის მხოლოდ აზიური ნაწილი, მაგრამ ჰიტლერის მხრიდან ჰესის მეშვეობით ბრიტანელებთან მოლაპარაკებების მცდელობა მიზანშეწონილი არ იყო, რადგან საჰაერო დარტყმებით გამოწვეული მსხვერპლის გამო ინგლისში ანტიფაშისტური განწყობა დღითიდღე იზრდებოდა.

უინსტონ ჩერჩილი დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა თავის მოქალაქეებში. ის დასავლეთ ევროპაში ბრიტანეთის ჰეგემონიის მომხრე იყო და არ სჯეროდა ჰიტლერის დანაპირების კოლონიალური ბრიტანეთის იმპერიის შენარჩუნების თაობაზე. ჰიტლერმა თავი უკვე სრულად გამოავლინა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბელგიის, საფრანგეთის დაპყრობისას. ის უახლოეს მომავალში უეჭველად დაესხმებოდა თავს სსრკ-ს და რომელი სახელმწიფო მოღვაწე ენდობოდა ისეთი „მოკავშირის დაპირებებს," რომელიც ცოტა ხნის წინათ მტერი იყო?! რა თქმა უნდა, ჩერჩილი არ იყო ასეთი მიმნდობი ადამიანი. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ ჰიტლერს ჰქონდა ბრიტანეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების იმედი. უნდა ითქვას, რომ ჰესის მისიის მარცხი, პირველ რიგში, ინგლისელი ხალხის ანტიფაშისტურმა განწყობამ განსაზღვრა, თუმცა ქვეყნის მმართველი წრეები აშკარად დაინტერესდნენ ჰიტლერის წინადადებით, ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ ჰესთან მოლაპარაკებების მასალები ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

**ჰესს შეეძლო, მიეღო ბრიტანეთის მთავრობისგან პირდაპირი თუ არა ირიბი გარანტიები, რომ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა რუსეთში ნაცისტების შეჭრის შემდეგ. როგორც ვიცით, ბრიტანეთის პოლიტიკა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის განადგურებას, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის მთავარი მტერის, და გერმანიისა და სსრკ-ის მნიშვნელოვან დასუსტებას, თუ ისინი ერთმანეთს შეებრძოლებოდნენ.**

არ არის გამორიცხული, რომ ჰესის მისია ჰიტლერის ეშმაკური ხრიკი იყო — მან იცოდა, რომ ამ ეტაპზე ბრიტანეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებები არ შედგებოდა, განსაკუთრებით გერმანული თვითმფრინავებით ინგლისის დარბევის შემდეგ, თანაც სტალინი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ჰიტლერი, პირველ რიგში, დასავლელ მტერთან გამკლავებას შეეცდებოდა. თუ ჰიტლერის გეგმა ეს იყო, მაშინ მიზანი მიღწეული გახლდათ. იცოდა რა ჰესის წარუმატებელი მისიის შესახებ, სტალინს განუმტკიცდა იმედი, რომ ჰიტლერის შეჭრა სსრკ-ში გადაიდო 1942 წლამდე. ჩერჩილის გაფრთხილება სსრკ-ზე გერმანიის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ კი გონივრული იყო, რადგან ბრიტანელებს სურდათ, ვერმახტს რაც შეიძლება მალე აეღო გეზი აღმოსავლეთისკენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **იოახიმ ფონ რიბენტროპმა** დატოვა მემუარები, რომელიც დაწერა ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობისას, სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე. აი, როგორ აღწერა მან საბჭოთა კავშირის ლიდერთან შეხვედრა:

**„ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეგვიყვანა მოგრძო ოთახში, რომლის ბოლოს სტალინი იდგა... შულენბურგმა (გერმანიის ელჩი სსრკ-ში) გაკვირვება ვერ დამალა. მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა კავშირში უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა, სტალინთან არასდროს უსაუბრია... შეხვედრის პირველივე წუთიდანვე სტალინმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: არაჩვეულებრივი პროპორციების ადამიანი. მისმა სხარტმა, თითქოს მშრალმა, მაგრამ აზრის გამოხატვის მკაფიო მანერამ, ამასთანავე, მოლაპარაკებების საუცხოო სტილმა აჩვენა, რომ იგი სამართლიანად ატარებდა თავის სახელს. თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ საყურადღებო ეპიზოდი: ... სტალინს ვკითხე, ფიურერის პირად ფოტოგრაფს თუ შეეძლო ჩვენთვის რამდენიმე სურათის გადაღება. სტალინი დათანხმდა. მან პირველად მისცა უცხოელს კრემლში ფოტოს გადაღების საშუალება, მაგრამ, როდესაც შამპანურის ბოკლებით ხელში გადგვიღეს ფოტო, სტალინმა გააპროტესტა: მას არ სურდა ასეთი სურათის გამოქვეყნება. ჩემი თხოვნით, ფოტოგრაფმა აპარატიდან ამოიღო ფირი და გადასცა სტალინს, მაგრამ მან უკან დააბრუნა შემდეგი სიტყვებით: „გენდობით, რომ სურათი არ გამოქვეყნდება"**. რა თქმა უნდა, ჰიტლერს სტალინის ამ უმნიშვნელო, მაგრამ ღირსეულ საქციელზე მოახსენებდნენ.

გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში ამ საიდუმლო ოქმების გამოქვეყნებამ მნიშვნელოვანი როლი შეიტანა ანტისაბჭოთა პროპაგანდაში. მაგრამ კიდევ ერთხელ მოვიყვან გენერალ-მაიორ **პაველ სუდოპლატოვის** სიტყვებს: „ასეთი ფარული ოქმები დიპლომატიურ ურთიერთობებში ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით რთულ საკითხებში". მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმების კითხვისას, მათში ვერანაირ საიდუმლოებას ვერ პოულობს დაინტერესებული პირი. ხელმოწერილი ხელშეკრულებების საფუძველზე გაკეთებული დირექტივები იყო ძალიან მკაფიო და კონკრეტული. მათ შესახებ არა მხოლოდ დაზვერვის ლიდერებმა იცოდნენ, არამედ სამხედრო ლიდერებმა და დიპლომატებმაც. პოლონეთის დაყოფის ცნობილი რუკა, რომელიც 1939 წლის 28 სექტემბრის ოქმებს დაერთო, გაზეთ „პრავდას" გვერდზე გამოჩნდა, რა თქმა უნდა, სტალინისა და რიბენტროპის ხელმოწერის გარეშე, და ის მთელმა მსოფლიომ ნახა. დამყარდა გერმანულ-საბჭოური კავშირი ყველა სფეროში, მათ შორის სამხედრო სფეროშიც, მაგრამ და- ▶




**ივნისის დასაწყისში ჰესთან საიდუმლო მოლაპარაკებებში ჩერჩილის კაბინეტის წევრი, კანცლერი ჯონ სიმონსი ჩაერთო (ეს ამბავი სტალინმაც იცოდა). ეს ნიშნავს იმას, რომ ბრიტანეთის მმართველი წრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჰესის მისიას. სიმონსი დაინტერესდა, გავრცელდებოდა თუ არა ფიურერის კონცეფცია საბჭოთა კავშირის რომელიმე ნაწილზე. ჰესმა დადებითი პასუხი გასცა და დასძინა, რომ ეს არის მხოლოდ აზიური ნაწილი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სავლეთგერმანელი ისტორიკოსის, **სებასტიან ჰაფნერის,** აზრით: „ჰიტლერისა და სტალინის პარტნიორობა არ იყო მეგობრული ალიანსი, არც ერთის მხრიდან.

**ომი გარდაუვალი იყო და სტალინი აძლიერებდა თავისი ქვეყნის სამხედრო ძალას, ამასთანავე, ცდილობდა, შეენარჩუნებინა მშვიდობა რაც შეიძლება, დიდხანს, რადგან წითელი არმიის გადაიარაღება ახალი დაწყებული იყო, თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, მოსალოდნელი კატასტროფა მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა.**

1940 წლის ნოემბერში, გერმანიის მთავრობის მოწვევით, ბერლინში ჩავიდა საბჭოთა მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, სახელმწიფოს მეორე პირი **ვიაჩესლავ მოლოტოვი.** საბჭოთა დელეგაციის შეხვედრა ჰიტლერთან დეტალურად აღწერა შეხვედრის მონაწილე **ვალენტინ ბერეჟკოვმა** წიგნში „დიპლომატიური ისტორიის ფურცლები“ (1982). მან ხაზი გაუსვა რიტუალურ დეკორაციას, რომელიც მიზნად ისახავდა მიწვეულების ფსიქოლოგიურ დათრგუნვას. „შავ ფორმებში ჩაცმულმა, დაცვის ორმა წარმოსადეგი გარეგნობის თანამშრომელმა გააღო უზარმაზარი კარი და ფაშისტური სალმით (მარჯვენა ხელის აწევით) მიესალმა სტუმრებს. უზარმაზარ დარბაზში უზარმაზარი საწერი მაგიდა იდგა, იქვე იყო უზარმაზარი გლობუსი და ამ გარემოში ფიურერის ფიგურა იკარგებოდა.

**ფიურერმა ხაზგასმით აღნიშნა მეგობრული განწყობა და პატივისცემა სსრკ-ის წარმომადგენლებისადმი. მათთან მივიდა, ყველას სათითაოდ მიესალმა და სასაუბროდ მიიწვია. შესავალი სიტყვა დაიწყო იმით, რომ ინგლისი უკვე დამარცხებულია და მალე დანებდება. გერმანია აკონტროლებს მთელ დასავლეთ ევროპას და დროა, ვიზრუნოთ ბრიტანეთის იმპერიის დაყოფაზე. ახლა სასურველია, რომ გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ იცოდნენ საბჭოთა მთავრობის მოსაზრება ამ ვითარების შესახებ.** საპასუხოდ, მოლოტოვმა შესთავაზა კონკრეტული საკითხების განხილვა. კერძოდ, რატომ გაგზავნეს გერმანიის ჯარები ფინეთში და სამხედრო მისია რუმინეთში საბჭოთა მთავრობასთან კონსულტაციის გარეშე? ეს ხომ არღვევდა 1939 წელს დადებულ პაქტს? ფიურერი შეეცადა, მოლაპარაკებები მისთვის საჭირო მიმართულებით წარემართა და საუბარი გადაეტანა სამყაროს დაყოფაზე, რომელშიც მონაწილეობა შესთავაზა სსრკ-ს. ასე რომ, მისი თქმით, გაძლიერდებოდა სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობები გერმანიასთან. **სტალინმა მოლოტოვს დაავალა, გაერკვია აღმოსავლეთის მიმართულებით გერმანული ჯარების კონცენტრაციის მიზეზები და დაკვირვებოდა ჰიტლერის რეაქციას ამ საკითხზე. რეაქცია არაორდინარული აღმოჩნდა. როგორც ბერეჟკოვი წერს, „მიუხედავად სამსახიობო ოსტატობისა, ფიურერმა ვერ შეძლო დაბნეულობის დამალვა“. მან უპასუხა არათანმიმდევრულად და არადამაჯერებლად. მოლოტოვმა განუცხადა, რომ არსებული ვითარება იწვევს მოსკოვის შეშფოთებას და სურვილს, ამ საკითხზე მიიღოს ნათელი პასუხი გერმანიის მთავრობისგან.** ჰიტლერმა კვლავ დაიწყო სამყაროს დაყოფის შესახებ მსჯელობა და, შესაბამისად, ჭეშმარიტი ზრახვების დამალვა. მან სსრკ-ს შესთავაზა გავლენის სფეროების გაფართოება სამხრეთის მიმართულებით — ინდოეთის ოკეანემდე...

**„აქ მოლოტოვმა შეაწყვეტინა ჰიტლერს, — აღნიშნავს ბერეჟკოვი, — რომ აზრი არ აქვს ამგვარი კომბინაციების განხილვას და რომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია იმ რეგიონების მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომლებიც უშუალოდ საბჭოთა კავშირს ესაზღვრება.** ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, სტალინის მითითებების შესაბამისად, ჰიტლერს საშუალება არ მისცა, მოლაპარაკება გადაეტანა საბჭოთა კავშირისთვის აქტუალური პრობლემებიდან სხვა საკითხებზე. საჭირო იყო ფიურერისთვის ეჩვენებინა, რომ საქმე ჰქონდა მოწინააღმდეგესთან, რომელიც კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა. ჰიტლერი ეშმაკობდა და


რუდოლფ ჰესი

**ჰესს შეეძლო, მიეღო ბრიტანეთის მთავრობისგან პირდაპირი თუ ირიბი გარანტიები, რომ დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტი არ გაიხსნებოდა რუსეთში ნაცისტების შეჭრის შემდეგ. როგორც ვიცით, ბრიტანეთის პოლიტიკა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის განადგურებას, როგორც ბურჟუაზიული დემოკრატიის მთავარი მტერის, და გერმანიისა და სსრკ-ის მნიშვნელოვან დასუსტებას, თუ ისინი ერთმანეთს შეებრძოლებოდნენ**

ცრუობდა, ხოლო სტალინმა მოლოტოვის პირით აწარმოა გულახდილი მოლაპარაკება და არ დამალა თავისი ინტერესები. ჰიტლერი დამამცირებელ პოზიციაში აღმოჩნდა. მან მოლაპარაკება შეწყვიტა ბერლინზე საჰაერო შეტევის დაწყების მიზეზით“.

**ბრიტანულმა თვითმფრინავებმა მართლაც მიიტანეს საჰაერო იერიში ბერლინზე. როგორც ჩანს, ბრიტანეთი ინფორმირებული იყო საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის ზუსტ დროზე. ამით ლონდონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ომი დასრულებული არ არის და რომ არ აპირებდა კაპიტულაციას ან შეთქმულებას მესამე რაიხთან. არ არის გამორიცხული, ბრიტანეთის ლიდერებს ამით უფრო ეშმაკური გათვლა ჰქონოდათ: რუსებს შექმნოდათ შთაბეჭდილება, რომ გერმანია აპირებს, განაგრძოს ბრძოლა ინგლისთან და ამით რუსეთს უყურადღებოდ დაეტოვებინა გერმანული ჯარების კონცენტრაცია აღმოსავლეთის მიმართულებით.**

„მეორე დღეს ჰიტლერთან მორიგი შეხვედრა გაიმართა, — წერს ბერეჟკოვი, — იმ მომენტისთვის დაშიფრული ტელეგრამა უკვე მოსული იყო მოსკოვიდან. დელეგაციამ მიიღო შემდეგი მითითება: საბჭოთა მთავრობა კატეგორიულ უარს ამბობს გერმანიის წინადადებაზე, „დაიყოს ბრიტანეთის საკუთრება“. ამასთანავე, დელეგაციამ მიიღო ინსტრუქცია, რომ გერმანიის მთავრობამ კონკრეტულად განმარტოს ევროპის უსაფრთხოების საკითხები“.

**ჰიტლერთან მეორე შეხვედრამ არსებითად არაფერი შეცვალა. მოლოტოვი განაგრძობდა სტალინის ხაზს, ხოლო ფიურერი და რიბენტროპი ყველანაირად ცდილობდნენ, შეენიღბათ გერმანიის მზადება სსრკ-ში შეჭრისთვის. მოლოტოვის თქმით, მოსკოვი უკმაყოფილო იყო საბჭოთა კავშირში გერმანული ტექნიკის მიწოდების შეფერხების გამო; „ასეთი პრაქტიკა მიუღებელია, ვინაიდან საბჭოთა მხარე ზუსტად ასრულებს თავის ვალდებულებებს გერმანიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, — განაცხადა მოლოტოვმა. ჰიტლერი შეეწინააღმდეგა და უთხრა, რომ მისი ქვეყანა „ჩაბმულია ინგლისთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში და იძულებულია, მთელი თავისი რესურსი ამ ომს მოახმაროს. მოლოტოვმა, როგორც ბერეჟკოვი წერს, მკვეთრად ჰკითხა:** — კი მაგრამ, ახლახან არ შევიტყვეთ, რომ ინგლისი უკვე დამარცხებულია და რომელი მხარე იბრძვის სიკვდილისთვის და რომელი — სიცოცხლისთვის?

მოლოტოვის ნათქვამმა ჰიტლერი გააბრაზა, მაგრამ თავი შეიკავა და დაბნეულად წარმოთქვა, რომ ინგლისი ჯერ კიდევ არ იყო დამარცხებული ბოლომდე და ამ მიმართულებით კიდევ რჩებოდა გასაკეთებელი. ბოლოს დასძინა, რომ საუბრის თემა ამოწურულია. რიბენტროპმა კი განაგრძო მოლაპარაკებები.

მესამე რეიხის საგარეო საქმეთა მინისტრმა შესთავაზა საბჭოთა დელეგაციას, სსრკ შეერთებოდა გერმანია-იტალია-იაპონიის პაქტს, მაგრამ დაწყებულმა საჰაერო დარტყმებმა ყველა აიძულა, ბუნკერში ჩასულიყვნენ. მოლოტოვმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ინგლისის მოსალოდნელი დამარცხების გარანტიები არადამაჯერებელია, ისევე, როგორც განმარტებები გერმანიის ჯარების ფინეთსა და რუმინეთში ყოფნის შესახებ. რიბენტროპმა განაცხადა, რომ ასეთი „მეორეხარისხოვანი საკითხები“, ჯობია, დიპლომატიური არხებით განიხილებოდეს. ამით დასრულდა საბჭოთა დიპლომატიური დელეგაციის ვიზიტი ბერლინში.

ახლა უკვე ცნობილია, რომ იმხანად **გერმანელები უკვე ამუშავებდნენ სსრკ-ზე თავდასხმის სტრატეგიას და ჰიტლერმა მოლოტოვთან შეხვედრის წინა დღეს, 1940 წლის 12 ნოემბერს, გამოსცა საიდუმლო ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „უახლოეს მომავალში იწყება პოლიტიკური მოლაპარაკებები რუსეთის პოზიციის გასარკვევად. მოლაპარაკებების შედეგების მიუხედავად, აღმოსავლეთისთვის გათვალისწინებული ყველა მზადება გაგრძელდეს. შემდგომ ინსტრუქციებს ამ საკითხზე მიიღებთ ოპერატიული გეგმის ძირითადი დებულებების დამტკიცებისთანავე“.**

გეგმა „ბარბაროსა“ დამტკიცდა 18 დეკემბერს. დირექტივა ასეთი იყო:

**„გერმანიის შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ, დაამარცხონ საბჭოთა რუსეთი სწრაფი ლაშქრობით ინგლისთან ომის დასრულებამდე. მზადება უნდა დასრულდეს 1941 წლის 15 მაისამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ შეტევისთვის მზადება არ გახმაურდეს“.**

მოლაპარაკებებმა დაანახვა ჰიტლერს, რომ სსრკ შეშფოთებული იყო გერმანიის პოლიტიკით აღმოსავლეთში, რომ სსრკ-ს არ ეშინია გერმანიის და არ აპირებს ნაცისტებთან გარიგებას.

**განიცადა თუ არა სტალინმა მარცხი?** ექვსი თვის შემდეგ ნაცისტები ხომ შეიჭრნენ სსრკ-ში. დაიწყო ომი, რომელიც, როგორც ზოგიერთი დღემდე ამტკიცებს, საბჭოთა ხალხის ლიდერმა ვერ იწინასწარმეტყველა, რითაც აიხსნება ის, რომ პირველი-ორი წელიწადი ბრძოლები მთავრდებოდა რუსეთის მარცხით. ასე მხოლოდ ძალიან გულუბრყვილო ადამიანი თუ იფიქრებს. ჰიტლერთან **მოლაპარაკებების მიმდინარეობამ სტალინს დაანახვა, რა საშიში გახლდათ ფაშისტური გერმანიის ქმედებები და ის, რომ მასთან ომი გარდაუვალი იყო. უფრო მეტიც, სტალინმა მალევე მიიღო ინფორმაცია დაზვერვისგან გერმანელთა შეტევის დაწყების სავარაუდო თარიღის შესახებ, კერძოდ 15 მაისს.**

რის გაკეთება შეეძლო სსრკ-ს ასეთ ვითარებაში? სამხედრო თვალსაზრისით, ყველაზე ლოგიკური იყო, რომ დაესწრო და პირველს დაერტყა მტრისთვის, მაგრამ პოლიტიკური შედეგები შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო საბჭოთა კავშირისთვის. ის გამოცხადდებოდა აგრესორად, რომელმაც დაარღვია სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიასთან. სსრკ-ს ასევე შეეძლო, ინგლისთან ალიანსში შესულიყო ან მიეღწია ნეიტრალიტეტისთვის და მოეპოვებინა მსოფლიო საზოგადოების სიმპათია. ამასთანავე, იაპონიას ყველა საფუძველი ექნებოდა, რომ სსრკ-ისთვის ომი გამოეცხადებინა.

**სტალინის სამშვიდობო პოლიტიკა თანამიმდევრული იყო. იმხანად სოციალისტურ სისტემას უკვე დამტკიცებული ჰქონდა თავისი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. საბჭოთა კავშირი გახდა სუპერძალა, რომლისთვისაც მხოლოდ გერმანიის იმპერიას შეეძლო, გაეწი კონკურენცია ევროპაში. ინდუსტრიალიზაციის წყალობით, სწრაფად გაძლიერდა ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალი. ფინეთის ომის სასტიკმა გაკვეთილმა, მაგრამ გამარჯვებამ, აჩვენა, რა რთულია აგრესორის პოზიცია და რა ძლიერია მისი წინააღმდეგობა, ვინც იბრძვის თავისუფლებისთვის.**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტალინმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: გააგრძელოს ინტენსიური მზადება ომისთვის და შეეცადოს, გადადოს ომის დასაწყისი, რაც შეიძლება დიდი ხნით!





## ყურადღება!

„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

სიკვდილის მთესველნი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კადაფი არ გადადგა. „მე არასდროს დავტოვებ ლიბიის მიწას. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ და აქ მოვკვდები ჩემს წინაპრებთან, როგორც ტანჯული, — მიმართა მან ხალხს, — მე პრეზიდენტი არ ვარ, რომ წავიდე, მე რევოლუციის ლიდერი და მეომარი ბედუინი ვარ, რომელმაც ლიბიელებს დიდება მოუტანა“.**

# რატომ მოკლა დასავლეთმა კადაფი და დაანგრია აყვავებული ლიბია

**ასობით ბომბი და რაკეტა, ათასობით დაღუპული, დანგრეული ქალაქები — 10 წლის წინათ, 2011 წლის 19 მარტს, ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ძალები ლიბიის სამოქალაქო ომში ჩაერია. კადაფის მომხრე სამხედრო ქვედანაყოფებმა ვერაფერი გააწყვეს კბილებამდე შეიარაღებულ ნატოელებთან — ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავიაცია მყისვე ახშობდა ნებისმიერ წინააღმდეგობას. ოპერაცია 31 ოქტომბერს დასრულდა. შედეგად, ლიბიამ, ოდესღაც აყვავებულმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა, როგორც ერთიანმა ქვეყანამ. იქ ბრძოლები დღესაც მიმდინარეობს...**

## ძველი ანგარიშები

2011 წლის თებერვალში ლიბიის სიდიდით მეორე ქალაქ ბენღაზის ქუჩებში ხალხი გამოვიდა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული იურისტისა და უფლებადამცველის, **ფათჰი თერბილის,** გათავისუფლების მოთხოვნით. ორი დღის შემდეგ ქვეყანაში მასშტაბური ანტისამთავრობო გამოსვლები დაიწყო. დღეს ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამ ჩრდილოაფრიკულ სახელმწიფოში სამოქალაქო ომის ჭეშმარიტი მიზეზი იყო კონფლიქტი კირენაიკისა და ტრიპოლიტანიის კლანებს შორის. ტრიპოლიტანიელი **მუამარ კადაფი** 40 წლის განმავლობაში უცვლელად მართავდა ქვეყანას, რაც ძალიან არ მოსწონდა დაპირისპირებულ კლანს.

ძალოვანი უწყების წარმომადგენლებმა იარაღი გამოიყენეს. არეულობები ქუჩის ბრძოლებში გადაიზარდა. ოპოზიციამ ხელში ჩაიგდო იარაღის რამდენიმე საწყობი, შემდეგ კი — ქალაქი ბენღაზი.

მარტის პირველ რიცხვებში კადაფის მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადეს „მარში ტრიპოლზე“. დედაქალაქს 5 ათასამდე ამბოხებულმა შეუტია, მაგრამ ისინი გაანადგურეს. კადაფის არმიას იმ მომენტისთვის ჰყავდა ტანკები, თვითმფრინავები, ჰქონდა არტილერია, ოპოზიციას კი — მხოლოდ პიკაპები და ტყვიამფრქვევები. 18 მარტს სამთავრობო ჯარი ბენღაზიში შესასვლელად ემზადებოდა, რათა ბოლო მოეღო ამბოხებისთვის, მაგრამ გაერომ, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ხოცვა-ჟლეტა, დაუშვა ლიბიაში დასავლეთის ინტერვენცია ერთადერთი პირობით — არ უნდა მომხდარიყო ხმელეთიდან შეჭრა. უშიშროების საბჭოს (რუსეთმა თავი შეიკავა) №1973-ე რეზოლუციით, დასავლეთმა დაიწყო ინტერვენცია. უნდა აღინიშნოს, რომ გაეროს რეზოლუცია ლიბანში ძალადობის შეწყვეტისა და არასაფრენი ზონის შექმნისკენ მოუწოდებდა. მასში სპეციალურად იყო ჩაწერილი, რომ დასაშვები იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ნებისმიერი ფორმა, „საოკუპაციო სამხედრო დანაყოფის შეყვანის გარდა“. მაღალი სიზუსტის იარაღის მასობრივად გამოყენებაზე კი არაფერი უთქვამთ, როგორც ლიბიის ლიდერის — „№1 მიზნის“ მკვლელობაზე.

დასავლეთის ქვეყნების მთავრობები დიდი ხნის განმავლობაში ილესავდნენ კბილებს კადაფიზე და ძველი წყენებისთვის შურის საძიებლად ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდნენ?!

1969 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ **ლიბია ხშირად უპირისპირდებოდა ევროპასა და აშშ-ს. ვაშინგტონი კადაფის საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებდა, პარიზმა არ აპატია საფრანგეთის ყოფილ კოლონია ჩადში შეჭრა 1970-80-იან წლებში, ლონდონმა — ირლანდიელი სეპარატისტების დახმარება.**

კადაფი არ გადადგა. **„მე არასდროს დავტოვებ ლიბიის მიწას. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ და აქ მოვკვდები ჩემს წინაპრებთან, როგორც ტანჯული, — მიმართა მან ხალხს, — მე პრეზიდენტი არ ვარ, რომ წავიდე, მე რევოლუციის ლიდერი და მეომარი ბედუინი ვარ, რომელმაც ლიბიელებს დიდება მოუტანა“.**

## არასაფრენი ზონა

პენტაგონმა — ოპერაციის მთავარმა კურატორმა და ორგანიზატორმა — ლიბიის ნაპირებთან დიდ სამხედრო ძალას მოუყარა თავი. მათ შორის იყო 4 ათასი საზღვაო ქვეითი, საზღვაო ქვეითთა 22-ე საექსპედიციო კორპუსი; „არლი ბერკის“ ტიპის 2 საესკადრო ნაღმოსანი, მრავალმიზნიანი ატომური წყალქვეშა ნავი „ლოს-ანჯელესი“; სტრატეგიული ატომმავალი „ოჰაიო“. ამას გარდა, ამერიკელებს მზად ჰყავდათ ბომბდამშენი ავიაცია. ინტერვენციის ყველაზე აქტიურმა მონაწილეებმა — ფრანგებმა — ლიბიის ნაპირთან გადაისროლეს 4 ფრეგატი და ავიამზიდი „შარლ დე გოლი“. ნატოს სხვა წევრებმაც ჩართეს ოპერაციაში თავიანთი ძალები.

სულ ოპერაციაში მონაწილეობდა 18 ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს რეზოლუცია ლიბიის თავზე არასაფრენ რეჟიმს ითვალისწინებდა, **ნატოს ავიაციამ იერიში მიიტანა კადაფის მომხრეთა პოზიციებზე. 19 მარტს საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების 2-მა თვითმფრინავმა ბენღაზისთან თავმოყრილი სამთავრობო ძალების ჯავშნიან ტექნიკას შეუტია. იმავე დღეს ამერიკელებმა 114 რაკეტა გაუშვეს ლიბანის ტერიტორიაზე. ტრიპოლის მიერ გავრცელებული ცნობით, ამ დაბომბვას 64 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 150 დაიჭრა. ნატოს ავიაციამ გაანადგურა ათეულობით ხიდი, დაანგრია სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ბევრი ობიექტი.**

ლიბიის დაბომბვა შემდეგ დღეებშიც გაგრძელდა. ქვეყანას თავს დაატყდა სხვადასხვა კალიბრის ათასობით ჭურვი. 23 მარტს ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა **გრეგ ბეგვილმა** განაცხადა, რომ ლიბიის სამხედრო-საჰაერო ძალები განადგურებულია.

გაეროს რეზოლუციის მიხედვით, ამით სამხედრო ჩარევა უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დასავლეთი გაჩერებას არ აპირებდა.

## ლიდერის სიკვდილი

**ჰაერში უპირატესობის მოპოვების შემდეგ ნატოს თვითმფრინავები შეუდგნენ კადაფის არმიის ცოცხალი ძალის, ტექნიკისა და ინფრასტრუქტურის მეთოდურად განადგურებას. ეს იყო ხოცვა-ჟლეტა. ამერიკელებმა ოპერაციაში ჩართეს სტრატეგიული ბომბდამშენები — B-1B და B-2. ნატოს ავიაცია, პრაქტიკულად, დაუსჯელად მოქმედებდა — ლიბიელთა მოძველებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებმა ვერაფერი დააკლო თანამედროვე თვითმფრინავებს.**

თვითმფრინავებს, ვერტმფრენებსა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს მოკლებული ლიბიელთა სახმელეთო ჯარი, ფაქტობრივად, უმწეო იყო აგრესორის წინაშე. მაგალითად, 10 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თვითმფრინავებმა 25 ტანკი გაანადგურეს.

მაისში ნატოს თვითმფრინავებმა ტრიპოლის დაბომბვა დაიწყეს. მათ არაერთხელ დაარტყეს მუამარ კადაფის რეზიდენციას, მაგრამ მან შეძლო მიმალვა. კადაფის ერთ-ერთი თავშესაფარი იყო ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ სირტში. ამ დასახლებულ პუნქტს 2011 წლის შემოდგომაზე ჯერ კიდევ აკონტროლებდა კადაფის ხელისუფლება. ოქტომბრის დასაწყისში ოპოზიციის შეიარაღებულმა რაზმებმა შეტევა წამოიწყეს. ე.წ. გარდამავალი ეროვნული საბჭოს მომხრეებმა იცოდნენ, რომ კადაფი სირტში იმალებოდა და გადაწყვიტეს, ნებისმიერ ფასად ხელში ჩაეგდოთ ქალაქი. ლიბიის ლიდერი 20 ოქტომბერს დაატყვევეს, მაშინვე, როგორც კი ქალაქი აიღეს. კადაფის გარს შემოერტყა ბრბო, თითოეული ცდილობდა, მისთვის დაერტყა, მძიმე საგანი ესროლა, სამი საათის განმავლობაში აწამეს, შემდეგ ავტომობილში ჩატენეს და ჰოსპიტალში წაიყვანეს, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. ნატომ თავისი საქმე გააკეთა და 31 ოქტომბერს ოპერაცია დაასრულა. მსოფლიომ კი ნახა **ჰილარი კლინტონის** სიხარული, როცა კადაფის სიკვდილი შეიტყო.

ლიბია ნატოს „მშვიდობისმყოფელების“ მაგალითია, როცა თეთრ სახლს დემოკრატები მართავდნენ, ხოლო აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში ვიცე-პრეზიდენტი იყო.


მუამარ კადაფი


კადაფის მომხრეები ქალაქ ბენი-ვალიდში





ქალაქი სირტი დაბომბვის შემდეგ

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. 2016 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ჰილარი კლინტონის ზოგიერთი წერილი სახელმწიფო მდივნის პოსტზე ყოფნისას. წერილებიდან ჩანს, რომ ქალბატონი ძალიან წუხდა ლიბიის ნავთობისა და ოქროს მარაგებზე, რადგან მათი გამოყენებით შეიძლებოდა დოლარის კურსისა და ამერიკული ფასეულობების დაზიანება.**

**პოლკოვნიკ კადაფის კი ამის უნარი შესწევდა.**

**გ.გ.**

18 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელ კოლეგას პირდაპირ ეთერში დიალოგი შესთავაზა, მაგრამ ბაიდენმა თავი აარიდა ღია დისკუსიას. „დარწმუნებული ვარ, დადგება ეტაპი და ჩვენ ვისაუბრებთ“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს. მოგვიანებით თეთრ სახლში განაცხადეს, რომ „ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს საჭირო მომენტში შეხვდებიან“.

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინმა ბაიდენს აუხსნა, რით განსხვავდებიან რუსები ამერიკელებისგან

## რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელ კოლეგას ჯერ ჯანმრთელობა უსურვა, შემდეგ პირდაპირ ეთერში დიალოგი შესთავაზა, მაგრამ ბაიდენმა დიალოგს თავი აარიდა

**„რუსეთი იმუშავებს აშშ-თან, ოღონდ საკუთარი პირობებით“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ყირიმისა და სევასტოპოლის საზოგადოებასთან ვიდეოშეხვედრის მიმდინარეობისას. რუსეთის პრეზიდენტმა ილაპარაკა, როგორ ყალიბდებოდა ამერიკელი ისტებლიშმენტის ცნობიერება და, აქედან გამომდინარე, როგორ ხედავენ ისინი მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობას, „მაგრამ ჩვენ სხვა ადამიანები ვართ“, — თქვა პუტინმა. რა არის ამ განსხვავების არსი და როგორ აისახება ის აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობაზე?**





რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 18 მარტს ყირიმისა და სევასტოპოლის წარმომადგენლებთან ვიდეოშეხვედრისას მისი მისამართით აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გამოხდომას უპასუხა. მან ჯო ბაიდენს ჯანმრთელობა უსურვა: **„მე მას ჯანმრთელობას ვუსურვებ. ამას ვამბობ ირონიის გარეშე, ხუმრობის გარეშე“**, — ხაზი გაუსვა პუტინმა.

რუსეთის ლიდერმა აღნიშნა: „ჩვენ ხშირად გადაგვაქვს სხვა ადამიანზე ის, რითაც ვსუნთქავთ, რასაც წარმოვადგენთ. და აი მაგონდება, როდესაც ბავშვობაში ეზოში თამაშისას ერთმანეთთან ვკამათობდით, ასე ვამბობდით ხოლმე: **„ვინც იძახის, იძახის, თავის თავზე იძახის“**. და ეს არ არის შემთხვევითი. ეს არ არის უბრალო ბავშვური ანდაზა ან ხუმრობა. აზრი ძალიან ღრმაა, ფსიქოლგიური. ჩვენ ყოველთვის ვხედავთ სხვა ადამიანში ჩვენს თვისებებს და ვფიქრობთ, რომ ის ისეთივეა, როგორიც ჩვენ. და აქედან გამომდინარე, ვაფასებთ მათ მოქმედებებს“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ამას გარდა, პუტინმა მიუთითა რუსებისა და ამერიკელების განსხვავებულ გენეტიკურ და კულტურულ-ზნეობრივ კოდზე. „ვიცი, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობა განწყობილია ჩვენთან გარკვეული ურთიერთობისთვის, ოღონდ იმ საკითხებზე, რომლებიც აინტერესებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, და მათი პირობებით, მაგრამ ჩვენ სხვა ხალხი ვართ. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ინტერესების დაცვა. და ჩვენ ვიმუშავებთ მათთან, ოღონდ იმ სფეროებში, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, და იმ პირობებით, რომლებიც მიგვაჩნია ჩვენთვის სასარგებლო“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა და დასძინა, რომ აშშ-ს „მოუწევს ამის გათვალისწინება, ჩვენი განვითარების შეჩერების მცდელობის მიუხედავად“.

**რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ის რუსეთის ლიდერს „მკვლელად“ მიიჩნევს. ამასთანავე, თეთრ სახლში განაცხადეს, რომ აშშ აპირებს, რუსეთს პასუხისმგებლობა დააკისროს „ბოროტი ქმედებებისთვის“.**

იმავე დღეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აშშ-დან ელჩი გაიწვია ვაშინგტონთან ურთიერთობის პერსპექტივის შესაფასებლად და კონსულტაციებისთვის. მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობაში ასეთი რამ ბოლოს ავღანეთის ომის პერიოდში მოხდა. დიპლომატიურ პრაქტიკაში ელჩის სასწრაფოდ გაწვევა საკონსულტაციოდ ბოლოსწინა გაფრთხილებას ნიშნავს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე.

აღსანიშნავია, რომ ბაიდენის თავდასხმამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ევროპის ქვეყნებში — აშშ-ის მოკავშირეებში; მაგალითად, **გერმანული გამოცემა Die Welt-ი დაეჭვდა ბაიდენის გამოცდილებაში. „მას, ვინც პუტინს, ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოს მეთაურს, მკვლელს უწოდებს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შეტევის მიზანი. ეს გაცნობიერებული აქვს ბაიდენს? სინამდვილეში მოსკოვთან დიალოგი უაღრესად აუცილებელია. იმედი ვიქონიოთ, რომ ცივი ომისდროინდელი წითელი ტელეფონი კვლავაც მუშაობს“**, — წერს Die Welt-ი.

პუტინს სოლიდარობა გამოუცხადა რუსეთის იტალიელი მეგობრების საზოგადოებრივმა ასოციაციამ. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა **ლორენცო ვალორეიამ** სპეციალურ გზავნილში აღნიშნა, რომ ბაიდენმა მტკიცებულებების გარეშე წაუყენა მძიმე ბრალდება უცხო ქვეყნის სახელმწიფო მეთაურს. ადრე აშშ-ის არც ერთ პრეზიდენტს არ მიუცია საკუთარი თავისთვის რუსეთის პირველი პირის შეურაცხყოფის უფლება. ვალორეიას თქმით, ამერიკის ლიდერმა, რომელზეც ბევრი ამყარებდა იმედს, თავი წარმოაჩინა უხეშ, იმპულსურ ადამიანად და ომის მომხრედ. თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** ბაიდენის გამოხდომას დაუშვებელი უწოდა.

პოლიტოლოგ-ამერიკანისტ **დიმიტრი დრობნიცკის** აზრით, ბაიდენის სიტყვები არ არის წამოცდენა. ეს წინასწარ მომზადებული პროვოკაციაა. ამერიკანისტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბაიდენს ცნობილმა ჟურნალისტმა **ჯორჯ სტეფანოპულოსმა** წინასწარ მომზადებული კითხვა დაუსვა — „მიგაჩნიათ თუ არა პუტინი მკვლელად?“ ბაიდენმა კი უპასუხა: **„ჰმმ... დიახ!“** „ბაიდენს, საერთოდ, არ უსვამენ კითხვას შეუთანხმებლად, ასე მხოლოდ ტრამპს „გამოიჭერდნენ“ ხოლმე. დემოკრატიული პარტიის დისციპლინა გამორიცხავს მსგავს რამეს ბაიდენთან.

**«არც რუსეთს, არც ჩინეთსა და არც კორეას არ ეშინიათ ამერიკის. ბაიდენი, უბრალოდ, «მაგარი ბიჭის» როლს თამაშობს, მაგრამ მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები იცინიან ამერიკაზე, რომელსაც ასეთი სუსტი ე.წ. ლიდერი ჰყავს»**



ბაიდენის სიტყვები არ შეიძლება მივაწეროთ ხანდაზმულობით გამოწვეულ დემენციას. ღა, **სტეფანოპულოსს, ფსაკის,** თეთრი სახლის პრესკორპუსის წარმომადგენლებს — ყველას დემენცია სჭირს? ყველაფერს აქვს საზღვარი, რომელსაც დიპლომატიურ ენაზე „წითელ ხაზს“ უწოდებენ. და, თუ ამერიკელებმა ეს ხაზი გადაკვეთეს, მაშინ არანაირი მოლაპარაკება არ გაიმართება, სანამ თეთრი სახლი ამ ნათქვამის დეჟავიურებას არ მოახდენს“, — განაცხადა დრობნეცკიმ.

აღსანიშნავია, რომ თვით ამერიკელებიც გააღიზიანა ბაიდენის ნათქვამმა, ტელეარხ Fox New-ის მაყურებლებს მწვავე რეაქცია ჰქონდათ აშშ-ის პრეზიდენტის გამხდომაზე რუსეთის პრეზიდენტის მიმართ. ბევრი ამერიკელი ფიქრობს, რომ ბაიდენის ქმედებების გამო ქვეყანას შეიძლება პრობლემები შეექმნას. ბევრმა ბაიდენს მოუწოდა, ბოდიში მოიხადოს რუსეთის პრეზიდენტის მიმართ დაუფიქრებელი და დაუსაბუთებელი გამონათქვამების გამო.

**„არც რუსეთს, არც ჩინეთსა და არც კორეას არ ეშინიათ ამერიკის. ბაიდენი, უბრალოდ, „მაგარი ბიჭის“ როლს თამაშობს, მაგრამ მსოფლიოს ყველა კუთხეში ადამიანები იცინიან ამერიკაზე, რომელსაც ასეთი სუსტი ე.წ. ლიდერი ჰყავს“, — დაწერა სოციალური ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა.**

18 მარტს რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკელ კოლეგას პირდაპირ ეთერში დიალოგი შესთავაზა, მაგრამ ბაიდენმა თავი აარიდა ღია დისკუსიას. „დარწმუნებული ვარ, დადგება ეტაპი და ჩვენ ვისაუბრებთ“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს. მოგვიანებით თეთრ სახლში განაცხადეს, რომ „ორი ქვეყნის ლიდერები ერთმანეთს საჭირო მომენტში შეხვდებიან“.

vz.ru-სა და ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. ჯო ბაიდენი, როგორც ჩანს, უკვე აღარ მიიჩნევს თავს აშშ-ის პრეზიდენტად. რამდენიმე დღის წინათ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე საუბრისას მან კიდევ ერთხელ უწოდა ქვეყნის პრეზიდენტი თავის ვიცე-პრეზიდენტ კამალა ჰარისს და ეს წამოცდენა ვერც კი შეამჩნია.**

**„ვაშინგტონ პოსტი“ უკვე წერს, რომ ჰარისი ახლოსაა პრეზიდენტის სავარძელთან. ექსპერტთა აზრით, ჰარისმა უკვე შეითავსა პრეზიდენტის ბევრი უფლებამოსილება.**

**გ.გ.**

# ამერიკელმა კონგრესმენმა ბაიდენს პუტინთან დიალოგზე უარის თქმის გამო დასცინა



**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა მეტ გეტცმა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს დასცინა რუსეთის ლიდერ ვლადიმერ პუტინთან დიალოგზე უარის თქმის გამო, — იუწყება Fox.new-ი.**

რესპუბლიკური პარტიის წევრის აზრით, ორი ლიდერის დიალოგი არ დასრულდება ისე, როგორც „როკი IV“.

**„მე არ ვფიქრობ, რომ ბაიდენი გაიმარჯვებს“**, — განაცხადა გეტცმა და დასძინა, რომ პუტინმა ეფექტურად უპასუხა ბაიდენის გამოხდომას. გეტცმა, აგრეთვე იხუმრა ბაიდენისა და ვიცე-პრეზიდენტ კამილა ჰარისის ურთიერთობაზე: **„ვაშინგტონში ყველამ იცის, რომ ყოველთვის, როცა კამილა ჰარისი ხელს ართმევს ჯო ბაიდენს, ის მას პულსს უსინჯავს“.**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

25-ე ვეერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 5000 ტონა ოპიუმს აწარმოებენ, რაც საერთაშორისო ნარკობიზნესს 480-500 ტონა ჰეროინის დამზადების საშუალებას აძლევს. ბოლო 20 წლის განმავლობაში დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა მსოფლიოში დაახლოებით 90 000 ტონა ოპიუმი აწარმოეს, დაამზადეს 9 000 ტონა ჰეროინი.**

# ნარკოტიკები და პოლიტიკა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №9, 2021 წ.



ჯემალ ჯანაშია

## ისლამური სახელმწიფო

**„ისლამური სახელმწიფო“ (ISIS) — აკონტროლებდა ერაყისა და სირიის საკმაოდ დიდ ტერიტორიებს. მან თავისი სიმდიდრით, სამხედრო შესაძლებლობითა და გაკონტროლებული ტერიტორიის ფართობით გადააჭარბა „ალქაიდას“. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის წყაროები ადასტურებენ, რომ ISIS-ს ჰქონდა 3 მილიონი აშშ დოლარი დღეში მხოლოდ ნავთობის გაყიდვიდან.** დაფინანსებას „ისლამური სახელმწიფო“ საკუთარი წევრების კრიმინალური საქმიანობიდან, მათ შორის ნარკოტიკებიდან, სხვა სუნიტური ქვეყნებიდანაც იღებდა. იგი წარმოადგენდა ისტორიაში ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც ზუსტად იყენებდა „ჰეზბოლას“ ტაქტიკას, აყალიბებდა ადგილობრივ მთავრობას სირიასა და ერაყში და ცდილობდა, ხელში ჩაეგდო სახელმწიფოთა მმართველობის ფუნქციები. ტერორიზმი მათ ყველაზე მძლავრ იარაღად მიაჩნდათ და ამ გზით ცდილობდნენ, დაესაჯათ და დაეშინებინათ დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობა, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც.

მსოფლიო თანამეგობრობას მრავალი წელი დიდი ეკონომიკური ძალისხმევა და საკმაოდ დიდი ოდენობის ადამიანური რესურსი დასჭირდა, რათა შეეჩერებინა „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერება და შეეკვეცა მისი მოქმედების არეალი. სამწუხაროდ, ამ პრობლემის გადაჭრა კიდევ ბევრ ძალისხმევასა და სახელმწიფოთა მუდმივად ერთიან მოქმედებას მოითხოვს.

დავუბრუნდეთ საკვლევ ნარკოტიკების თემას. მსოფლიო თანამეგობრობის მიერ განხორციელებული მრავალმხრივი ღონისძიებების მიუხედავად, პლანეტაზე ოპიუმის ყაყაჩოს (ხაშხაშის) ნათესების ოდენობა არ მცირდება. **მსოფლიოში ყოველწლიურად საშუალოდ 5000 ტონა ოპიუმს აწარმოებენ, რომელიც საერთაშორისო ნარკობიზნესს 480-500 ტონა ჰეროინის დამზადების საშუალებას აძლევს. ბოლო 20 წლის განმავლობაში დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა მსოფლიოში დაახლოებით 90 000 ტონა ოპიუმი აწარმოეს, დაამზადეს 9 000 ტონა ჰეროინი.**

მიზეზები კი იგივეა, რაც წინა საუკუნეში — არ არსებობს ერთიანი მიდგომა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ. **რიგი სახელმწიფოების ხელმძღვანელები ვერ ან არ აცნობიერებენ, რომ ნარკოტიკები მსოფლიო პრობლემაა და რომ ვერც ერთი სახელმწიფო თავის ტერიტორიის ფარგლებში დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს წარმატებას მასთან ბრძოლაში. ხშირად ასეთი ხელმძღვანელები საჯაროდ ხელს აწერენ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ტრაქტატებს, ზურგს უკან კი ხელს უწყობენ მისი წარმოებისა და ტრანზიტის დაცული არხების არსებობას.**

სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა ამერიკელი კონგრესმენის, **ალფრედ მაკკოის,** მიერ 1972 წელს გამოქვეყნებული წიგნი „ჰეროინის პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში“. ექვსასგვერდიან ნაშრომში ფუნდამენტურად არის გაანალიზებული ნარკოტიკების პოლიტიკურად გამოყენების ისტორია მისი აღმოჩენიდან დღემდე, მათ მნიშვნელობა ინდოჩინეთისა და ვიეტნამის ომებს შორის პერიოდში.

მოქალაქისთვის, რომელიც მოწმეა ნარკოტიკებით მომრავლებული ყოველდღიური საშინელებების, ვერ წარმოუდგენია, რომ მთავრობებიც კი რამენაირად იყოს ჩართული ამ საწამლავით საერთაშორისო სპეკულაციაში. არადა, მსოფლიო ისტორია საპირისპიროს ადასტურებს, ამის ნათელი მაგალითია, შემდეგი ისტორიული ფაქტი:

**„ცივი ომის“ პერიოდში, როცა ძალაუფლების მოპოვებისთვის კონკურენცია დომინირებდა, ნარკოტიკების პრობლემაც საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთის რესპუბლიკაში ოპიუმის წარმოებასა და ჰეროინის დამზადებასთან წარმოქმნილი პოლიტიკური დაპირისპირება.**

50-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჰეროინის ექსპორტისა და ნარკოტიკებით ნაღდი ფულის მოპოვების მიზნით ჩინეთი მტრებისთვის ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

60-იან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის განხეთქილება ჩამოვარდა, საბჭოთა კავშირმა მაოისტების წინააღმდეგ მსგავსი კამპანია წამოიწყო.

ყველას გასაოცრად, აშშ-მა ჩინეთს დაუჭირა მხარი და ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირი ცილს სწამებდა დიდ ჩინელ ხალხს. ცხადია, საერთაშორისო დებოშის მთავარი ფაქტორი ორ ძლიერ სახელმწიფოს შორის მიმდინარე ცივი ომის პოლიტიკა და გეოპოლიტიკური ინტერესები იყო.

იგივე ისტორია გვიჩვენებს, რომ **დიპლომატები, საიდუმლო აგენტები და პოლიციელები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში სამ დონეზე იყვნენ ჩართული:**

*** შემთხვევითი თანამონაწილეობა იმ პირებთან, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ნარკოტიკებით არაკანონიერ საქმიანობაში;**

*** ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისთვის გაწეული დახმარება, რომელიც ხელს აფარებს ნარკოდანაშაულში მონაწილე ადამიანებს და ლმობიერია მათი მოქმედების მიმართ;**

*** აქტიური თანამონაწილეობა კოკაინის, ოპიუმისა და ჰეროინის ტრანსპორტირებაში.**

ბედის ირონია კი ისაა, რომ ნარკოტიკები მთელი სისასტიკით სჯიდა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც საკუთარი მოქმედებით თუ უმოქმედობით ახალისებდნენ მის წარმოება-მოხმარებას.




**რიგი სახელმწიფოების ხელმძღვანელები ვერ ან არ აცნობიერებენ, რომ ნარკოტიკები მსოფლიო პრობლემაა და რომ ვერც ერთი სახელმწიფო თავის ტერიტორიის ფარგლებში დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს წარმატებას მასთან ბრძოლაში. ხშირად ასეთი ხელმძღვანელები საჯაროდ ხელს აწერენ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ტრაქტატებს, ზურგს უკან კი ხელს უწყობენ მისი წარმოებისა და ტრანზიტის დაცული არხების არსებობას**

## ოპიუმის ყაყაჩოს ნათესები ავღანეთში და მისი პროდუქტების გავრცელების ვექტორები

ბოლო წლებში ავღანეთში ჩამოყალიბდა მძლავრი საწარმოო და ფინანსური სისტემა, რომელიც მოიცავდა ინდუსტრიის ყველა სტადიას: ოპიუმის ყაყაჩოსაგან ნედლეულის შეგროვებას, საწყობებში ცენტრალიზებულად გადაზიდვას. ოპიუმის პროდუქტის — ჰეროინის დიდი ნაწილი ადგილზე მზადდება, რადგან იგი წონაშიც ნაკლებია, არ აქვს ოპიუმისათვის დამახასიათებელი მკვეთრი სუნი და გადასაზიდად უფრო ადვილია თეთრი ფერის ფხვნილის სახით (რძის ფხვნილი, საკვები ფქვილი, პარფიუმერიის ნაწარმი და სხვა დასახელებით).

ავღანეთში 400 ლაბორატორიაზე მეტი ფუნქციობს, მათ შორის 80-მდე უშუალოდ ავღანეთის-პაკისტანის-ირანის-ტაჯიკეთის საზღვარზეა განთავსებული. მორფინისა და ჰეროინის დამზადების შემდეგ გასაღების ქვეყნებში მისი ტრანსპორტირება ქვევით მოცემული მარშრუტებით ხორციელდება:

**1. ავღანეთიდან ცენტრალურ აზიაში და შემდეგ დასავლეთში ჩრდილოეთის ან „აბრეშუმის გზით“;**

**2. ავღანეთიდან ირანის გავლით თურქეთში ან აზერბაიჯანში და შემდეგ ბალკანეთის მარშრუტით სამხრეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართულებით.**

## ჰეროინის ძველი და ახალი მარშრუტები

ბოლო წლების მონაცემები მიგვითითებს, რომ ადამიანები ევროპაში ოპიუმის პროდუქტებიდან განსაკუთრებით ხშირად ჰეროინს მოიხმარენ, რომელიც ყველაზე დამაზიანებელია ევროპის კონტინენტის ნარკომომხმარებელთათვის. უკანონო ბაზარზე სხვა ოპიატებითაც ვაჭრობენ, ესენია: მორფინი, ომნოპონი, კოდეინი და ა.შ.

კვლევების საფუძველზე ევროპაში, სადაც 1,5 მილიონი ოპიატების მომხმარებელია, წელიწადში 250-300 ტონა ჰეროინის მოთხოვნილებაა, თუმცა, ოფიციალური მონაცემებით, 2018 წელს უკანონო ბრუნვიდან ევროპაში 19,7 ტონა ჰეროინი ამოიღეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთში, რომელიც ბალკანური მიმართულებით ევროპისთვის ჰეროინის მთავარი მიმწოდებელია, ბოლო ათწლეულში ჰეროინის ყველაზე დიდი პარტიებია ამოღებული: 2017 წელს — 17,4 ტონა, 2018 წელს — 17,7 ტონა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უკანონო ნარკოტიკის გარკვეული რაოდენობა სპეცსამსახურების ყურადღების მიღმა რჩება.

**ევროპაში ჰეროინის უდიდესი ნაწილი „ოქროს ნახევარმთვარის“ ქვეყნებიდან — ავღანეთიდან, ირანიდან და პაკისტანიდან შედის.**

ბოლო პერიოდში ვითარდება ახალი მარშრუტები: **ავღანური ჰეროინის გადანაწილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბელგია და ნიდერლანდები. ისინი ამარაგებენ ყველაზე მსხვილ მომხმარებელ ქვეყანას — გაერთიანებულ სამეფოს, ბოლო წლებში კი — საფრანგეთს, გერმანიასა და ესპანეთს. ჰეროინის გადაზიდვას ევროკავშირში თურქული და სხვა აზიური კრიმინალური დაჯგუფებები განაგებენ.**

ევროპა ნარკოტიკებით მარაგდება ასევე ახლო აღმოსავლეთიდან, ირანის აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან სუეცის არხის გავლითაც. პაკისტანის გავლით ავღანური ჰეროინი ევროპაში საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების გზით შეაქვთ: იზრდება ყარაჩის საზღვაო პორტის მნიშვნელობა.

**პუტინმა ყარაბაღის კრიზისის დროს საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება პოსტსაბჭოთა სივრცეა... ისეთი პრეზიდენტი, როგორიც პუტინია, სიტყვას ქარს არ ატანს. რაც მან თქვა, იმ თოფს ჰგავს, რომელიც სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე კიდია და წარმოდგენის ბოლოს აუცილებლად გაისვრის.**

კალმის წვერზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სულ უფრო ხშირად გამოიყენებენ შავი და კასპიის ზღვების აუზის მიმართულებას, რომელიც იწყება ირანში, გადის კასპიის ზღვით აზერბაიჯანზე, საქართველოზე, უკრაინასა და რუმინეთზე.

**გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, თურქეთი ტრადიციულად მაინც ევროკავშირში ჰეროინის ტრაფიკის მთავარ დერეფნად რჩება. ზუსტად აქ იწყება „ოქროს სამკუთხედის“ ქვეყნებიდან ნარკოტიკების გადაზიდვის ბალკანეთის მარშრუტი და სინთეზური ნარკოტიკები და პრეკურსორები კი საპირისპირო მიმართულებით გადაიზიდება.**

როგორც კი ოპიუმის წარმოებამ ავღანეთში სამხრეთ პროვინციებისკენ გადაინაცვლა, ნარკოტიკების გადაზიდვამ „აბრეშუმის“ გზიდან „ბალკანეთის“ მიმართულებით გადაინაცვლა. ბალკანეთის გზის ევროპულ მონაკვეთზე 2010 წელს ამოიღეს ჰეროინის თითქმის 60% (1996 წელს — მხოლოდ 6%). ნარკოტიკები გადააქვთ მცირე პარტიებით (20-200კგ) სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებში, ავტობუსებში მოწყობილი სამალავებით.

ექსპერტების დაკვირვებით, ბალკანეთის ტერიტორიაზე (ალბანეთი, კოსოვო, ჩრდილოეთ მაკედონია) წარმოიქმნა ახალი ნარკოსამკუთხედი, რომელშიც ჰეროინი რაფინირდება, საწყობდება და დასავლეთ ევროპაში ვრცელდება.

**ნარკოტიკებთან მებრძოლი სპეცსამსახურების გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ნარკოტიკების ყველაზე რთული, შენიღბული და მკაცრად კონსპირირებული გზა თურქმენეთის მარშრუტი აღმოჩნდა. ამ მიმართულებით გადაზიდული ჰეროინი კუშკისა და მარის ვილაიეთებში (რაიონებში), შემდეგ თურქმენბაშიდან (კრასნოვოდსკი) ასტრახანში საწყობდებოდა. შემდეგ გადაჰქონდათ ნოვოროსიისკში, იქიდან გემებით — დანიშნულების ადგილზე. ჩართული იყო საჰაერო გზაც — მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტიდან, ნოვოსიბირსკიდან, სამარიდან და ა.შ.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოთვლით, ჰეროინზე რუსეთის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იქ ყოველწლიურად 75 ტონა ჰეროინი ილექება. უახლოეს პერიოდში გაიზრდება რუსეთის, როგორც ევროკავშირში მთავარი ტრანზიტული დერეფნის, როლი, რასაც განაპირობებს ავღანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის არსებული საზღვრების გამჭვირვალობა, ხოლო საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული მყარი კავშირები, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის ამ პრობლემასთან ეფექტიან ბრძოლას. მაგალითად, 2019 წელს ტაჯიკმა მესაზღვრეებმა უკანონო ბრუნვიდან ამოიღეს მხოლოდ 172 კგ ჰეროინი.

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**ჯემალ ჯანაშია,**
**იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უშიშროების გენერალ-მაიორი**

# არის თუ არა პუტინი მკვლელი

## იაკობ კედმი ბაიდენის განცხადების შესახებ

**ეს თემა გასული კვირის განმავლობაში მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. ხელისუფალნი კი დუმდნენ. მით უფრო საინტერესო უნდა იყოს აშშ-ის პრეზიდენტის გამაოგნებელი განცხადების იაკობ კედმისეული შეფასება, როცა ჯო ბაიდენმა ტელეწამყვანის შეკითხვას — არის თუ არა პუტინი მკვლელი, დადებითად უპასუხა: „...მმმ... დიახ“... მიმომხილველები შეშფოთდნენ სერიოზულად: ხომ არ დადგა მსოფლიო იმ ზღვარზე, რომელსაც ექსპერტები მოიხსენიებენ ტერმინით „კაზუს ბელი“ — ფორმალური მიზეზი ომის გამოსაცხადებლად? „ცივისა“ თუ „ცხელის“? არჩევანზეა.**



იაკობ კედმი

— „ცივი ომი“ იყო, არის და იქნება, — **აცხადებს ანალიტიკოსი,** — „ცხელი“ — არა. რადგან მოწინააღმდეგეებს არ გააჩნიათ ძალა და სულისკვეთება, თავს დაიტეხონ საომარი დაპირისპირების საშიშროება დღევანდელი რუსეთის მხრიდან. ხვალინდელი რუსეთის მხრიდან — მით უფრო.

პუტინმა ყარაბაღის კრიზისის დროს საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება პოსტსაბჭოთა სივრცეა... ისეთი პრეზიდენტი, როგორიც პუტინია, სიტყვას ქარს არ ატანს. რაც მან თქვა, იმ თოფს ჰგავს, რომელიც სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე კიდია და წარმოდგენის ბოლოს აუცილებლად გაისვრის.

იმ ოპერიდანაა.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება დილემა, რომელიც რუსეთის წინაშე დგას.

აშშ-ის მიმართ რუსეთის პოლიტიკა შტატებთან ურთიერთობის გამწვავება არ არის, მაგრამ, თუ ამერიკა საკუთარი ინიციატივით გაამწვავებს ამ ურთიერთობას და გარკვეულ ზღვარს გადააბიჯებს, მაშინ რუსეთს მიეცემა შესაძლებლობა, თავისუფლად გააკეთოს ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლის, და ანგარიშს არ გაუწევს იმას, რომ აღარაფერია გასამწვავებელი, როცა ყველაფერი ისედაც გამწვავებულია.

რუსეთისა და აშშ-ის ურთიერთობის განვითარება გარკვეულ სიბრტყეშია მოქცეული: გაცოფებული, გაავებული, სულ უფრო უხამსი, სულ უფრო პრიმიტიული და სულ უფრო მწვავე პროპაგანდა რუსეთის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, დასავლეთში. ამ პროპაგანდის მიზანია რუსეთში ვითარების შერყევა, შიდაპოლიტიკური კრიზისის შექმნა პუტინის მოსაცილებლად და, ამასთან ერთად, ხელისუფლების შეცვლა; პარალელურად — ეკონომიკური ზემოქმედების განხორციელება ყველა საშუალებით.

და — არავითარი საომარი სიტუაცია, ღმერთმა არ ქნას! „ღმერთმა არ ქნას“ არა ჩემი, არამედ ამერიკელი გენერლების აზრით! ის, რისი მიღწევაც მათ საბოლოო ჯამში სურთ და, პირველი, რისიც ეშინიათ, რუსეთთან საომარი დაპირისპირებაა, მათ შორის, დონბასშიც.

რუსეთი არ გაამწვავებს ურთიერთობას შეერთებულ შტატებთან. თუ იძულებული არ გახადეს, არავითარ სამხედრო ძალას არ გამოიყენებს არც მოლდოვის, არც უკრაინის, არც საქართველოს წინააღმდეგ. თავშეკავების ძირითადი ფაქტორი ესაა.

თუ ამერიკელები ამას გაითვალისწინებენ, გადარჩებიან.

**„წითელ ხაზებზე“ ლაპარაკის დროს იაკობ კედმი იტყვის, რომ ამ ზღვარს ყოველი სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ დააწესებს, სხვა ვერავინ დაუწესებს.**

**არ უნდა დააწესებინოს!**

— რუსეთის მიერ თავის შეკავება, ამერიკელების ხეპრულ ქმედებაზე ადეკვატური პასუხის გაუცემლობა ადასტურებს, რომ მას არ სურს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამწვავება, რადგან ეს მისი სახელმწიფო ინტერესებისთვის მომგებიანი არ არის.

**მაშასადამე, აშშ-თან ურთიერთობის გაუარესება მოსალოდნელი არ არის? იბადება ასეთი შეკითხვა.**

**იაკობ კედმის უპასუხებს:**

— თუ რუსეთს მიაჩნია, რომ გამწვავება ნიშნავს ურთიერთობის დამატებით გაუარესებას, მაშასადამე, ჯერ კიდევ ყოფილა ურთიერთობის გამწვავების მარაგი. მაგრამ რუსეთი ამ მარაგის ამოქმედებით დაინტერესებული არ არის, რადგან ეს მისთვის არაპროდუქტიულია.

პუტინმა თქვა, რომ, თუ საკითხი ჩვენს ინტერესებს ემთხვევა და შტატებიც მზად არის სათანამშრომლოდ, ვითანამშრომლებთ, თუ არა — არ ვითანამშრომლებთო.

**რუსეთის ხელმძღვანელობის აზრით, არის წერტილები, სადაც ჩვენი ინტერესები შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ თეთრი სახლი და ამერიკის ხელისუფლება აბსოლუტურად ვერ მართავენ საკუთარ ქვეყანას. ასე იყო ტრამპის დროს, ასე იქნება ბაიდენის შემთხვევაშიც.**

**რუსეთის მიერ თავის შეკავება, ამერიკელების ხეპრულ ქმედებაზე ადეკვატური პასუხის გაუცემლობა ადასტურებს, რომ მას არ სურს შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამწვავება, რადგან ეს მისი სახელმწიფო ინტერესებისთვის მომგებიანი არ არის**



შოიგუ და პუტინი ტაიგაში

სხვა ძალების ხელშია ამერიკა.

ასე ხდება მაშინ, როცა სუსტია პრეზიდენტი და უძალოა ხელისუფლება, როცა პოლიტიკური სისტემა გაუწონასწორებელია, არ არის მყარი, მოქმედებს შემთხვევის შესაბამისად და ამიტომაა, რომ რაღაც გარეშე მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პოლიტიკური კონფლიქტები შტატებშიც და ევროპაშიც.

ლიბიის იავარქმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ კადაფისგან ქრთამი აიღო. პირადმა მიზეზმა (ქრთამის აღების ფაქტის დამალვამ) უბიძგა სარკოზის, ლიბიის განადგურების ინიციატორი გამხდარიყო.

დღეს იგივე შეიძლება განმეორდეს შეერთებულ შტატებში, რომელიც კორუმპირებული ხელისუფლებით, კორუმპირებული სენატით, კორუმპირებული კონგრესით არის გამორჩეული. ყველა ნაყიდია... ყველა ვინმესთვის მუშაობს.

ამერიკის ისტებლიშმენტისა და ამერიკის პოლიტიკური აზრის ვულგარიზაცია გრძელდება და ართულებს სიტუაციას, ამიტომაა, რომ ამერიკაში ყველამ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე, აქტიურ ქმედებაზე, რომელიც ხორციელდება არა პოლიტიკური მოტივებით, არამედ პირადი დაინტერესებით. მაგალითად, როგორიც ბაიდენისა და მისი ვაჟის მონაწილეობა იყო უკრაინის ერთ-ერთ კორუმპირებულ გარიგებაში.

**კედმი საინტერესოდ განმარტავს ომის მოსალოდნელობის პრობლემას, რომელიც ბევრ ანალიტიკოსს აშშ-სა თუ ევროპაში არცთუ რეალურ საშიშროებად მიაჩნია.**

— ომისთვის ორი მხარეა აუცილებელი, — მარტივად ასაბუთებს იგი თავის პოზიციას, — არსად — არც ირანში, არც იემენში, არც ავღანეთში, არც უკრაინაში, არც პოლონეთში — ამერიკის არმია არ იომებს. მზად არ არის. არ გაწირავს თავისი ჯარისკაცების სიცოცხლეს.

როცა ამერიკული რაკეტებით — „ტომაჰავკებით“ იბომბებოდა სირია, ამერიკელი ადმირალებისა და სარდლობის მთავარი საზრუნავი იყო, რომელიმე რაკეტას შემთხვევით კურსი არ შეეცვალა და რუსეთის ჯარის განლაგებაში არ აფეთქებულიყო, არ გაეკარა რუსი ჯარისკაცი.

აშშ-ს თუ სადმე დაუპირებია და განუხორციელებია თავდასხმა, მხოლოდ იქ, სადაც რუსეთის სამხედრო-კოსმიური ძალები ან რუსეთის არმიის ნაწილები არ ეგულებოდა.

* * *

**იაკობ კედმი დარწმუნებულია, რომ თავის სამომავლო ამოცანებს რუსეთი მარტოდმარტო არა, მაგრამ მნიშვნელოვნად თავადვე გადაწყვეტს.**

**დაბოლოს:**

**— ევროპაში საკმარისად არიან ისეთები, რომლებიც იზიარებენ ბაიდენის განცხადებას (პუტინის შესახებ) ტალინით დაწყებული და თბილისით დამთავრებული, — ასკვნის იგი.**

დასაფიქრებელი ეს არის.

ა.ს.

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ღმერთთან დამოკიდებულებაში ჩვენ ეჭვი გვეპარება არა მის ყოვლისშემძლეობაში, არა მის ძალაუფლებაში, გააკეთოს ის, რაც შენ გსურს, არამედ მის სიყვარულში, მის მონაწილეობაში. ჩვენ ვითხოვთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, უფალი კი თითქოს ყურადღებას არ გვაქცევს; სად არის მისი სიყვარული, მისი თანაგრძნობა? ეს პირველი განსაცდელია“.**

# «ჩვენი ცხოვრება ხშირად სულაც არ არის ჩვენი — ეს სხვა ადამიანთა ცხოვრებაა»



**მაშ ასე, შევუდგეთ ამას და, გარდა ამისა, კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ვილოცოთ ძალიან მარტივი სიტყვებით: „უფალო, დამეხმარე, რათა გავთავისუფლდე ყოველგვარი სიყალბისაგან და ვიპოვო ჩემი ნამდვილი „მე“.**

**მწუხარება და სიხარული ღვთის უდიდესი წყალობაა. ხშირად ამ დროს საკუთარ თავს ვხვდებით, როდესაც ვტოვებთ ყველა ჩვენს უმსგავსო ხრიკებს და ვხდებით უვნებელნი, მიუწვდომელნი ცხოვრების ყველა სიცრუისათვის.**

ერთიც უნდა აღინიშნოს: როდესაც ყმაწვილს გოგონა უყვარს, თავის წარმოდგენაში ამკობს მას ყოველგვარი სრულყოფილებით, რომელთაგან, შესაძლოა, არც ერთი არ ჰქონდეს. ძალიან ხშირად ეს გოგონა არარაა; მართლაც მას, უბრალოდ, არარსებულ ღირსებებს მიაწერენ. ასეთი შემთხვევაში კონტაქტი არ მყარდება, რადგან ყმაწვილი მას ისე მიმართავს, როგორც არასებულს. ასევე ხდება ღმერთთანაც. **ჩვენ გვაქვს გარკვეული აზრობრივი და მხედველობითი წარმოდგენები ღმერთზე, რომელიც შეკრებილია წიგნებიდან, ტაძარში მოსმენილიდან, იქიდან, რაც ბავშვობაში უფროსებისაგან გვსმენია მის შესახებ; და ძალიან ხშირად ეს სახეები არ გვაძლევენ რეალურ ღმერთთან შეხვედრის შესაძლებლობას.** ისინი მთლად ცრუ არაა, რადგან მასში არის ჭეშმარიტების ნაწილი, მაგრამ, ამასთან ერთად, არ შეესაბამება რეალურ ღმერთს. თუ ღმერთთან შეხვედრა გვინდა, ერთის მხრივ, უნდა ვისარგებლოთ იმ ცოდნით, რომელიც შევიძინეთ პირადად კითხვის ანდა მოსმენის საშუალებით, მაგრამ, ამავე დროს, წინსვლა უნდა განვაგრძოთ.

დღევანდელი ჩვენი ცოდნა ღვთის შესახებ გუშინდელი გამოცდილების შედეგია, და თუ მივმართავთ ისეთ ღმერთს, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, მხოლოდ საკუთარ წარსულს დავუწყებთ ყურებას და ყოველთვის ზურგშექცეულნი აღმოვჩნდებით აწმყოსა და მომავალთან. ასეთი მოქცევით ჩვენ ვცდილობთ, შევხვდეთ არა ღმერთს, არამედ იმას, რაც უკვე ვიცით ღმერთის შესახებ. ეს ღვთისმეტყველების ფუნქციის ილუს- ▶

## «გვგონია, რომ ვდგავართ უფლის წინაშე მთელი ჩვენი სიმართლით, მაშინ, როდესაც საკუთარი თავის ნაცვლად მის წინაშე წარმოვადგენთ ვიღაცას, რომელიც ჩვენი ჭეშმარიტი «მე» არ არის»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**საქართველოში ჩამოსული შვედი დიპლომატი, რომელსაც ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის დავალებას 3 დღეში პირნათლად შეასრულებდა, თბილისიდან ხელმოცარული ერთი კვირის შემდეგ გაბრუნდა. ამ დღეებში მასმედია იუწყებოდა, რომ დენიელსონმა ორჯერ გადადო დაგეგმილი გამგზავრება, რადგან პოზიციების დაახლოება ვერ ხერხდებოდა. მან თქვა, რომ ისე არ წავიდოდა თბილისიდან, სანამ შედეგს არ დადებდა...**

**გასულ კვირაში ვწერდით, რომ სხვას შენი დარდი იმდენად აქვს, რამდენადაც ეს მას აძლევს ხელს-თქო და ისიც გვეეჭვებოდა, რომ უცხო კაცის ჩვენს საქმეებში ცხვირის ჩაყოფით ქართული საქმე გაკეთდებოდა, ანუ ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეთანხმება პოზიტიური ნაბიჯები იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოს წინსვლის საქმეში.**

**თუმცა, საბოლოოდ მისი მისია ისე დასრულდა, რომ შეთანხმება ვერ შედგა. „მე ხვალ ბრიუსელში დავბრუნდები და ანგარიშს წარვადგენ პრეზიდენტ მიშელთან. საბოლოოდ, პასუხისმგებლობა პოლიტიკური კრიზისის მოსაგვარებლად ქართულ პოლიტიკურ აქტორებს ენიჭებათ, ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული კონსოლიდაციისა და მისი ევროპული მისწრაფებებისთვის“, — განაცხადა მედიატორმა.**

**ჰოდა, წავიდა.**

**აქ კი ისევ ერთმანეთისკენ გაუთავებლად ხელის გაშვერის, ერთმანეთის დადანაშაულების ახალი ტალღა წამოვიდა. უსმენ, კითხულობ მათ ნააზრევს და ფიქრობ: როგორ დაკარგეს სახე და სინდისი?!**

**რას არ ამბობენ განრისხებულ გულზე — არანაირი კორექტულობა, არანაირი ტაქტი, პატივისცემა ოპონენტების მიმართ; მხოლოდ დამცირება, დაცინვა, პიროვნული შეურაცხყოფა, უხამსობაც კი.**

**როდემდე უნდა გაგრძელდეს ცეცხლზე ნავთის დასხმა, ნაჩქარევი და წინდაუხედავი მოქმედებით შეცდომის დაშვება, საჯარო კონფლიქტები, აყალ-მაყალი? როდის უნდა ისწავლონ საკუთარი შეცდომების აღიარება, საკუთარი პოზიციის გამოხატვა ტაქტიანად, თავის მართლებისა და თავდასხმაზე გადასვლის გარეშე?**

**ზოგჯერ დუმილიც ოქროაო.**

**არ მოგბეზრდათ გაუთავებელი კამათი ურთიერთშორის, ამდენი დროისა და ენერგიის დახარჯვა კონფლიქტების გაღვივებაში? ხომ ხედავთ, როგორ თანდათან კარგავთ ღირსებას და, რაც ყველაზე დიდი ტრაგედიაა, საკუთარ თავს? იმდენ ნიღბებს იცვლით, უკვე თავადაც აღარ გახსოვთ, რომელია თქვენი ნამდვილი სახე, რომელია თქვენი ნამდვილი „მე“.**

**სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, მიტროპოლიტ ანტონ სუროჟელის იმ წერილზე შეგვეჩერებინა ყურადღება, რომელშიც ადამიანის ნამდვილ „მე“-სა და უფალთან მის დამოკიდებულებაზეა საუბარი.**

## მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი: ლოცვამ ფესვი უნდა გაიდგას ჩვენს ცხოვრებაში

ჩვენ, ყველანი, დამწყებნი ვართ და მე არ ვაპირებ, სალექციო კურსის წაკითხვას, უბრალოდ, მსურს, გაგიზიაროთ რაიმე ნაწილობრივ საკუთარი, უფრო მეტად კი სხვისი გამოცდილებიდან.

ლოცვა თავისი არსით შეხვედრაა, შეხვედრა სულისა და ღმერთისა, მაგრამ იმისათვის, რომ ეს შეხვედა რეალური იყოს, ორივე პიროვნება, რომლებიც მასში მონაწილეობენ, ნამდვილად თავის თავს უნდა წარმოადგენდნენ. ამასთან ერთად, ჩვენ, უმეტესწილად, არარეალურნი ვართ და ღმერთიც ჩვენთვის არარეალურია: ვფიქრობთ, რომ უფალს მივმართავთ, სინამდვილეში კი — ღვთის სახეს, რომელიც ჩვენს წარმოდგენაშია შექმნილი; **გვგონია, რომ ვდგავართ უფლის წინაშე მთელი ჩვენი სიმართლით, მაშინ, როდესაც საკუთარი თავის ნაცვლად მის წინაშე წარმოვადგენთ ვიღაცას, რომელიც ჩვენი ჭეშმარიტი „მე“ არ არის** — მსახიობს, დადგმულ სახეს, თეატრალურ პერსონაჟს. თითოეული ჩვენგანი ერთდროულად წარმოადგენს რამდენიმე სხვადასხვა პიროვნებას.

ეს, შესაძლოა, იყოს მდიდარი და ძალიან ჰარმონიული შერწყმა, მაგრამ შესაძლოა, იყოს ფრიად წარუმატებელი შეერთება ერთმანეთის საწინააღმდეგო პიროვნებებისა. ჩვენ სხვადასხვანაირნი ვართ გარემოებიდან და გარემოცვიდან გამომდინარე: სხვადასხვა პიროვნება, რომელიც გვხვდება, ჩვენში სხვადასხვა ადამიანს იცნობს. ასე ხშირად ხდება: თითოეულ ჩვენგანს თავის ნაცნობებს შორის შეუძლია გაიხსენოს ქალბატონი, რომელიც უცხოებთან თავაზიანობის განსახიერებაა, სახლში კი — ნამდვილი როკაპი; აგრეთვე მრისხანე უფროსი, რომელიც ოჯახურ წრეში ძალზე მოკრძალებულია.

### რომელია ჩვენი ნამდვილი „მე“

ლოცვის ჟამს ჩვენი პირველი სირთულე არის ის, რომ ვიპოვოთ, რომელი გამოდგება ჩვენი პიროვნებიდან ღვთის წინაშე წარსადგომად. ეს არცთუ ადვილია, რადგან **იმდენად არ ვართ მიჩვეულნი იმას, რომ ვიყოთ ის, რაც ვართ, სინამდვილეში არც ვიცით, ჩვენი პიროვნებებიდან რომელია ჩვენი ნამდვილი „მე“. არც ის ვიცით, როგორ უნდა ვიპოვოთ იგი.** მაგრამ, თუკი დღეში რამდენიმე წუთს მივუძღვნით იმას, რომ საკუთარ საქციელსა და ადამიანებთან



ჩვენს დამოკიდებულებას დავაკვირდებით, შესაძლოა, მივუხლოვდეთ ამის გარკვევას. შევამჩნევთ, თუ როგორი ადამიანი ვართ ამა თუ იმ პიროვნებასთან შეხვედრისას. მაშინ ჩვენ შევძლებდით, საკუთარი თავისთვის გვეკითხა: **როდის წარმოვადგენ სინამდვილეში მართლაც საკუთარ თავს?** შესაძლოა, არასოდეს, იქნებ სულ ორიოდე წუთით გარკვეულ მდგომარეობაში, გარკვეულ ადამიანებთან. და აი, ამ ხუთი თუ ათი წუთის განმავლობაში, რომელიც შეგიძლიათ გამოყოთ, აღმოაჩენთ, რომ არაფერია თქვენთვის საკუთარ თავთან მარტო დარჩენაზე უფრო მოსაწყენი.

**საქმე მხოლოდ ის როდია, რომ, გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოვადგენთ სხვადასხვა ადამიანთა მთელ სერიას, არამედ თვით ჩვენი ცხოვრება ხშირად სულაც არ არის ჩვენი — ეს სხვა ადამიანთა ცხოვრებაა. თუ საკუთარ თავში ჩაიხედავთ და იკითხავთ, რამდენად ხშირად ამოდიხართ საკუთარი სულის სიღრმიდან, რამდენად ხშირად გამოხატავთ საკუთარ ჭეშმარიტ „მეს“, მაშინ დაინახავთ, რომ ეს ძალიან იშვიათად ხდება.** ძალიან ხშირად ვართ დაკავებული სხვადასხვა უმნიშვნელო წვრილმანით, რომელიც ჩვენ გარშემოა; და აი, ამ დროის განმავლობაში, გულისყურის მოკრების ამ მცირე წუთებში, უნდა მივატოვოთ ყველაფერი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ არის.

### „უფალო, დამეხმარე, რათა გავთავისუფლდე ყოველგვარი სიყალბისაგან...“

ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, თქვენ დგახართ იმ საშიშროების წინაშე, რომ საკუთარ თავთან მოიწყენთ; დაე, იყოს ასე; ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენში არაფერი რჩება, რადგან ჩვენი არსების სიღრმეში ღვთის ხატად ვართ შექმნილნი და ყოველგვარი უსარგებლობის ჩამოშორება ძალიან ჰგავს ძველი კედლის მხატვრობის ანდა დიდი მხატვრის ნახატის გაწმენდას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მხატვრის მიერ შექმნილი ჭეშმარიტი სილამაზე უგემოვნო ადამიანებმა გადაღებეს. თავდაპირველად, რაც მეტად ვასუფთავებთ, მით მეტად ჩანს სიცარიელე და გვეჩვენება, რომ მხოლოდ წავახდინეთ ის, რასაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა მცირეოდენი სილამაზე მაინც; თუნდაც ცოტა, მაგრამ მაინც რაღაც იყო. შემდეგ კი ჩვენ უკვე ვიწყებთ ნამდვილი სილამაზის შეცნობას, რომელიც უდიდესმა მხატვარმა თავის ქმნილებაში ჩადო; ჩვენ ვხედავთ უბადრუკობას, შემდეგ შუალედში — სრულ ქაოსს, მაგრამ, ამავე დროს, შეგვიძლია ჭეშმარიტი სილამაზის ამოცნობაც. და მაშინ აღმოვაჩენთ, რაც ვართ: უბადრუკი არსება, რომელსაც ღმერთი ესაჭიროება, მაგრამ არა იმისთვის, რომ სიცარიელე შეავსოს, არამედ იმისათვის, რომ ღმერთს შეხვდეს.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს ვილოცოთ ძალიან მარტივი სიტყვებით: „უფალო, დამეხმარე, რათა გავთავისუფლდე ყოველგვარი სიყალბისაგან და ჩემი ნამდვილი „მე“ ვიპოვო“.



> «შეეცადეთ, იპოვოთ საკუთარი ნამდვილი «მე» და ღვთის წინაშე დააყენოთ იგი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, ყოველგვარი ცრუ სახეებისა და კერპების გარეშე»

◀ტრირებაა, რამეთუ ღვთისმეტყველება - ეს არის მთელი ადამიანური ცოდნა ღმერთის შესახებ და არა ის მცირედი, რისი შეტყობაც მის შესახებ ჩვენ უკვე მოვასწარით. თუ გინდათ შეხვდეთ ისეთ ღმერთს, როგორიც ის სინამდვილეშია, უნდა მიხვიდეთ მასთანა ცნობილი გამოცდილებით, რათა მან ღმერთთან ახლოს მიგიყვანოთ, მაგრამ შემდეგ უდნა დატოვოთ ეს გამოცდილება და დადგეთ არა იმ ღვთის წინაშე, რომელსაც იცნობთ, არამედ იმ ღმერთის, რომელიც ერთდროულად უკვე ცნობილიცაა და ჯერ კიდევ ამოუცნობიც.

**რა იქნება შემდგომ?** შესაძლოა, ღმერთი მოვიდეს შენთან, შეგეხმიანოს, უპასუხოს შენს ლოცვებს, შეუძლია, მოვიდეს და გაგრძნობინოს თავისი მყოფობა; მაგრამ მას შეუძლია, არც გააკეთოს ეს; მას შეუძლია, გაგრძნობინოს თავისი არყოფნა და ეს გამოცდილება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პირველი, რადგან ორივე შემთხვევაში ეხებით ღვთაებრივ უფლებას, გამოგეხმაურებათ თუ არა იგი თქვენ.

ასე რომ, **შეეცადეთ, იპოვოთ საკუთარი ნამდვილი „მე“, და ღვთის წინაშე დააყენოთ იგი ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, ყოველგვარი ცრუ სახეებისა და კერპების გარეშე. ამაში რომ დაგეხმაროთ, საყრდენი რომ მოგცეთ, გთავაზობთ, ერთი კვირის განმავლობაში ილოცოთ შემდეგი სიტყვებით: „უფალო, დამეხმარე, გავთავისუფლდე შენი ყოველგვარი ცრუ სახისაგან, რის ფასადაც არ უნდა დამიჯდეს ეს“.**

## ვისაუბროთ უფალთან გულახდილად

საკუთარი ნამდვილი „მეს“ ძიებაში ჩვენ, შესაძლოა, არა მხოლოდ მოგვწყინდეს (რის შესახებაც მე გესაუბრებოდით), არამედ შეგვიპყროს საშინელების, თვით სასოწარკვეთილების გრძნობამდეც კი. სულის ამგვარი სიშიშვლე გვაფხიზლებს; მაშინ ლოცვის დაწყებაც შეგვიძლია. პირველი, რასაც თავი უნდა ავარიდოთ, არის სიცრუე ღვთის წინაშე; ვფიქრობთ, რომ ეს სრულიად ნათელია, და მაინც, ყოველთვის როდი ვიქცევით ასე. ვისაუბროთ უფალთან გულახდილად, ვუთხრათ, ვინც ვართ; არა იმიტომ, რომ მან არ იცის ამის შესახებ; მაგრამ ერთი საქმეა იმ ფაქტის მიღება, რომ ვიღაც ჩვენმა მოყვარულმა იცის ჩვენ შესახებ, და სულ სხვაა, გამოიჩინო მამაცობა და ჭეშმარიტი სიყვარული ამ პიროვნების მიმართ, რათა სიმართლე უთხრა მას და ყველაფერი უამბო საკუთარ თავზე. გულახდილად ვაღიაროთ უფალთან, რომ თავს უხერხულად ვგრძნობთ, როდესაც ამრიგად ვდგავართ მის წინაშე, რომ არ გვაქვს ჭეშმარიტი სურვილი მასთან შეხვედრისა, რომ დავიღალეთ და ძილი გვირჩევნია. მაგრამ, ამასთან ერთად, ვუფრთხილდეთ თვითნებობას ანდა უბრალოდ კადნიერებას მის წინაშე — ის ჩვენი ღმერთია. ყოველივე ამის შემდეგ კარგი იქნებოდა, სიხარულით დავრჩენილიყავით მასთან მყოფობაში, როგორც ძლიერ მოსიყვარულე ადამიანებთან, რომლებთანაც გულწრფელი სიახლოვე გვაკავშირებს. ჩვენ არ განვიცდით ისეთ სიხარულსა და სიახლოვეს ღმერთთან, რომ უბრალოდ, ვისხდეთ და ვუყუროთ უფალს და ამით ბედნიერნი ვიყოთ. და თუ გვიხდება საუბარი, დაე, იგი გულწრფელი იყოს. **მივანდოთ ჩვენი ყოველგვარი საზრუნავი ღმერთს, ვუამბოთ მას ყველაფერი ისე, რომ მან ჩვენს შესახებ ჩვენგანვე შეიტყოს, მივანდოთ მზრუნველობა ჩვენს საზრუნავზე**. ახლა, როდესაც იგი ჩვენზე ზრუნავს, სადარდებელი ალარაფერი გვაქვს: თავისუფლად შეგვიძლია ვიფიქროთ მასზე.

ნათელია, რომ ამ კვირის სავარჯიშო იმაში მდგომარეობს, რომ შეუერთო იგი მომდევნო კვირის სავარჯიშოს; ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი თავი ღვთის წინაშე დააყენო და ისწავლო, ღმერთს მიანდო ყველა შენი საზრუნავი; იმისათვის, რომ ამაში შეწევნა მიიღო, **ყოველდღიურად უნდა გაიმეორო მარტივი და კონკრეტული ლოცვა: „დამეხმარე, ღმერთო, დავივიწყო ყველა საზრუნავი და მთელი ჩემი აზრები მხოლოდ შენკენ მოვმართო“.**

სანამ უპასუხოდ დარჩენილ ლოცვებზე დავიწყებდეთ საუბარს, მინდა ვთხოვო ღმერთს, რომ განმანათლოს მეც და თქვენც, რამეთუ ეს რთული და, ამავე დროს, ცხოვრებისეულად მნიშვნელოვანი თემაა. ეს ერთ-ერთი უდიდესი განსაცდელთაგანია, რომელიც თითოეულ ადამიანს შეიძლება შეემთხვას და რომლის გამოც დამწყებთაც და თვით ისეთ ადამიანებსაც, რომლებსაც ლოცვის გამოცდილება აქვთ, ძალიან უჭირთ ლოცვა. ასე ხშირად ლოცულობენ ადამიანები და ეჩვენებათ, რომ ცარიელ ზეცას მიმართავენ.

## როდესაც ჩვენთვის ზურგის ქარს ვითხოვთ, არ ვუფიქრდებით იმას, რომ ეს, შესაძლოა, სხვებისთვის ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი აღმოჩნდეს

ხშირად ეს იმიტომ ხდება, რომ მათი ლოცვა უაზრო ბავშვობაა. მახსოვს, ერთი ასაკოვანი ადამიანი მიამბობდა, რომ ბავშვობაში მრავალი თვის განმავლობაში სთხოვდა ღმერთს, ებოძებინა მისთვის განსაკუთრებული უნარი, რომელიც მის ბაბუას ჰქონდა — ყოველ საღამოს გამოელო კბილები პირიდან და წყლიან ჭიქაში შეენახა ისინი, და რაოდენ ბედნიერი იყო იგი შემდგომ, რომ ღმერთმა მისი სურვილი არ შეასრულა. ხშირად ჩვენი ლოცვა ისევე ბავშვურია, როგორც ეს, და, რასაკვირველია, ისინი აღუსრულებელი რჩება. ძალიან ხშირად დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორად ვლოცულობთ, მაგრამ ვლოცულობთ რაღაცის შესახებ, რაც სხვა ადამიანებსაც ეხება, მათ შესახებ არც კი ვფიქრობთ. **როდესაც ჩვენთვის ზურგის ქარს ვითხოვთ, არ ვუფიქრდებით იმას, რომ ეს, შესაძლოა, სხვებისთვის ზღვაზე ატეხილი ქარიშხალი აღმოჩნდეს; მაშინ ღმერთი არ ასრულებს ჩვენს სათხოვარს, რომელიც სხვებს ზიანს მოუტანს.**

ამ ორი თვალსაჩინო მომენტის გარდა, არსებობს კიდევ საკითხის სხვა მხარე. უფრო არსებითი და ღრმა: ხდება, რომ ჩვენ მთელი გულით ვლოცულობთ ღვთის წინაშე რაიმეს შესახებ, რომელიც ყველა თვალსაზრისით თითქოს ღირსია, რომ შესმენილ იქნას, მაგრამ მხოლოდ დუმილი გვაქვს პასუხად, ამის გადატანა კი გაცილებით მძიმეა, ვიდრე უარი. თუ ღმერთი გვეტყვის „არა“, ეს მისი მხრიდან მაინც იქნება დადებითი რეაქცია, დუმილი კი თითქოს ღვთის არყოფნაა, და მას ორ განსაცდელთან მივყავართ: როდესაც ჩვენი ლოცვა უპასუხოდ რჩება, ჩვენ ეჭვი გვიპყრობს ან ღვთის, ანდა საკუთარი თავის მიმართ. **ღმერთთან დამოკიდებულებაში ჩვენ ეჭვი გვეპარება არა მის ყოვლისშემძლეობაში, არა მის ძალაუფლებაში გააკეთოს ის, რაც შენ გსურს, არამედ მის სიყვარულში, მის მონაწილეობაში. ჩვენ ვითხოვთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს, უფალი კი თითქოს ყურადღებას არ გვაქცევს; სად არის მისი სიყვარული, მისი თანაგრძნობა? ეს პირველი განსაცდელია**.

არის მეორე განსაცდელიც. ჩვენ ვიცით, რომ თუ მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა მაინც გვექნება, მთებს გადავდგამდით ადგილიდან, და როდესაც ვხედავთ, რომ ადგილიდან არაფერი იძვრის, ვფიქრობთ: „შესაძლოა, ეს ნიშნავს, რომ ჩემი რწმენა რაღაცით ბიწიერი და არაჭეშმარიტია?“ ეს კვლავ არამართებულია და მასზე სხვა პასუხი არსებობს: თუ თქვენ ყურადღებით წაიკითხავთ სახარებას, დაინახავთ, რომ მასში მხოლოდ ერთი უპასუხო ლოცვაა. ეს არის ქრისტეს ლოცვა გეთსიმანიის ბაღში. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვიცით, რომ თუკი ოდესმე მთელი ისტორიის მანძილზე ღმერთი ვინმეს ლოცვაში მონაწილეობდა, ეს, რასაკვირველია, სწორედ თავისი ძის ლოცვაში ჯვარცმის წინ; ვიცით ისიც, რომ, თუ ოდესმე ყოფილა სრულყოფილი ლოცვის მაგალითი, ეს იყო სწორედ ის შემთხვევა. მაგრამ ღმერთმა ჩათვალა, რომ ღვთაებრივი ტანჯულის რწმენა საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ დუმილი აეტანა.

**ღმერთი არ პასუხობს ჩვენს ლოცვებს არა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ულირსია, არამედ მაშინაც, როდესაც ის ჩვენში ისეთ სიღრმეს ხედავს, — სიღრმესა და რწმენის ძალას, რომ მას შეუძლია გვენდოს იმაში, რომ ჩვენ ერთგულნი ვიქნებით მისი დუმილის შემთხვევაშიც კი.**

მახსოვს ერთი უკურნებელი სენით დაავადებული ქალი; მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა იგი ღვთის თანამყოფობის შეგრძნებით, შემდეგ კი უეცრად მისი არყოფნა იგრძნო — მართლაც რეალური არყოფნა. მაშინ მან მომწერა: „თუ შეიძლება, ილოცეთ ღვთის წინაშე, უმჯობესია, რომ მე არასოდეს შევქმნა ილუზია მისი თანამყოფობისა, რომ მივიღო მისი არყოფნა“. მისი რწმენა დიდი იყო. მას შეეძლო, ამ განსაცდელისთვის გაეძლო, და უფალმა გამოაცდევინა თავისი დუმილი და არყოფნა.

## „შევვედრებ სულსა ჩემსა ხელთა შენთა, უფალო; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“

დაიმახსოვრეთ ეს მაგალითები, იფიქრეთ მათზე, რადგან ოდესმე თქვენ, შესაძლოა, ალმოჩნდეთ ასეთივე მდგომარეობაში.

მე ვერავითარ სავარჯიშოს ვერ მოგცემთ; მხოლოდ გახსოვდეთ, რომ უნდა გვქონდეს ურყევი რწმენა და ღვთის სიყვარული და, როდესაც ასეთი განსაცდელი მოვა ჩვენთან, ვიმეოროთ ლოცვა, რომელიც ორი ფრაზისაგან შედგება, რომელიც თვით იესო ქრისტეს მიერაა წარმოთქმული: **„შევვედრებ სულსა ჩემსა ხელთა შენთა, უფალო; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“.**

მე შევეცადე, თქვენთვის წარმოდგენა შემექმნა იმ მთავარი გზების შესახებ, რომლითაც ჩვენ ლოცვასთან უნდა მივიდეთ; მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ იმ ყველაფრის აღსრულებით, რაც მე შემოგთავაზეთ, თქვენ ლოცვას ისწავლით? რა თქმა უნდა, არა, რადგან ლოცვა მხოლოდ ძალდატანება როდია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მაშინ, როდესაც ლოცვას ვაპირებთ; ლოცვამ ფესვი უნდა გაიდგას ჩვენს ცხოვრებაში, და თუ ჩვენი ცხოვრება ეწინააღმდეგება ჩვენს ლოცვებს, ანდა ჩვენს ლოცვებს არაფერი აქვს საერთო ჩვენს ცხოვრებასთან, მაშინ ისინი არასოდეს იქნებიან არც ცოცხალნი და არც რეალურნი. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია, თავი ავარიდოთ ამ სირთულეს, გამოვრიცხოთ ჩვენი ლოცვებიდან ყველაფერი, რაც ჩვენს ცხოვრებაში ლოცვას არ შეესაბამება — ყველაფერი ის, რისაც ჩვენ გვრცხვენია ანდა საკუთარი თავის წინაშე უხერხულობის გრძნობას იწვევს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის.

მეორე სიძნელე, რომელსაც ჩვენ გამუდმებით ვხვდებით, მეოცნებეობაა: როდესაც ჩვენი ლოცვა სენტიმენტალურ გრძნობებს გამოხატავს და არა იმას, რაც ჩვენი ცხოვრებაა სინამდვილეში.

ამ ორი სიძნელისათვის არსებობს ერთი საერთო გამოსავალი, კერძოდ: **ცხოვრება ისე შევაერთოთ ლოცვასთან, რომ ეს იყოს ერთი მთლიანობა, ჩვენი ლოცვა ცხოვრებით აღვასრულოთ.** ამაში ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევს მზა ლოცვები, რომელთა შესახებაც მე უკვე გესაუბრეთ, რამეთუ ისინი ობიექტური, მკაცრი მაგალითია იმისა, როგორ უნდა ვილოცოთ. თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ ისინი ჩვენთვის არაბუნებრივია, ეს მართალია იმ აზრით, რომ ისინი გამოხატავენ განუზომლად დიადი ადამიანების ცხოვრებას, ვიდრე ჩვენ ვართ, ჭეშმარიტი ქრისტიანების ცხოვრებას; მაგრამ სწორედ იმიტომ შეგიძლიათ ისარგებლოთ მათით, რომ ეცადოთ გახდეთ ისეთივე ადამიანები, რომელთათვისაც ეს ლოცვა ბუნებრივია.

**გახსოვდეთ ქრისტეს სიტყვები: შევვედრებ სულსა ჩემსა ხელთა შენთა. ისინი, რასაკვირველია, ჩვენი საკუთარი გამოცდილების საზღვრებს სცილდება; მაგრამ, თუ ჩვენ ყოველდღიურად ვისწავლით, გავხდეთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ ეს სიტყვები გალწრფელად წარმოთქვან, მთელი თავისი სიმართლით, ჩვენი ლოცვა არა მხოლოდ რეალური გახდება, არამედ ჩვენ თვითონ გავხდებით რეალურნი, ახალ, ჭეშმარიტ რეალობაში გავხდებით ღვთის ძენი.**

თუ თქვენ, მაგალითად, აიღებთ იმ ხუთ ლოცვას, რომელიც მე შემოგთავაზეთ, თუ თქვენ ერთმანეთის მიმდევრობით აიღებთ თითოეულს ამ თხოვნათაგან, თუ შეეცდებით, ისინი დევიზად აქციოთ მთელი დღის განმავლობაში, დაინახავთ, რომ ლოცვა თქვენი ცხოვრების საზომი გახდება, იგი თქვენ ცხოვრების საფუძველს მოგცემთ, მაგრამ თქვენი ცხოვრება თქვენივე მსაჯული გახდება, გამხელთ სიცრუეში, როდესაც წარმოთქვამთ ამ სიტყვებს, ანდა პირიქით, დაადასტურებს იმას, რომ თქვენ მათი ერთგულნი ხართ. აიღეთ თითოეული ლოცვის ყოველი ფრაზა, გამოიყენეთ იგი როგორც წესი, ყოველდღიურად, კვირიდან კვირამდე, სანამ არ გახდებით ისეთი ადამიანები, რომელთათვისაც ეს სიტყვები თვითონ ცხოვრებაა.

ახლა უნდა დავშორდეთ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ფიქრით გესაუბრეთ, ჩვენ გვაერთიანებს ლოცვა და საერთო ინტერესი სულიერი ცხოვრების მიმართ; და იყოს უფალი ღმერთი ჩვენი თითოეულ თქვენთაგანთან და ჩვენს შორის უკუნითი უკუნისამდე.

სანამ დავშორდებოდეთ, მე ვთავაზობ მკითხველს, ჩემთან ერთად წარმოთქვას ერთი მოკლე ლოცვა, რომელიც შეგვაერთებს ღვთის ტახტის წინაშე:

**უფალო, არა ვუწყი რაი ვითხოვო შენგან! შენ მხოლომან უწყი რაი ვითხოვო შენგან! შენ მხოლომან უწყი რაი არს ჩემდა სახმარ. გაქუს შენ სიყვარული ჩემი უფროის, ვიდრეღა ძალმიძს მე სიყვარული თავისა თვისისა.**

**მამაო! მეც მონასა შენსა — რაიცა არცაღა მე ვუწყი რაი ვითხოვო. არა თავს ვიდებ კადნიერებასა თხოვად ჯვარისა, გინა ნუგეშინისცემისა. მხოლოდღა წარდგომილვარ წინაშე შენსა და გული ჩემი განხმულ არს. ხედავ შენ საჭიროებასა ჩემსა, რომელსა მე ვერ ვხედავ!**

**ხედვიდე და იქმოდე ჩემთანა მოწყალებისაებრ შენისა! მომწყლავდე და განმკურნებდე მე, დამცემდე და აღმადგინებდე. ვჰკრთი და უსიტყველ ვიქმნები წინაშე წმიდისა შენისა და მიუწვდომელისა განგებულებისა შენისა.**

**თავსა თვისსა მსხვერპლად შენდა შემოვსწირავ. მიგენებები შენ. არარაი მაქუს სურვილი, გარნა სურვილისა აღვასრულო ნებაი შენი.**

**მასწავე მე ლოცვაი შენი – თვით შენ ილოცვიდე თავსა შორის ჩემსა. ამინ!**

*(მიტროპოლიტი ფილარეტ მოსკოველი).*

**გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, №32, 2003 წ.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ალვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ერთი ფეხი — სამარეში

**ლონდონში მსოფლიოში პირველად გახსნიან სახლს მოხუცებული ლგბტ-ელებისთვის, — იუწყება standart.co.uk. ლგბტ-სახლი დააპროექტა ცნობილმა არქიტექტორმა ნორმან ფოსტერმა, რომელიც ნიუ-იორკის ჰერსტაუერისა და ლონდონის მილენიუმის ხიდის ავტორია.**

ლონდონის მერმა **სადიკ ხანმა,** რომელმაც იმთავითვე დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ლგბტ-ელების საოცნებო ქალაქად გადაქცევა დაისახა მიზნად, ამ პროექტის განსახორციელებლად 5,7 გირვანქა სტერლინგი გამოყო.

„ლონდონი გახსნილი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური ქალაქია და მე მოხარული ვარ, როგორ ხორციელდება ეს გეგმები. ხანდაზმული ლონდონელები იმსახურებენ, ცხოვრების წლები კომფორტულად რომ გაატარონ კეთილგანწყობილ გეისაზოგადოების გარემოცვაში“, — ასეთი კომენტარი გააკეთა ლონდონის მერმა ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

კომპლექსში 19 ბინა ჰომოსექსუალი წყვილებისთვის იქნება გათვალისწინებული, იმშავებს რესტორანი და სტუმრებს ჩიტის რძეს არ მოაკლებენ.



## საფრანგეთში პედოფილი მღვდლების ათასობით მსხვერპლი აღმოაჩინეს

**სექსუალური ძალადობის შემსწავლელმა დამოუკიდებელმა კომისიამ 10 ათასამდე შემთხვევა გამოააშკარავა, — განაცხადა ამ კომისიის თავმჯდომარე ჟან-მარკ სავემ, — იუწყება France Bleu („ცისფერი საფრანგეთი“).**

კომისიამ 1950 წლიდან დღემდე პერიოდის განმავლობაში აღრიცხა 6,5 ათასი ადამიანი, რომლებიც დათანხმდნენ ჩვენების მიცემას, აგრეთვე ისეთებიც, რომლებმაც წარსულის გახსენება არ ისურვეს. ჩამოთვლილთა შორის არიან გარდაცვლილებიც. ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო კვლევების ეროვნულმა ინსტიტუტმა კომისიის თხოვნით აღრიცხვა ჩაატარა ქვეყნის მასშტაბით.

ეკლესიაში პედოფილიის პრობლემის გამოძიება დაიწყო რამდენიმე წლის წინათ. შარშანდელი ივნისისთვის ცნობილი იყო მხოლოდ 1,5 ათასი ფაქტი, მაგრამ მაშინვე გამოიკვეთა, რომ ქვეყანაში მოქმედებდა მღვდლების მიერ აწყობილი სექსუალური ძალადობის ფართო სისტემა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ბაიდენმა ნარკომანებს თეთრ სახლში მუშაობის ნება დართო



**ამერიკაში „უმცირესობათა უფლებების დაცვის“ ახალი რაუნდი დაიწყო. ამჯერად ყურადღების ცენტრში მოექცნენ არა ბაიდენის უსაყვარლესი გეები და შავკანიანები, არამედ ნარკომანები, რომელთა რაოდენობამ ახალ ადმინისტრაციაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისე ბევრნი აღმოჩნდნენ, რომ არ იციან, როგორ მოექცნენ — გაგდება შეუძლებელია, რადგან მათ შორის არიან უმცირესობათა ისეთი წარმომადგენლები, როგორებიც არიან ჰომოსექსუალები და მათი ნაირსახეობაა, ანუ ხელშეუხებელთა კასტა.**

თეთრი სახლის მოხელეთა საკვანძო თანამდებობების ხელში სასწრაფოდ ჩაგდების ფართხა-ფურთხში ბაიდენის ადმინისტრაცია ისეთი დაბრკოლების წინაშე აღმოჩნდა, როგორიც მარიხუანის (კანაბისის) სეკრეაციული მოხმარებაა, — იუწყება ისეთი პროლიბერალური და პრობაიდენური ტელეარხი, როგორიც არის NBC. ამ სპეციფიკურ ტერმინს ასე განგვიმარტავენ: სამედიცინო მაჩვენებლები არ მოითხოვს, თუმცა შენ მაინც მოიხმარ მარიხუანას, მაგრამ ნარკომანად ვერ გამოგაცხადებენ, რადგან ეს იქნება დისკრედიტაცია. ვერ გამოგაცხადებენ, მაგრამ ფაქტია, რომ **თეთრი სახლის ბევრი მოხელე მარიხუანის მოწევაში „გამოიჭირეს“ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა. „მარიხუანისტებს“ ჩამოართვეს საიდუმლო დოკუმენტებისადმი წვდომის უფლება და სამუშაოდ არ შეუშვეს. თეთრი სახლის შრომისნაყოფიერებას დიდი კითხვის ნიშანი დაესვა.**

თეთრი სახლის ადმინისტრაცია იძულებული შეიქნა, პრობლემა „ინდივიდუალური შერჩევის“ მეთოდით გადაეწყვიტა, ანუ როგორი ინტენსივობით მოიხმარს მარიხუანას ესა თუ ის თანამშრომელი. თუ გაამხელენ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან შენი დისკრედიტაცია, გაღიარონ უმცირესობად, ჩამოგართვან პატიოსანი სიტყვა, რომ ასეთი „უმსგავსობას“ აღარ ჩაიდენ და დროებით ონლაინ მუშაობაზე გადაგიყვანენ.

თეთრი სახლის თანამშრომლის განმარტებით, ამგვარი პოლიტიკა საშუალებას აძლევს „ნიჭიერ და მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც ეპიზოდურად ეწევიან მარიხუანას, ემსახურონ ამერიკელ ხალხს“.

გასაიდუმლოებული ინფორმაცია რასაც გულისხმობს, იმედია, ჩვენმა მკითხველმა იცის. მაშასადამე, იმასაც სათანადოდ შეაფასებს, რომ ვლაპარაკობთ იმ ქვეყანაზე, რომელიც ბირთვული იარაღის დიდ რაოდენობას ფლობს: იოტისოდენა შეცდომას მსოფლიო კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს. ვინ მოგვცემს გარანტიას, რომ მარიხუანის მწეველი ნარკომანები დაზღვეულნი არიან ასეთი შემთხვევითობისგან? როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ კრიტიკულ მომენტში „კაიფში“ მყოფი თეთრი სახლის მოსამსახურენი, რომლებსაც „გასაიდუმლოებულ“ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი?

ყველამ, ვისაც ურთიერთობა ჰქონია ნარკომანებთან, იცის, რომ ისინი ავადმყოფები არიან, შერყეული ფსიქიკით, ზნეობის გაუკუღმართებული გაგებით. მათთვის არ არსებობს არც კანონები, არც ზნეობის ნორმები, სიტყვის გაუტეხლობა და ა.შ. მათ ლოგიკას ჭეშმარიტებასთან არავითარი შეხება არ აქვს.

ასეთებს ქვეყნის მართვის უფლებას აძლევენ მაშინ, როცა ისინი იზოლირებული უნდა იყვნენ საზოგადოებისგან.

## ვუდი ალენის ყოფილი ცოლი სერიოზულად შეშინდა



**ქალბატონი მია ფეროუ შეაშინა მისი ქმარყოფილის შესაძლო შურისძიებამ პედოფილიაზე გადაღებულ სერიალში მონაწილეობის გამო. მან განაცხადა, რომ ეშინია რეჟისორის მხრიდან შურისძიების, იუწყება People.**

მია ფეროუ გადაიღეს დოკუმენტურ მინისერიალში „ალენი ფეროუს წინააღმდეგ“, რომლის ჩვენებას დიდი სკანდალი მოჰყვა — რეჟისორს პედოფილია დააბრალეს.

**„ადამიანი, რომელიც ერთგულებას ღალატობს, ყველაფერზე წამსვლელია. ადამიანს, რომელსაც ყველაფრის ჩადენა შეუძლია, უნდა მოერიდო“,** — განაცხადა მსახიობმა. დასძინა, რომ პრემიერის შემდეგ მისი ყოფილი მეუღლე „ყველაფერს გააკეთებს, თავი რომ დააღწიოს იმ ქაოსს, რომელიც თვითონ მოაწყო“.

ვუდი ალენი და მია ფეროუ არაოფიციალური ქორწინებით იყვნენ დაკავშირებული 1980-დან 1992 წლამდე. ჰყავთ საერთო ვაჟი **რონან ფეროუ.** 1997 წელს რეჟისორი დაქორწინდა თავის შვილობილ **სუნი პრევენზე.**

მოგვიანებით, მეორე შვილობილმა **დილან ფეროუმ** მამობილს სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. მისი განცხადებით, ვუდის გარყვნილება უცდია, როცა გოგონა შვიდი წლისა იყო.



## მეტის ღირსი იყო

**36 წლის ბრიტანელ დევიდ უილსონს 25 წლით ციხეში ყოფნა მიუსაჯეს არასრულწლოვანებისთვის ინტიმური ფოტოების გამოტყუების ბრალდებით, იუწყება The Guardian-ი.**

ყალბი აკაუნტებით საკუთარ თავს პატარა გოგონად ასაღებდა და 14 წლამდე ბიჭებთან მიმოწერას აჩაღებდა, შემდეგ მათი ინტიმური ფოტოსურათების გამოგზავნას სთხოვდა. მიღებული ფოტოებით ბიჭებს აშანტაჟებდა, ემუქრებოდა, რომ გაავრცელებდა იმ ფოტოებს, მის მოთხოვნებს თუ არ შეასრულებდნენ. შეშინებული ბიჭებიდან ზოგიერთი თავის მოკვლასაც აპირებდა.

გამოცემის მიხედვით, 500-მდე ბავშვმა გაუგზავნა უილსონს ფოტოსურათები. სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო 96 დანაშაულში 52 ბავშვის მიმართ.

2017 წელს პედოფილი დააპატიმრეს, მაგრამ შემდეგ პატიმრობა გირაოთი შეუცვალეს. პოლიციას 3 წელიწადი დასჭირდა მტკიცებულებათა შესაგროვებლად. ნიშანდობლივია, რომ უილსონმა დანაშაულის უმეტესობა გირაოთი გათავისუფლების პერიოდში ჩაიდინა.

2020 წლის ოქტომბერში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ბი-ბი-სის“ ყოფილ წამყვანს, ეკლესიის მსახურ **ბენ ტომასს** 10 წლითა და 4 თვით ციხე მიუსაჯეს ბავშვებსა და მოზრდილებზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით. 44 წლის ბრიტანელმა ჩადენილი დანაშაულის 40 ეპიზოდი აღიარა, მათ შორის, პედოფილიისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შექმნის ფაქტები.



**ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲗᲐᲕᲡᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲥᲔᲡᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ — ᲘᲧᲝᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲒᲘᲣᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲐᲠᲪ ᲙᲐᲪᲝᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲥᲐᲚᲝᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲡ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲥᲔᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ᲑᲔᲚᲖᲔᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ, ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲣᲚᲡ.**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲚᲒᲑᲢ ᲔᲗᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**თემა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს: შეუძლია თუ არა ადამიანს, დღევანდელ პირობებში თვითონ აირჩიოს საკუთარი გენდერული როლი თუ ამის განსაზღვრა სრულად სოციუმის ხელშია?**

პრობლემის წამოჭრის მიზეზებს ანალიტიკოსები ეძებენ და პოულობენ XXI საუკუნის ევროპულ მორალსა და ეთიკაში, რომლებიც ძირფესვიანად არის შეცვლილი და სოციალური ქსელებით გავრცელებულია მსოფლიოში. გენდერულ იდენტურობას, ახალ ეთიკას, ლგბტ მოძრაობას სალი თვალით უნდა შევხედოთ და მეცნიერული კრიტერიუმით უნდა განვიხილოთ, თუ გვსურს, ობიექტურად წარმოვიდგინოთ ის პერსპექტივა, რომელიც კაცობრიობას ემუქრება.

ყოველგვარი უკიდურესობის გარეშე.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐᲜᲘ

ევროპის ახალი ეთიკა ეფუძნება ფორმულას, რომლის მიხედვით, თავისუფალ ადამიანს შეუძლია, თავად აირჩიოს საკუთარი როლი საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ქორწინებასა და სექსუალურ პრიორიტეტებში. აქ თითქოს საკამათო არაფერი უნდა იყოს, რადგან სოციალური როლი არის ის, როგორ იქცევა ადამიანი, როგორი ტანსაცმლით იმოსება, როგორ და რას ლაპარაკობს, რისი უფლება აქვს, რისი — არა.

მაგრამ საზოგადოებაში ინდივიდის როლი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ქალის როლი, მაგალითად, პატრიარქალურ საზოგადოებაში განისაზღვრებოდა დედობით, ოჯახურ კერაზე ზრუნვით, მამაკაცის უფროსობის აღიარებით, კაბის ტარებით და ა.შ. და არ გულისხმობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ომებში მონაწილეობას. მაშასადამე, სოციალური სქესი არ აღმოცენდება უშუალოდ ბიოლოგიური სქესიდან, მას საზოგადოებრიობა განსაზღვრავს.

ხალხის რწმენით, ბიჭად შეიძლება დაიბადო, მამაკაცი კი უნდა გახდე. ბიჭობა ბიოლოგიური სქესია, კაცობა — სოციალური როლი, ანუ „გენდერი“, თუ გნებავთ. კაცობა სოციალური შაბლონიაო, ასეც ამბობენ, რომელიც გულისხმობს ძალას, გამბედაობას, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და მისთ.

და ასეც არის.

აი, ახალი ევროპული ეთიკა კი იწყება იმით, რომ აუცილებელი არ არის, ყველა ბიჭმა იტვირთოს კაცის როლი. მას უფლება აქვს, იყოს ისეთი, როგორიც სურს, მაგალითად, სუსტი და ნაზი, ოჯახის კერაზე მზრუნველი და ა.შ. ევროპული ეთიკა იმასაც კი განსაზღვრავს, თუ ვისთან სურს ურთიერთობის დამყარება. ესეც სოციალური როლის, სოციალური სქესის ნაწილია.

**ახლა კი — ყველაზე საინტერესო. ახალი ეთიკის მიმდევართა აზრით, ტრადიციული საზოგადოებრიობა ადამიანებს თავს ახვევს შესასრულებელ როლებს, სოციალურად აყალიბებს კინოფილმების, მუსიკის, ცოცხალი მაგალითების საშუალებით. თუ, მაგალითად, გოგონა საბავშვო წიგნებში, ნახატ ფილმებში ხედავს, რომ ქალი არის დედა, მაშასადამე, მას აიძულებენო ირწმუნოს ეს შაბლონი, ანუ თავადაც აღიაროს დედობის უცილობლობა.**

თუ არ სურს?

ე.ი. ზღუდავენ მის თავისუფლებას, თავისუფლება კი უზენაესია.

სწორედ ამიტომ არის, რომ ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში არსებული განწყობა, ვითარება ჩვენთვის, ტრადიციული საზოგადოებისთვის, გაუგებარი და მიუღებელია, ხოლო „მესამე სქესისთვის“ გამოყოფილი საპირფარეშოები — ჭკუის გადახრის მაქსიმალური ამპლიტუდა. ტრანსგენდერები მონაწილეობენ კაცებისა თუ ქალების სპორტულ შეჯიბრებებში, ქორწინდებიან ერთი და იმავე სქესის წყვილები.

**ᲢᲠᲐᲜᲡᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲗᲐᲕᲡᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲥᲔᲡᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲗᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲘᲒᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ — ᲘᲧᲝᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲘᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲐ.**

**ᲔᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲐ.**

**არსებობს სხვა სიგიჟე, როცა ზოგიერთს არც კაცობა, არც ქალობა ხელს არ აძლევს და იგონებს საკუთარს — მესამე სქესს, რომელზეც წარმოდგენა ბელზებელსაც არ გააჩნია, ეშმაკეულს.**

სამაგიეროდ, ახალი „მოძღვრების“ ადეპტები ასეთ დამოკიდებულებას დაუყოვნებლივ სისტემურ დისკრიმინაციად და თავისუფლების შეზღუდვად ჩაგვითვლიან.

## ᲠᲐᲢᲝᲛ? ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ

მაგრამ ჯერ შევეცადოთ, გავარკვიოთ: თუ ტრადიციულ როლებს თავს გვახვევს საზოგადოებრიობა, რადგან გენდერი სოციალური წარმონაქმნია, განა იგივე არ შეიძლება ვთქვათ არატრადიციულ როლებზე?

მაშ, არჩევანი რაში გამოიხატება?!

უფრო გასაგებად: **ახალი ეთიკა გვარწმუნებს, რომ „ჰეტეროსექსუალური მამაკაცის“ როლს თავს გვახვევს ხელოვნება და საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მაგრამ პირობით როლს „ჰომოსექსუალისტისას“ ასევე თავს გვახვევს იგივე კინემატოგრაფი, ლიტერატურა და ა.შ.**

არჩევანი არ არსებობს: „სოციალური როლის“ არსი გულისხმობს ქცევას, მოქმედებას, რომელსაც საზოგადოება ელოდება.

უკაცრიელ კუნძულზე დაბადებულ და გაზრდილ ადამიანს (წარმოვიდგინოთ ასეთი რამ) არავითარი გენდერული მიდრეკილება არ გააჩნია. იგი მხოლოდ ბიოლოგიურ მისწრაფებას ამჟღავნებს, რომელიმე როლის მოდელზე წარმოდგენაც არ აქვს, ანუ გენდერი საზოგადოების მიღმა არ არსებობს, მაგრამ საზოგადოება გვიქმნის იმ გენდერს, რომელიც სჭირდება. აქ კი არჩევანის თავისუფლება არ არსებობს.



ბიჭად შეიძლება დაიბადო, მამაკაცი კი უნდა გახდე

**ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲑᲘᲭᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲝ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲙᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔ. ᲑᲘᲭᲝᲑᲐ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲡᲘᲐ, ᲙᲐᲪᲝᲑᲐ — ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ, ᲐᲜᲣ «ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘ», ᲗᲣ ᲒᲜᲔᲑᲐᲕᲗ. ᲙᲐᲪᲝᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲚᲝᲜᲘᲐᲝ, ᲐᲡᲔᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ, ᲒᲐᲛᲑᲔᲓᲐᲝᲑᲐᲡ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲦᲔᲑᲐᲡ**



ვინ ვარ მე: გოგო თუ ბიჭი?



## ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲓ

უმნიშვნელოვანესი საკითხია: რატომ მოხდა, რომ თანამედროვე დასავლურმა სამყარომ ასე მოულოდნელად დაიწყო ადამიანების არატრადიციული როლების შექმნა?

დასავლურ სოციოლოგიაში არსებობს ტერმინი „ახალგაზრდული ზღვარი“, რომელიც დაახლოებით ნიშნავს: როგორც კი სახელმწიფოში მკვეთრად იზრდება ახალგაზრდების რაოდენობა (სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების გამო), დაუყოვნებლივ იწყება ამბოხი და რევოლუცია.

რომელი ტექტონიკური ძვრების მიზეზით?

უფროს თაობას დაკავებული (და შევსებული) აქვს დასაქმების ადგილები, ახალგაზრდობა, „ზედმეტი ახალგაზრდობა“ უმუშევარია. შედეგად იგი იწყებს იმ სისტემის ნგრევას, რომელშიც ყველაფერი განაწილებული და დალაგებულია. ნგრევა, დიფუზია, დაშლა „ბუნებრივ“ პირობებში გამორიცხული იყო. საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული იყო ბალანსი არსებულსა და მოთხოვნას შორის — შავი ჭირი, სხვა ეპიდემიები, ომები, შიმშილი და უამრავი სხვა ფაქტორი არ აძლევდა არც ერთ საზოგადოებას საშუალებას, დაეგროვებინა იმდენად დიდი ადამიანური კაპიტალი, საკუთარი თავი რომ ამოეჭამა.

**მაგრამ XXI საუკუნეში ისე დავეჭვიანდით, იმდენი გონება მოვიკრიბეთ, რომ არ წამოვიწყოთ ომები და მოვერიოთ ნებისმიერ პანდემიას. დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივ სისტემას მომავლის ორი ვარიანტი გაუჩნდა: პირველ შემთხვევაში იქაური ბედნიერი ახალთაობა დაშლის დასავლეთ ევროპას. მეორე, ახალგაზრდების რაოდენობა შემცირდება, მოსახლეობა დაბერდება იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება სოციალური როლები, შემცირდება შობადობა, დამკვიდრდება ახალი ფილოსოფია და ეთიკა.**

ასეთ ფილოსოფიას დაარქვეს ანტინატალიზმი, სიტყვასიტყვით — „ანტისიცოცხლე“. იგი თავის თავში მოიცავს შობადობის შემცირებას. მშობიარობის ასაკის ამაღლებას, ისეთი სოციალური როლების დამკვიდრებას, რომლებიც შთამომავლობის გაგრძელებასთან შეუთავსებელია, „მწვანე პოლიტიკას“ (ბუნება ადამიანზე მნიშვნელოვანია), ევთანაზიის დაშვებას (სიცოცხლეს უმაღლესი ღირებულება არ აქვს).

ზემოთ თქმულიდან ნათელი ხდება, რომ არჩევის თავისუფლება მირაჟია, მოჩვენებითია, რომლითაც სურთ, დამალონ „სიცოცხლის უარმყოფელი ეთიკის“ სოციალური წარმოშობა. ასეთია ტექნოლოგიური დეპოპულაციის არსი.

ახალი ეთიკა მთავარ ღირებულებად აღიარებს თავისუფლებასა და თანასწორობას და რეალურად განახორციელებს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ სეგრეგაციას, მისი კონსტრუირების მექანიზმად კი მასობრივი მედიასაშუალებები წარმოგვიდგება.

**მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს მასმედია ახალი ეთიკის პროპაგანდისტ ბეჭდურ და ელექტრონულ პრესად ჯერჯერობით მთლიანად არ გადაგვარებულა.**



აირჩიე, რომელი სქესი გსურს

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პოლ გოგენი

კიდევ ერთი მხატვარი, რომელმაც ცხოვრება სიღარიბეში გაატარა. გოგენის ნახატები პოპულარული არ იყო არტ-დილერებში. მოგვიანებით მხატვრის 47 ნახატი, რომლებიც მან ტაიტიზე დახატა, შედევრებად მიიჩნიეს. გოგენის ცხოვრება არც ისე სახარბიელო იყო, მას ციხეც კი ემუქრებოდა, რომლისგანაც მხატვარი სიკვდილმა იხსნა 1903 წელს.

# გენიოსები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ აღიარეს

1897 წლის 16 მარტს პეტერბურგში „რუსული სიმფონიური კონცერტების“ ფარგლებში გაიმართა სერგეი რახმანინოვის პირველი სიმფონიის პრემიერა. პრესის რეაქცია მკვეთრად უარყოფითი იყო. სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება ნიჭის სათანადოდ შეფასება.
წარმოგიდგენთ გენიოსებს, რომლებიც, მართალია, სიცოცხლეში ვერ ეღირსნენ აღიარებას, მაგრამ დღეს მათი წვლილი სათანადოდ არის დაფასებული.



## ნიკო ფიროსმანი



ნიკო ფიროსმანაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში გლეხის ოჯახში დაიბადა 1862 წლის 5 აპრილს. მშობლების გარდაცვალების შემდეგ თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ბავშვობიდანვე იჩენდა ინტერესს მხატვრობისადმი. სპეციალური სამხატვრო განათლება არ მიუღია. 1880-იან წლებში ფერწერის სახელოსნო გახსნა და შეკვეთებს იღებდა.

1890-1894 წლებში კონდუქტორად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისელ მედუქნეებსა და მიკიტნებთან აფარებდა თავს. მათი შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებს, სურათებს. გაჭირვებას თავი ვერ დააღწია. მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც კი უცნობია.

ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი სურათების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში დიდი წვლილი მიუძღვით ძმებ **ზდანევიჩებს — ილიასა** და **კირილეს,** მხატვრებს — **ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, დიმიტრი შევარდნაძესა** და **გოგლა ლეონიძეს.** დღეს ფიროსმანის ნამუშევრები მსოფლიოშია ცნობილი და საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს.





## სერგეი რახმანინოვი



სერგეი რახმანინოვმა მუსიკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა, როდესაც დედამ ფორტეპიანოზე დაკვრის პირველი გაკვეთილები ჩაუტარა. 1897 წელს კომპოზიტორმა **გლაზუნოვმა** გადაწყვიტა, ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორის შემოქმედება გაეცნო პეტერბურგელებისთვის, მაგრამ დირიჟორის ცუდი მოქმედების გამო (იმხანად გლაზუნოვი გამოცდილი არ იყო) პრემიერა ფიასკოთი დასრულდა — ნოვატორულად გადამუშავებული მუსიკალური ნაწარმოები გაუგებარი აღმოჩნდა პეტერბურგელებისთვის, რეაქციაც გამანადგურებელი იყო. პრესაში გამოქვეყნდა უამრავი გესლიანი კომენტარი, მაგალითად, ასეთი: „ჯოჯოხეთში კონსერვატორია რომ არსებობდეს, რახმანინოვი უეჭველად იქნებოდა მისი პირველი მოსწავლე“. ფიასკოს შემდეგ რახმანინოვი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა და 3 წლის განმავლობაში ვერაფერი დაწერა. მხოლოდ ექიმ-ჰიპნოზიორ **დალის** დახმარებით შეძლო ჭაბუკმა რახმანინოვმა შემოქმედებითი კრიზისის დაძლევა.



## ვინსენტ ვან გოგი

ვან გოგი სიცოცხლეში აუღიარებელი გენიოსების სიმბოლოა. ხელოვნებისადმი სიყვარული ვან გოგს სამხატვრო-სავაჭრო ფირმაში დილერად მუშაობისას აღეძრა. ყმაწვილმა ადრე დაიწყო ფერწერაში გარკვევა, რამაც საშუალება მისცა, საკმაოდ კარგი შემოსავალი ჰქონოდა. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ვინსენტ ვან გოგს უიმედოდ შეუყვარდა. მან სამსახური მიატოვა და მისიონერად იქცა, თუმცა ეკლესიამაც მოიცილა ასეთი ფანატიკოსი. ამის შემდეგ გადაერთო ხელოვნებაზე.

დღეს ცნობილია ვინსენტ ვან გოგის 850 ტილო, უამრავი გრავიურა და მონახაზი, მაგრამ თავის სიცოცხლეში მხატვარმა მხოლოდ ერთი ნამუშევრის გაყიდვა შეძლო — „წითელი ზვრების“, ისიც მისმა მეგობარმა იყიდა.



## ედგარ ალან პო



ტრილერისა და მისტიკური დეტექტივების მამა ვერ მოესწრო თავის აღიარებას — ალან პო 40 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ უამრავი ხელნაწერი დატოვა. მწერალი თანხას გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნებით გამოიმუშავებდა, უფრო იშვიათად — პატარა მოთხრობებით. ალან პოს ნაწარმოებებს მსოფლიო გაეცნო მწერლის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისმა მეგობარმა **რუფუს გრისუოლდმა** გადაწყვიტა, გამოეცა მოგონებების წიგნი, რომელშიც პირველად მოიხსენია ვინმე „გიჟი მწერალი“. ბევრმა მკითხველმა სწორედ მაშინ გადაწყვიტა, თვითონვე გაცნობოდა, იყო თუ არა მემუარებში მოხსენიებული მწერალი გიჟი. ეს ახლაა ედგარ ალან პო მსოფლიოში სახელგანთქმული, იმხანად კი მისი ნაწარმოებების გათარგმნა არავის სურდა. „სიგიჟის სამყაროში“ ჩაძირვის გადაწყვეტილება მიიღო **შარლ ბოდლერმა** და არ შემცდარა. ედგარ ალან პოს მოთხრობებს ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კითხულობენ.

## ფრანც კაფკა



ამჟამად ცნობილი კაფკა მოზარდობისას განმარტოებით ცხოვრებას ამჯობინებდა. ამით მწერალი ფსიქიკურ გაუწონასწორებლობასა და მძიმე დაავადებებს მალავდა. ცხოვრებაზე თავისი განუმეორებელი თვალსაზრისისა და მდიდარი ბუნების გადმოცემას კაფკა ლიტერატურაში ცდილობდა, მაგრამ მისი ხელნაწერების ძირითადი ნაწილი საზოგადოებამდე არ მიდიოდა, ხოლო, რაც მიდიოდა, უყურადღებოდ რჩებოდა. კაფკამ მეგობარს მისწერა, რომ სიკვდილის შემდეგ ყველა ნაწარმოები დაეწვა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მადლობა ვუთხრათ ამ მეგობარს, რომელმაც კაფკას ყველა ნაწარმოები გამოაქვეყნა და მსოფლიომ შეიტყო შესანიშნავი მწერლის შინაგანი სამყაროს შესახებ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტალმა იმჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონ ვასილი სმისლოვს ლაზიერი შესწირა და 26 სვლაში დაამარცხა. მოუგო ბობი ფიშერსაც, რომელსაც ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ტალი ჰიპნოზს უკეთებდა და ამის გამო შავ სათვალეს ატარებდა, თუმცა სათვალემ ვერ უშველა. ტურნირი ტალმა მოიგო. პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ტალი მიხეილ ბოტვინიკს შეხვდა.**

# რიგელი ჯადოქარი

**გამოჩენილი მოჭადრაკე, მსოფლიოს მე-8 ჩემპიონი, დიდოსტატი მიხეილ ტალი 1936 წლის 9 ნოემბერს დაიბადა ლატვიის დედაქალაქ რიგაში. მის მშობლებს სამედიცინო განათლება ჰქონდათ და ერთმანეთის ბიძაშვილები იყვნენ. შესაძლოა, სწორედ ეს იყო გენეტიკური შეფერხების მიზეზი და მიხეილ ტალი მარჯვენა ხელზე მხოლოდ სამი თითით დაიბადა.**

მიხეილი ერთი წლისაც არ იყო, მენინგიტით რომ დაავადდა, მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენის შანსი ძალიან ცოტა ჰქონდა, გადარჩა და მალე დაიწყო უნიკალური თვისებების გამოვლენა.

3 წლისა კითხულობდა და თავისუფლად ამრავლებდა სამნიშნა რიცხვებს, ჰქონდა ფენომენური მეხსიერება — ერთი წაკითხვით იმახსოვრებდა უზარმაზარ ტექსტს. გასაკვირი არ არის, რომ ვუნდერკინდი სკოლაში პირდაპირ მესამე კლასში დასვეს. 15 წლის იყო, როცა რიგის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა.

ჭადრაკის თამაში 6 წლისამ დაიწყო. 13 წლის მოზარდი რესპუბლიკის ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს, 17 წლისა კი ლატვიის ჩემპიონი იყო.

1957 წელს მიხეილ ტალმა პირველად გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში და დიდოსტატის წოდებაც მოიპოვა. შემდეგ წარმატებით გამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე; 1958 წელს კვლავ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი. 1959 წელს იუგოსლავიაში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც 23 წლის მოჭადრაკეს სერიოზულად არავინ აღიქვამდა, მაგრამ ტალი სასწაულს სჩადიოდა, მაგალითად, იმჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონ **ვასილი სმისლოვს** ლაზიერი შესწირა და 26 სვლაში დაამარცხა; მოუგო **ბობი ფიშერსაც,** რომელსაც ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ტალი ჰიპნოზს უკეთებდა და ამის გამო შავ სათვალეს ატარებდა, თუმცა სათვალემ ვერ უშველა. ტურნირი ტალმა მოიგო. პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ტალი **მიხეილ ბოტვინიკს** შეხვდა. მატჩი 1960 წელს გაიმართა.

მკაცრ და ნებისყოფიან ბოტვინიკს დაუპირისპირდა იმპულსური და რისკიანი რიგელი გენიოსი, რომელიც თავისი წესებით ცხოვრობდა. ბოტვინიკმა ტალის შეტევებს ვერ გაუძლო და დამარცხდა 8,5:12,5; 23 წლის მიხეილ ტალი მსოფლიოს მე-8 ჩემპიონად გამოცხადდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მფლობელი დიდხანს არ ყოფილა. 1961 წელს, იმჟამინდელი წესების თანახმად, გაიმართა მატჩ-რევანში, რომელშიც ბოტვინიკმა დამაჯერებლად გაიმარჯვა 10:5. ტალმა კარგად ვერ ითამაშა ავადმყოფობის გამო. ამას დაემატა გულის შეტევაც. აღსანიშნავია, რომ ტალი ითხოვდა მატჩის გადადებას, მაგრამ ბოტვინიკი არ დათანხმდა.

1962 წელს კუნძულ კიურსაოზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი, რომელშიც სსრკ-დან მონაწილეობდნენ: **მიხეილ ტალი, ტიგრან პეტროსიანი, ვიქტორ კორჩნოი, პაულ კერესი** და **ეფიმ გელერი.** აშშ-დან — **ბობი ფიშერი** და **პალ ბენკო,** ჩეხოსლოვაკიას წარმოადგენდა **მიროსლავ ფილიპი.** ტალი ტურნირს გამოეთიშა ავადმყოფობის გამო — დარჩენილ 7 ტურში დამარცხება ჩაეთვალა. ერთადერთი, ვინც ის საავადმყოფოში მოინახულა, ბობი ფიშერი იყო.

1969 წელს ტალს თირკმელი ამოკვეთეს. ოპერაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ დიდოსტატმა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. წარმატების შემდეგი სერია მას წილად ხვდა 1970-იანი წლების ბოლოს, როცა მოიგო სსრკ-ის პირველობა (1978 წ.), პირველი ადგილი დაიკავა ანატოლი კარპოვთან ერთად „ვარსკვლავთა ტურნირში“ (მონრეალი, 1979 წ.).

1988 წელს კი მიხეილ ტალმა კარპოვი და კასპაროვი ჩამოიტოვა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბლიცში.





მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის

## ნამდვილი გენიოსი

თავისი გარეგნობით მიხეილ ტალი განასახიერებდა გენიოსზე სტერეოტიპულ წარმოდგენას — დაუდევრობა ჩაცმულობაში, ყოფითი დეტალების უგულებელყოფა ცხოვრებაში, ფენომენური კონცენტრაცია მთავარზე, აგრეთვე, გამანადგურებელი და გამჭოლი მზერა, მაგრამ მისი უნიკალური სვლები, აზარტი, იმპროვიზაცია, გათვლების სიზუსტე მიუთითებდა, რომ ის ნამდვილი გენიოსი იყო.

## გენიოსის მზერა

რაციონალურად მოთამაშე ბევრი დიდოსტატისგან განსხვავებით, ტალი სარისკო სვლებითა და მსხვერპლშეწირვით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები და სპეციალისტები მას სხვადასხვა მეტსახელს უგონებდნენ: „ჭადრაკის ჯადოქარი“, „ჭადრაკის პაგანინი“ და ა.შ.

1968 წელს კიევის კინოსტუდიის ორგანიზებით ჩატარდა დაფაზე დაუხედავად თამაშის სეანსი, რომელშიც მონაწილეობდა 10 მოჭადრაკე და ტალი... რიგელმა ჯადოქარმა 7 პარტია მოიგო, სამი ფრედ დაასრულა.

## პირადი ცხოვრება

1950 წელს მიხეილ ტალი დაქორწინდა ცნობილ ლატვიელ მსახიობსა და მომღერალ **სალი ლანდაუზე.** 1960 წელს წყვილს ეყოლა ბიჭი — **გიორგი.** მეუღლეები ერთმანეთს 1970 წელს დაშორდნენ.

ტალის მეორე სერიოზულ ურთიერთობას ქართველ მსხიობ ქალთან არ შეიძლება ქორწინება ეწოდოს. ქორწინების გაფორმებისთანავე ქალი მისგან გაიქცა და განაცხადა, რომ სურდა... საქმროს ეეჭვიანა. ამ ინციდენტის შემდეგ ტალმა იქორწინა **ანგელინა პეტუხოვაზე,** რომელთანაც ეყოლა ქალიშვილი **ჟანა** (1975 წ.).

**მიღწევები**

*** მსოფლიო ჩემპიონი 1960-1961 წწ.;**
*** საჭადრაკო ოლიმპიადის 8-გზის ჩემპიონი;**
*** სსრკ-ის 6-გზის ჩემპიონი;**
*** 6-გზის ევროპის ჩემპიონი;**
*** საზონათაშორისო ტურნირების 3-გზის გამარჯვებული.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


მიხეილ ტალი


საავადმყოფოში ბობი ფიშერმა მოინახულა




ანგელინა პეტუხოვა , ჟანა და მიხეილ ტალები


სალი ლანდაუ და მიხეილ ტალი

# ბაიდენი სამჯერ დაეცა პრეზიდენტის თვითმფრინავის ტრაპზე



აშშ-ის პრეზიდენტმა რამდენიმეჯერ წაიბორძიკა, შემდეგ კი დაეცა „ბორტი №1“-ის ტრაპზე ასვლისას. ხოლო, როცა წამოდგა, ამერიკის ლიდერი სამხედრო სალმით მიესალმა გამცილებლებს. ინციდენტი მოხდა 19 მარტს ბაიდენის გაფრენისას ატლანტაში.

2020 წლის ნოემბერში ბაიდენმა ძაღლთან თამაშისას ფეხი მოიტეხა.

აღსანიშნავია, რომ ბაიდენი ყველაზე ხანდაზმული პრეზიდენტია აშშ-ის ისტორიაში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არაერთხელ უმსჯელიათ ექსპერტებს.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**



# «სპუტნიკ V»-ს უკვე მსოფლიოს 52 ქვეყანაში იყენებენ

**ფილიპინები 52-ე ქვეყანაა, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა „სპუტნიკ V“. ფილიპინების რესპუბლიკის მედიკამენტების ხარისხის სანიტარული ზედამხედველობის სამმართველომ რუსული ვაქცინა დაარეგისტრირა. ამჟამად ვაქცინას იყენებენ 52 ქვეყანაში, რომლებშიც 1,52 მლრდ კაცი ცხოვრობს.**

„სპუტნიკ V“ რეგისტრირებულია შემდეგ ქვეყნებში: რუსეთში, ბელარუსში, არგენტინაში, ბოლივიაში, სერბეთში, ალჟირში, პალესტინაში, ვენესუელაში, პარაგვაიში, თურქმენეთში, უნგრეთში, გაერთიანებულ არაბულ საამიროებში, ირანში, გვინეაში, ტუნისში, სომხეთში, მექსიკაში, ნიკარაგუაში, სერბეთში, ლიბანში, მიანმარში, პაკისტანში, მონგოლეთში, ბაჰრეინში, ჩერნოგორიაში, სენტ-ვისენტსა და გრენადინში, ყაზახეთში, უზბეკეთში, გაბონში, სან-მარინოში, განაში, სირიაში, ყირგიზეთში, გაიანაში, ეგვიპტეში, ჰონდურასში, გვატემალაში, მოლდოვაში, სლოვაკეთში, ანგოლაში, ჯიბუტიში, კონგოში, შრი-ლანკაზე, ლაოსში, ჩრდ. მაკედონიაში, კენიაში, მაროკოში, იორდანიაში, ნამიბიასა და აზერბაიჯანში.

**eadaily-com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი (МАДИ) საქართველოში ატარებს საერთაშორისო ინტელექტუალურ კონკურსს და იწვევს მოსკოვში სწავლის მსურველებს

## «ყველა გზა მიდის МАДИ-ში!»



**კონკურსში შეირჩევა ხუთი გამარჯვებული.**
**ყველა მათგანი ჩაირიცხება და უფასოდ ისწავლის უნივერსიტეტში.**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების, ლიცეუმების და ა.შ. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს.

კონკურსი ჩატარდება მათემატიკაში ონლაინ-ტესტირების ფორმით. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსში მონაწილეობისთვის ონლაინ რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს და დამთავრდება ა.წ. 15 აპრილს. საკუთრივ კონკურსი გაიმართება 17 აპრილს, შედეგები გამოცხადდება 28 აპრილს.

გამარჯვებულებს გამოეყოფათ ხუთი საბიუჯეტო ადგილი ბაკალავრიატის შემდეგ მიმართულებებზე:

08.03.01 მშენებლობა, პროფილით „ავტოსაგზაო ხიდები და გვირაბები“; „საავტომობილო გზები“; „აეროდრომები“.

13.03.02 ელექტროენერგეტიკა და ელექტროტექნიკა, პროფილით „ავტომობილების ელექტრომოწყობილობა და ელექტრომობილები“.

23.03.01 სატრანსპორტო პროცესების ტექნოლოგია, პროფილით სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“; „საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია და უსაფრთხოება“.

23.03.03 სატრანსპორტო-ტექნოლოგიური მანქანების და კომპლექსების მართვა, პროფილით „საავტომობილო სერვისი“.

38.03.02 მენეჯმენტი, პროფილით „მიწოდებათა ჯაჭვების ლოგისტიკა და მართვა“; „ორგანიზაციის მენეჯმენტი“, „პროექტის მართვა“.

**სტუდენტებს გამოეყოფათ ადგილი საერთო საცხოვრებელში, სწავლის პერიოდში მიიღებენ სტიპენდიას.**

**გაიმარჯვეთ კონკურსში და ჩამობრძანდით მოსკოვში უფასოდ სასწავლებლად!**

**რეგისტრაცია კონკურსში მონაწილეობისთვის ვებ-გვერდზე: grant.madi.ru**

**საკონტაქტო ელ. ფოსტა: grant@madi.ru**

**კონკურსის ცხელი ხაზი: +7-499-155-0171 / +7-928-497-5555 (WhatsApp / Telegram / Viber).**

**მოსკოვის საავტომობილო-საგზაო სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის (МАДИ) შესახებ საერთო ინფორმაცია შეგიძლიათ გაეცნოთ მათ ვებ-გვერდზე: madi.ru**

# ВСЕ ДОРОГИ ВЕДУТ В МАДИ!

**Московский автомобильно-дорожный государственный технический университет (МАДИ) приглашает молодежь Грузии принять участие в Международном интеллектуальном конкурсе „Все дороги ведут в МАДИ!“. Участвовать в конкурсе могут учащиеся выпускных классов школ, гимназий, лицеев, а также студенты колледжей и техникумов Грузии.**

Победители конкурса получат **право на бесплатное обучение в МАДИ**, а также место в общежитии. Кроме того, отметим, что стипендии в МАДИ — одни из самых высоких по Москве!

Конкурс пройдет в дистанционном формате. Для участия в конкурсе **регистрируетесь** на сайте grant.madi.ru. **до 15 апреля** и пройдите **онлайн-тестирование по математике 17 апреля**. Побеждайте и приезжайте учиться в Москву!

**Перечень образовательных программ международного интеллектуального конкурса „Все дороги ведут в МАДИ“ в 2021/22 учебном году:**

08.03.01 Строительство (профиль: „Автодорожные мосты и тоннели“, „Автомобильные дороги“, „Аэродромы“).

13.03.02 Электроэнергетика и электротехника (профиль: „Электрооборудование автомобилей и электромобили“).

23.03.01 Технология транспортных процессов (профиль: „Организация перевозок и управление на транспорте“, „Организация и безопасность дорожного движения“).

23.03.03 Эксплуатация транспортно-технологичесих машин и комплексов (профиль: „Автомобильный сервис“).

38.03.02 Менеджмент (профиль: „Логистика и управление цепями поставок“, „Менеджмент организации“, „Управление проектом“).

**Международный интеллектуальный конкурс „Все дороги ведут в МАДИ“ пройдет в онлайн формате на сайте grant.madi.ru и состоит из двух этапов:**

**I ЭТАП** (подача заявок — **регистрация на участие в Конкурсе) пройдет с 15.02.2021г. по 15.04.2021г.;**

**II ЭТАП** (тестирование): **17.04.2021г.** — **математика. Результаты будут объявлены 28 апреля.**

**Более подробная информация: grant.madi.ru**

**КОНТАКТЫ: e-mail: grant@madi.ru**

**Телефон: +7-499-155-01-71**

**Горячая линия Конкурса: +7-928-497-55-55** (WhatsApp / **Telegram / Viber, ежедневно с 10:00 до 20:00)**



# რომის კათოლიკურ ეკლესიაში განხეთქილება მწიფდება

**60-მდე გერმანელმა სასულიერო პირმა მოაწერა ხელი წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი არ ეთანხმებიან რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის (CDF) პოზიციას და ჯვარს დაწერენ ჰომოსექსუალრ წყვილებს.**

**„რწმენის დოქტრინის კონგრეგაციის (რომის კურიის ერთ-ერთი ქვედანაყოფი. სულ ცხრაა — ლ.მ.) მიერ ჰომოსექსუალთა დალოცვისა და ჯვრისწერაზე უარის თქმის შემდეგ ვიმაღლებთ ხმას და ვამბობთ: „ჩვენ კვლავ მივიღებთ ადამიანებს, რომლებიც ქორწინდებიან და დავლოცავთ მათ სამომავლო ურთიერთობას. ჩვენ უარს არ ვიტყვით ჯვრისწერის ცერემონიაზე“,** — ნათქვამია წერილში.

ავსტრიაში 350-მა მღვდელმსახურმა ვატიკანს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ისინი კვლავაც დაწერენ ჯვარს ჰომოსექსუალურ წყვილებს. „განდგომილებს“ მხარი დაუჭირა ჩიკაგოს არქიეპისკოპოსმა **ბლერ კუპიჩმა** და ავსტრალიელმა არქიეპისკოპოსმა **მარკ კოლრიჯმა.** ბელგიის ეპისკოპოსმა კი განაცხადა, რომ „რცხვენია თავისი ეკლესიისა“ და იმის გამო, რომ პაპმა ფრანცისკემ მოიწონა კონგრეგაციის აკრძალვა ერთი და იმავე სქესის წყვილების ჯვრისწერაზე.

როგორც ჩანს, კათოლიკურ ეკლესიაში განხეთქილება მწიფდება, რადგან ჰომოსექსუალების ჯვრისწერის აკრძალვა კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გააპროტესტეს.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894